პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ჩვეულებრივი სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო
[illegible]
კომპლექტი

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— სამხრეთ-სლავიაში არჩევნების დროს გაიმარჯვა მთავრობის ბლოკმა.

— იტალიელ ფაშისტებს განზრახვა აქვთ მოაწყონ ფაშისტური ინტერნაციონალი.

— კოლონიებში სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ კომუნისტების წინააღმდეგ.

— პრუსიის ახალ პრემიერათ არჩეულია მარქსი.

— ბელგიის კომპარტია არჩევნებისათვის ემზადება.

— ბულგარეთის გლეხთა პარტიაში განხეთქილება მოხდა.

ხუთშაბათი, 12 თებერვალი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 35 (1190)

საბჭოთა არჩევნების გარშემო

(არჩევნების დამატებითი წესებს გამო)

ჩვენ მივაქცევთ ამრჩეველთა და სპეციალურათ კი არჩევნების ჩამტარებელ ამხანაგების ყურადღებას იმ დამატებითი საარჩევნო ინსტრუქციაზე, რომელიც გამოვაქვეყნეთ გუშინ ჩვენს გაზეთში სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის თავმჯდომარის ხელმოწერით.

მთელი ინსტრუქცია, ის წესები რომელთა არჩევნების დროს დაცვის წინადადებას იძლევა ეს ინსტრუქცია, გამსჭვალულია ერთი მთავარი აზრით: მოეწყოს ადგილობრივ ხელსაყრელი პირობები იმისთვის, რომ მიმდინარე არჩევნები შეიქნენ მშრომელი მასის საზოგადოთ და კერძოთ კი სოფლათ, გლეხთა მასების თვითმოქმედების დემონსტრაციათ. მხოლოთ ასეთი თვითმოქმედების, გლეხთა მასიური ამოძრავების შედეგათ შეიძლება მივიღოთ ჩვენ ნამდვილი, მომქმედი, ცოცხალი ძალებით მდიდარი საბჭოები, მხოლოთ ამ გზით შევქმნით ჭეშმარიტ ორგანოებს მშრომელთა ხელისუფლებისას.

რა არის ამისთვის ჩაჭირო და რა ზომებზე მიუთითებს ეს ინსტრუქცია? ჩვენ შევჩერდებით აქ მის უმთავრეს მუხლებზე.

პირველ ასეთ მუხლში ჩვენ ვკითხულობთ: **„სამაზრო საარჩევნო კომ სიის შემადგენლობა... უნდა შევსებული იქნეს კიდევ ორი წევრით, რომლებიც იქნებიან წარმომადგენლები ადგილობრივ საგლეხო ორგანიზაციებისა (საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტი და სხვ.)“.**

ეს ფრიად მნიშვნელოვანი ახალი დამატებაა 8 იანვარს დამტკიცებული დებულებისა. საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები წარმოადგენენ ჩვენში (როგორც მთელ საბჭოთა კავშირში) სოფლის მშრომელთა თვითმოქმედების ნამდვილ ორგანოებს. გლეხთა კომიტეტი არის დღეს სოფლათ ერთი იმ მთავარ ორგანიზაციათაგანი (ძალიან ხშირათ კი უმთავრესი), რომლის საშუალებით საკმაოდ ჩქარი ნაბიჯით გზას იკაფავს გლეხური საბჭოთა საზოგადოებრიობა. მან ბევრი რამ გააკეთა; ის არის გლეხთა ფართო მასების თვითმოქმედების და ურთიერთ ნდობის ორგანო, მას კიდევ მეტის გაკეთება შეუძლია მომავალში. ამიტომ მისი წარმომადგენლებით შევსება საარჩევნო კომისიებისა, ეჭვს გარეშეა, კიდევ მეტი ნდობით აღჭურავს არჩევნების ხელმძღვანელთა შემადგენლობას და ეს გარემოება ბუნებრივათ პირს აბრუნებს არჩევნებისკენ სოფლის მოსახლეობის ისეთ ფენებს, რომლებიც დღემდე გულგრილობას ან არა საკმაო აქტივობას იჩენდენ არჩევნებისა და საზოგადოთ საბჭოებისადმი. ეს ზომა არის კიდევ ერთი გარანტია ჩვენი საბჭოების გამოცოცხლების და საარჩევნო კამპანიის უფრო ინტენსიურათ ჩატარებისა.

შემდეგ. ინსტრუქციის მერვე მუხლში ნათქვამია: **„იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს კენჭის ყრა: თვითეული კანდიდატისათვის ცალკე თუ კანდიდატთა სიებისათვის, გადასწყვეტს თვით საარჩევნო კრება“.**

ჩვენ გუშინ ამავე ადგილას გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდ გაუგებრობას და შეხლა-შემოხლას იწვევს ალაგ-ალაგ ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკის მოქმედება ამ მხრივ. ახალი ინსტრუქცია გარკვევით ამბობს ამის შესახებ, რომ კრებას უფლება აქვს გადასწყვიტოს პერსონალურათ (პირადათ), სურს მას მისცეს ხმა კანდიდატებს, თუ ის სიებს ისურვებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამის შემდეგ ყოველგვარი ნიადაგი გამოეცლება მსგავს გაუგებრობას და ეს გარემოება განამტკიცებს ამრჩეველთა მასის ნდობას იმათდამი, რომლებსაც ის მისცემს თავის ხმას.

მეთორმეტე მუხლი. „საარჩევნო კომისიებს ევალებათ სასტიკათ ადევნონ თვალყური არჩევნებისათვის კანონით შემოღებულ წესების და ნორმების ასრულებას; კერძოთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ უსაფუძვლოთ არ წაართვან საარჩევნო უფლება ისეთ მოქალაქეებს, რომელთაც ს. ს. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალით საარჩევნო უფლება აქვთ; **არ დაუშვან შემოღებული წესების დარღვევა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ და ზომები მიიღონ, რომ ადგილი არ ჰქონდეს იძულებით ზეგავლენას ამომრჩევლებზე არჩევნების დროს**“.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი ამონაწერიდან ჩვენ განსაკუთრებით მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას ხაზგასმულ სტრიქონებზე. საარჩევნო კომისია ამ დებულების აზრით აღჭურვილია ისეთი უფლებებით, რომ თუ ის სავსებით გაატარებს ცხოვრებაში მასზე დავალებულ კონტროლს (ხოლო მისი შემადგენლობა იძლევა გარანტიას, რომ ის გაატარებს ამ დავალებას)—ადგილი აღარ ექნება უკმაყოფილებას ამრჩეველთა კანონიერი უფლებების უკანონოთ და თვითნებურათ შებღალვის ნიადაგზე.

რა არის აქ **უმთავრესი?** ინსტრუქციას კარგათ აქვს გათვალისწინებული მდგომარეობა და ადგილების საჭიროება. **უმთავრესია ის, რომ ყოველივე ეს იყოს ურყევათ, პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავათ გატარებული ცხოვრებაში.** ამაშია საქმე. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებმა, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა მშრომელი ხალხის, პარტიისა და ხელისუფლებისადმი.

ინსტრუქცია უნდა გატარდეს, რადგან ის გამოხატავს მასების ამოქმედების, საბჭოთა გამოცოცხლების ინტერესებს, გამოხატავს ურყევ ნებისყოფას პარტიისა და ხელისუფლებისას.

ფრიდრიხ ადლერი, მარქსიზმი და ლენინიზმი

ფრიდრიხ ადლერი, ცნობილი ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი, ეხლა მეორე ინტერნაციონალის მდივნის მოვალეობას ასრულებს. ამას წინათ მან უარი სთქვა ამ თანამდებობაზე, ანუ, როგორც ხშირათ ჩვენში ამბობენ, „ოტსტავკაში გავიდა“, დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ადლერი ისევ დაუბრუნდა თავის თანამდებობას.

ფრიად საინტერესოა მიზეზები ადლერის გადადგომისა, რომლებიც მან აღნიშნა თავის წერილში მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის მიმართ. მაგრამ ორიოდე სიტყვით საჭიროა შევჩერდეთ თვით ადლერზე.

ქართველ მკითხველებს ეს სახელი გაუგონიათ. ადლერმა სახელი გაითქვა მსოფლიო ომის ხანაში, მანამდის კი მას იცნობდა მხოლოდ ვიწრო წრე ავსტრიელი სოციალ-დემოკრატებისა. ფრიდრიხი ცნობილ ვიქტორ ადლერის (ავსტრიის სოც. დემ. დამაარსებელი) შვილია. როდესაც ომი დაიწყო, მან მოჰკლა მინისტრი შტიურგკი და ამით ფართე პროლეტარული წრეების ყურადღება მიიპყრო. დატყვევებული ადლერი—მოწამეობის ორეოლით შეიმოსა, მისი საკითხი მსოფლიო საკითხათ გადაიქცა. ბრძოლა ადლერის განთავისუფლებისათვის მებრძოლ მუშათა კლასმა ერთ დროს დააწერა თავის დროშას ლოზუნგათ.

ადლერის ფიგურა გაიზარდა მსოფლიო ომის ხანაში უმთავრესათ იმ ანტიმილიტარისტულ პოზიციის გამო, რომელიც მან დაიჭირა თავიდანვე. ერთ დროს ის მესამე ინტერნაციონალზედაც კი ოცნებობდა. ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, თუ რამდენათ სწორი იყო ადლერის ბრძოლის მეთოდები და ანტიმილიტარისტული პოლიტიკა. ომი გათავდა, შეწყდა ხოცვა-ჟლეტა. მაგრამ ამით არ შეცვლილა არსებული რევოლიუციონური სიტუაცია. მუშათა გამემარცხენების პროცესი სწრაფად მიდიოდა წინ. ადლერს არ შეეძლო უცებ მოეხვია უკან—მეორე ინტერნაციონალისაკენ, აქ საჭირო იყო გარდამავალი პერიოდი. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები ყოველგვარ პატივისცემის გრძნობას ადლერისადმი დაჰკარგავდენ. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ მეორე ინტერნაციონალის დღევანდელი გმირი მეორე და მესამე ინტერნაციონალებს შორის გაჩერდა, შექმნა ეგრეთ წოდებული ორნახევარი ინტერნაციონალი. დიდხანს არ უცოცხლია ადლერის და ჰილფერდინგის ამ ქმნილებას, მალე შესწყვიტა მან არსებობა. ორნახევარი ინტერნაციონალი აშკარათ დაადგა მეორე ინტერნაციონალის პლატფორმაზე, მოხდა მათი გაერთიანება. ბოლოს ადლერი ამ გაერთიანებული ინტერნაციონალის მდივნათაც დააყენეს, რადგან მას შერჩა ძველი „ავტორიტეტი“, ჰიუსმანსმა კი ასეთი კარგა ხანია დაკარგა. ასე დაამთავრა თავისი ექსკურსია ადლერმა.

მაგრამ, როგორც ირკვევა, მეორე ინტერნაციონალში არ არის აზრთა ერთიანობა. თვით ადლერი ზოგიერთ საკითხებში „არ ეთანხმება“ იმ ინტერნაციონალს, რომლის მდივნათაც ის ითვლება. ამიტომ ცოტა ხნით ის გარბის თავისი თანამდებობიდან, მერმე კი მენშევიკების თხოვნით ბრუნდება უკან.

რა აწუხებს ადლერს? რამ შეაშფოთა მსოფლიო მენშევიზმის რიგები? თავის წერილში ადლერი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ პარტიებში ომით გამოწვეულ პირობებმა და რესპუბლიკის დაცვის აუცილებლობამ „მიგვიყვანეს დემოკრატიის ვულგარულ ფორმამდის. მუშათა მოძრაობაში მარქსიზმის გავლენა სუსტდება. უმეტეს შემთხვევაში ეს ბოლშევიკების ბრალია. ის ფაქტი, რომ ბოლშევიკებმა შესწყვიტეს ლაპარაკი მარქსიზმზე და მის ნაცვლათ ლაპარაკობენ ლენინიზმზე, ფრიად დამახასიათებელი მოვლენაა“. ჩვენს მკითხველს განცვიფრებაში მოიყვანს ეს სტრიქონები. თურმე, ნუ იტყვით, ბოლშევიკებმა დაივიწყეს მარქსიზმი, მენშევიკები კი მას იცავენ ბოლშევიკებისაგან, ლენინიზმისაგან. მოკლეთ, მარქსიზმი ერთია და ლენინიზმი სულ სხვა რამე, ასეთია ადლერის დასკვნა.

მარქსიზმის დაპირდაპირება ლენინიზმისადმი ჩვეულებათ გადაექცათ დასავლეთ ევროპის მენშევიკებს. ამას გვეუბნება ზემოთ-მოყვანილი სტრიქონები. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მეორე ინტერნაციონალის გმირებს აებნათ გზა-კვალი. მარქსიზმი მათ დაავიწყდათ, ლენინიზმის კი არაფერი გაეგებათ. ლენინიზმის გავრცელება ევროპაში საფრთხეს უმზადებს მენშევიკებს, რომლებიც სცდილობენ მოიგონონ დავიწყებული მარქსიზმი. ისინი დღეს გაიძახიან: მარქსიზმი იღუპება, უშველეთ მას, ებრძოლეთ ლენინიზმს და სხვ. ერთის სიტყვით, ადლერი და მისი ამხანაგები ფიქრობენ „მარქსიზმის“ დროშით ჯვაროსნული ომი აწარმოონ ლენინიზმის (ბოლშევიზმის) წინააღმდეგ. ფიქრობენ, რომ შესძლებენ გზა-კვალი აუბნიონ მუშათა კლასს. ამაოა ეს ცდები! რევოლიუციონურ პროლეტარიატს დღეს არ გაუძნელდება ასეთი ხრიკების გაგება, მას კარგად ესმის, რომ მარქსიზმს მენშევიზმთან არაფერი საერთო არ აქვს.

მარქსიზმი—ეს მებრძოლი პროლეტარიატის თეორია და პრაქტიკაა. ლენინიზმი—იგივე მარქსიზმია (რევოლიუციონური-ორთოდოქსალური), მაგრამ სულ ახალი ეპოქის, როდესაც კაპიტალიზმმა მიიღო სხვა სახე. მუშათა კლასის წინაშე დაისვა მთელი რიგი ახალი საკითხებისა, რომლებსაც პასუხს აძლევს მხოლოდ ლენინიზმი. ამრიგათ ეს უკანასკნელი აუცილებელი დამატებაა იმ მარქსიზმის, რომელიც მოგვცა ჩვენ თვით მარქს - ენგელსმა. როდესაც მთელი რიგი მენშევიკებისა გამოდიან მარქსიზმის კრიტიკით და სცდილობენ მის შესწორებას, შევსებას და დამატებას, ჩვენ მაშინ ვამბობთ, რომ ეს ოპორტიუნიზმი და რევიზიონიზმია. მათ არაფერი საერთო არ აქვთ მარქსის თეორიასთან, რადგან უარყოფენ მის მთავარ დებულებებს. მაგრამ როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ლენინიზმი იგივე მარქსიზმია, რომ ლენინმა ახალი რამე შექმნა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს არა ახალი თეორია, არამედ იგივე მარქსისტული თეორია, რომლის მთავარი დებულებები უფრო გაღრმავებული და განვითარებულია ლენინის მიერ თანამედროვე პირობებთან შეფარდებით. ლენინიზმი სრულებით არ გულისხმობს რევიზიას, მარქსის კრიტიკას. პირიქით, ის ძველი მარქსიზმის რესტავრაციაა. თუ შეიძლება რამე მიუმატოთ მარქსიზმის საუნჯეს—ეს მხოლოდ ლენინიზმი და არა მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსების აღმოჩენები.

ფრიდრიხ ადლერი და კომპანია კი სცდილობს ერთმანეთს დაუპირდაპიროს ორი განუყრელი ცნება: მარქსიზმი და ლენინიზმი. რევოლიუციონერ მუშათა კლასს არ გაუჭირდება ასეთი ოინების გაგება. მენშევიკებს სჭირიათ ასეთი დაპირდაპირება პროლეტარიატის თვალის ასახვევათ და ძველი გავლენის დასაბრუნებლათ. გვიან არის ასეთი ცდა! კარგა ხანია გავიდა ის დრო, როდესაც ბურჟუაზიის ლაქიებს შეეძლოთ მუშათა კლასის თვალის ახვევა და მისი კაპიტალისტების ინტერესებისათვის გამოყენება. ყველა ქვეყნებში ეხლა არსებობენ კომუნისტური პარტიები, რომლებიც ფარდას ახდიან მენშევიკების ყოველ ახალ გამოსვლას.

კ. ორაგველიძე.

ემელიანე პუგაჩოვი

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

„ემელკა პუგაჩოვი“,—ასეა ნახსენები ყველა ოფიციალურ მიწერ-მოწერაში მეთვრამეტე საუკუნის გლეხთა მოძრაობის მეთაური. თვით ამ სახელის დაკნინებაში ნათლად გამოსჭვივის ის უსაზღვრო სიძულვილი, რომლითაც იყო გამსჭვალული მაშინდელი გაბატონებული წრეები ემელიანე პუგაჩოვისადმი.

ამ დღეებში საუკუნე ნახევარი შესრულდა, რაც ის მოსკოვში საჯაროთ სიცოცხლეს გამოასალმა ეკატერინე მეფის ჯალათის ხელმა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის გლეხობას დიდი ჭაპან-წყვეტა გადასწვდა. ეკატერინე მეფის დროინდელი და ეხლანდელი რუსეთის სოფელი ისე განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა დღეს რუსი მუშა და გლეხის გამარჯვების მერვე წელში სრულდება სწორეთ 150 წელიწადი, რაც რომანოვების თვითპყრობელობას პირველათ მოევლინა პუგაჩოვის აჯანყების სახით საუკუნოებით დაბეჩავებულ ხალხის რისხვა, რომელმაც ის მაშინ კინაღამ გადალეკა.

ბურჟუაზიული ისტორია ამ მოძრაობას ხატავს, როგორც უაზრო აჯანყებას. თვით პუგაჩოვი-კი მას წარმოდგენილი ჰყავს სისხლის მოყვარულ ავაზაკათ და დაუნდობელ მეამბოხეთ. სულ სხვანაირათ აფასებს მეთვრამეტე საუკუნის გლეხთა მოძრაობას თანამედროვე რუსეთი.

რევოლიუციის მუზეუმში პუგაჩოვის მოძრაობას დათმობილი აქვს ცალკე კაბინეტი. აქ თავდაყრილია ბევრი მეტად საგულისხმო ისტორიული დოკუმენტი. დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ ამ საბუთების გაცნობის შემდეგ დარწმუნდე, რამდენად ღალატობდა სინდისს და სცოდებდენ სიმართლეს ძველი ისტორიკოსები, რომლებიც პუგაჩოვის აჯანყებას ავაზაკურ ბუნტად სახავდენ. აქ თქვენ თვალწინ იშლება მთელი სურათი, რა ეკონომიურ საფუძველზე აღმოცენდა ისეთი ძლიერი, მასიური გლეხთა ამბოხება, რომელსაც ხელმძღვანელობდა წერაკითხვის უცოდინარი ემელიანე პუგაჩოვი და საიდან ჰკრეფდა ეს მოძრაობა ცოცხალ ძალებს.

სხვა საბუთებს შორის არის ცნობილი მანიფესტი, რომელიც გამოსცა პუგაჩოვმა 1774 წელში, სადაც ვხვდებით ასეთ ადგილს:

„ყველა გლეხობას ვაჯილდოვებთ.. ნებაყოფლობით და თავისუფლებით, არ მოვითხოვთ (მომავალში) ჯარში გაწვევას, გავანთავისუფლებთ სულობრივ და სხვა ფულის გადასახადისაგან; ვაჯილდოვებთ მათ ქონებით, მიწით, ტყით, სათიბი მინდვრებით, სათევზაო მდინარეებით ყოველივე ხარჯის გარეშე. ვანთავისუფლებთ (გლეხობას) ბოროტების მოციქულ თავად-აზნაურობის და მოსამართლეთა შევიწროებისაგან და აგრეთვე გადასახადის ამკრეფთა თავგასულობისაგან“.

აი, მოკლეთ პუგაჩოვის მოძრაობის ეკონომიური პროგრამა, რომელშიაც, როგორც სარკეში, ისე მოჩანს მთელი ამ მოძრაობის სოციალურ-კლასიური სახე. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ პუგაჩოვის მთელი მიწერ-მოწერა, რომელსაც კი მოუღწევია ჩვენამდი, განსაკუთრებით ლაპარაკობს გლეხობის ეკონომიურ-უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ამავე მანიფესტში, რომელზედაც ეხლა გვქონდა ლაპარაკი, ურჩ მემამულეების—გლეხთა მოძრაობის მტრების შესახებ პუგაჩოვი აცხადებს: „Лишить их всей жизни, т.-е. казнить смертью, а долы их и имение брать себе в награждение“. შემდეგ იქვე განაგრძობს, რომ მთელი ეს ქონება და სიმდიდრე გლეხთა მარჯვენის შექმნილია და მის უბედურებაზეც მოპოებულიო.

ეს აზრი რომ ეხლანდელი ლექსიკონით გადმოვთარგმნოთ, ჩვენ ვიტყვით: „სიკვდილი რევოლიუციის მტრებს,—ექსპროპრიაცია ექსპროპრიატორების“.

ამნაირათ რუსეთის გლეხობას სამართლიანათ შეუძლია იამაყოს თავის რევოლიუციონერ წინაპრებით, რომელთა შორის პუგაჩოვის მეამბოხეთ ერთი პირველი ადგილთაგანი დაეთმობა. მათ ჯერ კიდევ საფრანგეთის პირველ რევოლიუციამდე აღმართეს თავისუფლების დროშა.

პუგაჩოვის მოძრაობა საინტერესოა ჩვენთვის სხვა მხრივაც. მასში, როგორც ვიცით, მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ურალის ქარხნის მუშები, რომელთა შესახებ პუგაჩოვის ერთ-ერთ დოკუმენტში ასეა სათქვამი: „Люди при заводе, находятся безпахотные и пашень у себя не имеют“. ესენი იყვნენ პირველი რუსი პროლეტარები, რომელნიც გლეხობასთან ერთად თავგამოდებით იბრძოდენ ბატონ-ყმურ რუსეთის დასამხობათ. ამასთან ერთად პუგაჩოვის მოძრაობაში დიდი ადგილი ეჭირა მცირე ეროვნებებსაც. ბაშკირები, თათრები და ურალის სხვა წვრილი ეროვნებები პუგაჩოვის ლაშქრის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდენ. ასე რომ ამ აჯანყებაში პირველად ვპოულობთ ჩვენ შეთანხმებულ მოქმედებას გლეხობის და პროლეტარიატისას, რომელიც მაშინ მხოლოდ ისახებოდა და აგრეთვე მცირე ეროვნებების რევოლიუციონურ ასპარეზზე გამოსვლას.

დღესაც შენახულია მუზეუმში რკინის გალია და ფუთ ნახევარი ბორკილები, რომელშიაც ჩასვედა ეკატერინე მეფემ ტყვე პუგაჩოვი. ეტყობა მეტად შეარყია მეთვრამეტე საუკუნის გლეხთა მოძრაობამ თვითმპყრობელობის მყუდროება, რომ მისი მეთაური ჩასვედეს ისეთ გალიაში, რომელშიაც კულტურული კაცობრიობა დღეს ლომსაც არ დაამწყვდევს. მაგრამ რკინამ და ტყვიამ ვერ უშველა უსამართლობას.

აკ. ქუთნია.

მოსკოვი, 5 თებერვალი.

ხაზით-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

პროფმოძრაობის მთლიანობა მაინც იქნება აღდგენილი

ამხ. პოლიტტი ამსტერდამის ინტერნაციონალის რეზოლიუციის შესახებ

ლონდონი. 10 თებერვალი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ინგლისის პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის მდივანმა გარრი პოლიტტმა განაცხადა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის მიერ მიღებული რეზოლიუცია ნიშნავს ინგლისის პროფკავშირთა იმ მოღვაწეების გეგმების საბოლოო ჩაშლას, რომლებიც ფიქრობდენ გავლენა მოეხდინათ ამსტერდამელებზე. რეზოლიუცია აშკარად ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატიის და ამსტერდამის ლიდერებს განზრახული აქვთ საბოტაჟი გამოუცხადონ პროფმოძრაობის მთლიანობისაკენ ლტოლვას.

ვერაგული განზრახვა.

რეზოლიუცია წარმოადგენს ვერაგულ ცდას ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს საბჭოთა პროფკავშირები, რათა ამსტერდამელების წინადადების მიღებამ გამოიწვიოს კომინტერნის დაშლა, ხოლო მათი უარი წინადადებაზე საშუალებას მისცემდა ამსტერდამის ლიდერებს ილაპარაკონ იმის შესახებ, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა არ მიიღეს გაერთიანების წინადადება.

ბრძოლაში.

„მიუხედავათ ამისაო—სთქვა პოლიტმა—ჩვენ გვწამს, რომ ბოლოს და ბოლოს საბჭოთა პროფკავშირები თავისას გაიტანენ. ჩვენის მხრივ, **ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, რათა როგორც ინგლისის, ისე საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა დაიწყონ მუშაობა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოქმედების კომიტეტში პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობისათვის საბრძოლველად. ეს კომიტეტი ჩაატარებს კამპანიას მსოფლიო მასშტაბით და შესძლებს დაამარცხოს რეაქციონერების საბოტაჟის ტაქტიკა“.**

გადალახული იქნება ყველა დაბრკოლებები.

ლონდონი. 10 თებერვალი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს პროფკავშირთა საერთაშორისო მთლიანობის საკითხის შესახებ საამშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირის მდივანმა ჩიჩსმა განაცხადა: **ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობა და გადაუდებლობა გვაიძულებს გადავლახოთ ყველა დაბრკოლებები“.**

არჩევნები სამხრეთ-სლავიაში

არჩევნების შედეგები.

ვენა, 10 თებ. არჩევნების შედეგი სამხრეთ სლავიაში ჯერ-ჯერობით შემდეგია:

315 ადგილიდან სკუპშჩინაში (პარლამენტში) 162 მანდატი მიიღო პაშიჩის და პრიბიჩევიჩის ბლოკმა, 140 მანდატი—ოპოზიციამ (წინად მას ჰქონდა 111). მთავრობის პარტიებმა ჯერ-ჯერობით მიიღეს: პაშიჩის რადიკალურმა პარტიამ—141 მანდატი (წინედ 118), პრიბიჩევიჩის დემოკრატიულმა პარტიამ—21 (წინად 15). ოპოზიციონურმა პარტიებმა მიიღეს: რადიჩის პარტიამ—68 (წინად 70), დავიდოვიჩის მომხრეებმა დემოკრატებმა—35 (წინად 33). სოციალ-დემოკრატებმა და ჰუნგრეთის ნაციონალურმა პარტიამ დაჰკარგეს თავიანთი ადგილები სკუპშჩინაში.

არჩევნების შედეგები ამტკიცებენ, რომ თავაშვებულმა ტერორმა საარჩევნო კამპანიის დროს გაადიდა მთავრობის პარტიების მანდატთა რიცხვი მხოლოდ ეროვნულ უმცირესობათა პატარ-პატარა ოპოზიციონურ ჯგუფების ხარჯზე, განსაკუთრებით მაკედონიაში და ვოევოდინაში, სადაც მთავრობამ მიმართა აუწერელ ტერორს. მთავარ ოპოზიციონურ პარტიების წინააღმდეგ მთავრობის ტერორი სუსტი აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით ითქმის რადიჩის პარტიაზე, რომელმაც, მიუხედავათ მისი კანონგარეშე გამოცხადებისა და მასიურ დაპატიმრებათა, წარჩინებულად გაიმარჯვა და შეინარჩუნა თავისი ძველი პოზიციები, პარტიის ყველა ლიდერები ხელახლა იქნენ არჩეული. **რადიჩი ორჯელ იქნა არჩეული.**

ჰამბურგის აჯანყების მონაწილეთა გასამართლება

„შემსუბუქებული“ სასჯელი

ბერლინი, 10 თებერვალი. ჰამბურგის აჯანყების გამო დაწყებულ პროცესზე, პროკურორი სცნობდა შემამსუბუქებელ გარემოებას ურბანსისათვის და მოითხოვდა მიესაჯათ მისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა შემამსუბუქებელ გარემოებათა მხედველობაში მიღებით „სახელმწიფოებრივ ღალატისათვის“. სახელდობრ—ციხეში დაპატიმრება 15 წლით. ფრედისათვის „მონაწილეობის მიღებისათვის“, პროკურორმა მოითხოვა 12 წლის ციხე, იენსენისათვის 6 წლის ციხე, ზაიპენისა და რიულისათვის—5 წელიწადი, ესსურისათვის—3 წელიწადი.

პრუსიის ახალი პრემიერი

ბერლინი. 10 თებერვალი. პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტის არჩევნების შედეგები ლანდტაგში შემდეგია:

ყოფილმა რეიხსკანცლერმა მარქსმა მიიღო 219 ხმა; ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატებმა და ცენტრის პარტიამ. ნაციონალისტების და სახალხო პარტიის კანდიდატმა. ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა და სახალხო პარტიის წევრმა რიხტერმა მიიღო—103 ხმა. სხვა დანარჩენმა პარტიებმა მიიღეს გაცილებით ნაკლები, მაგრამ, არ იციან, შესძლებს თუ არა მარქსი ახალ კაბინეტის შედგენას, თუმცა სოციალ-დემოკრატები, როგორც სჩანს, დასთანხმდენ ხმა მისცენ მარქსს იმ შემთხვევაში, თუ ზევერინგი შეყვანილი იქნება ახალ კაბინეტში.

ბარტელსი—პრუსიის ლანდტაგის თავმჯდომარე.

ბერლინი. 10 თებერვალი. პრუსიის ლანდტაგის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა სოციალ-დემოკრატი ბარტელსი, რომელმაც მიიღო 215 ხმა—182 ხმის წინააღმდეგ. უკანასკნელი ხმები მიიღო ნაციონალისტმა კისმა.

ბელგიის კომპარტიის პროგრამა

პარიზი. 10 თებერვალი. ბელგიის კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა პროგრამა, რომლითაც ის გამოვა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. პროგრამა, სხვათაშორის, აყენებს შემდეგ მოთხოვნილებებს: **საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობა, სამხედრო ვალების გაუქმება, გერმანიის დაპყრობილი ოლქის განთავისუფლება, ბრძოლა დოუესის გეგმის წინააღმდეგ.** შინაური პოლიტიკის სფეროში პროგრამა აყენებს შემდეგ მოთხოვნილებებს: საგადასახადო სისტემის გადასინჯვა, ბრძოლა სიძვირესთან და საბინაო კრიზისთან, კონგოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

კომპარტია აცხადებს, რომ **საარჩევნო კამპანიას ის გამოიყენებს კომინტერნის იდეების პროპაგანდისათვის.**

კიდევ ერთი ყალბი საბუთი

პარიზი. 10 თებ. ნაციონალისტების ორგანომ „ლიბერტემ“ მოათავსა ვითომდა კომინტერნის მიერ საფრანგეთის კომპარტიის ლიდერ კაშენისადმი გაგზავნილი ცირკულიარი კოლონიებში კომუნისტების მუშაობის შესახებ. „იუმანიტე“ ამჟღავნებს ამ დოკუმენტის აშკარა სიყალბეს და აღნიშნავს, რომ როგორც შინაარსით, ისე ფორმით იგი სავსებით ეწინააღმდეგება კომინტერნის მუშაობის პრინციპებს და მეთოდებს.

რა ხდება ბულგარეთში

ბულგარეთის პოლიციის პროვოკაცია.

ვენა. 10 თებერვალი. ბულგარეთის ოფიციალური ცნობის თანახმად, კომუნისტების და გადმოხვეწილ **გლეხების ერთი ჯგუფი** თავს დაესხა საზღვართან მდებარე დაბა **გოდეჩს და დაარბია პოლიციის სამმართველო.** ამავე ცნობის მიხედვით, თითქოს მძიმედ დასჭრეს ერთი ჟანდარმი და რამოდენიმე მოქალაქე. თითქოს, თავდამსხმელთა შორის მოკლულია 6 კაცი და დაპატიმრებულია 5.

განხეთქილება ბულგარეთის გლეხთა კავშირში.

ვენა. 10 თებერვალი. ბულგარეთის გლეხთა კავშირს საბოლოოდ გამოეყო მემარჯვენე ფრთა. მემარჯვენე ფრთის ლიდერები ტომოვი, ტურლიკოვი და მარკოვი ახალ ცირკულიარულ წერილში პარტიის წევრების საყურადღებოთ აცხადებენ, რომ მათ პარტიის მონდობილობით შეადგინეს პრეზიდიუმი და მოუწოდებენ პარტიის წევრებს არ იცნონ ამას წინად არჩეული ახალი პრეზიდიუმი.

კომუნისტების დევნა კოლონიებში

კომუნისტური მოძრაობის შიში.

ბერლინი. 10 თებერ. ჰოლანდიის ინდოეთის მთავრობა ძალიან ჩაფიქრებულია ადგილობრივ მცხოვრებთა შორის კომუნისტურ მოძრაობის გაძლიერების გამო, განსაკუთრებით მოძრაობა ფეხს იკიდებს სკოლებში, რომლებიც ინდოეთის მასწავლებელთა ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან. სუმარანგის პროვინციის პრეზიდენტმა 2 წლით შესწყვიტა სკოლების გახსნის ნებართვის გაცემა.

სპეკულიანტ ბარმატის საქმე

გაიქცა პარტიიდან

ბერლინი. 10 თებერვალი. მინისტრის ყოფილი ამხანაგი სოციალ-დემოკრატი ავგუსტ მიულერი გავიდა პარტიიდან და გადავიდა დემოკრატების ბანაკში. პარტიიდან გასვლას ის ასაბუთებს იმით, რომ ბარმატის საქმეში მონაწილეობას იღებდენ სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილი ლიდერები.

გეფლე ითხოვს პატიებას

ყოფილმა მინისტრმა გეფლემ, რომელსაც დაუმტკიცდა ბარმატისაგან ფულის აღება, უარი განაცხადა რეიხსტაგის დეპუტატობაზე და განაცხადა, **რომ ის გადადის პროკურატურის განკარგულებაში. მაგრამ ითხოვს პატიებას.**

სპარსეთის ამბები

ინტრიგები რიზა-ხანის წინააღმდეგ.

თეირანი. 9 თებერვალი. იუწყებიან, რომ სპარსეთის ზოგიერთი პოლიტიკური წრეები ემყარებიან რა სპარსეთის დინასტიის სახელის გამტეხ დოკუმენტებზე, აყენებენ საკითხს პრემიერის რიზა-ხანის რეგენტობის შესახებ.

გუშინ პრემიერი გამოცხადდა მისი თხოვნით მოწვეულ მეჯლისის ყველა ფრაქციათა წარმომადგენლების თათბირზე, რომელსაც დაესწრო 21 დეპუტატი და აღნიშნა, რომ **მომავალში შეუძლებელი იქნება სახელმწიფოებრივი მუშაობა, თუ სასახლესთან ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდაო.** რიზა-ხანი სთხოვდა გამონახოთ კანონიერი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იძულებული იქნება მიმართოს რეფერენდუმს.

სპარსეთის დინასტია.

ლონდონი. 10 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ, რომ საკითხი სპარსეთის დინასტიის ბედის შესახებ ხელახლა დასმულია დღის წესრიგში. მინისტრ-პრეზიდენტმა რიზა-ხანმა მეჯლისს მიმართა ულტიმატიური მოთხოვნილებით **„მოახდინოს არჩევანი რიზა-ხანსა და შახს შორის“.**

განხეთქილება იტალიის ფაშისტებში

რომი, 10 თებერვალი. დეპუტატები ტორრე, ბოიდო და რებორა, რომლებიც ამ დღეებში გამოვიდენ ფაშისტური პარტიიდან, აცხადებენ, რომ ისინი იძულებული იყვნენ გამოსულიყვნენ პარტიიდან იმის გამო, რომ ფაშისტურ პარტიაში ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში გაძლიერდა რეაქცია, რასაც ხელი შეუწყო ნაციონალისტების გადასვლამ ფაშისტების ბანაკში. აღნიშნულ დეპუტატებს განზრახვა აქვთ დაიცვან პროგრამა „პირველი პერიოდის ფაშიზმისა, როდესაც ფაშისტები არ ყოფილან ბურჟუაზიის ლაქიებად, არამედ იცავდენ მშრომელთა ინტერესებს“. ფაშისტური პარტიიდან გამოსულმა დეპუტატებმა მოაწყვეს დამოუკიდებელი ჯგუფი.

ლიტვა

ბურჟუაზიული ციხეების საშინელებანი

ბურჟუაზიის ციხეებში ათი ათასობით არიან გამომწყვდეული მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები. ჩვენ არა ერთხელ გვქონია მოყვანილი ცნობები, თუ როგორ მხეცურად ეპყრობიან მათ კაპიტალის მიერ დაქირავებული ჯალათები. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „დამოუკიდებელ“ ლიტვის „შემოქმედება“.

ლიტვის საკანებში (როგორც ყველა სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებშიც) ჩაყრილია მეტ ნაწილად ისეთი მუშები და გლეხები, რომელთა წინააღმდეგ არავითარი საბუთი არ მოეპოვება ლიტვის „ოხრანკას“. მათზე მხოლოდ ეჭვი აქვთ, რომ ისინი არიან კომპარტიის წევრები, ან აწარმოებენ რევოლიუციონურ მუშაობას. საჭიროა ამ „ეჭვის“ გამაგრება „ფაქტებით“, თვით დაპატიმრებულების გამოტეხა „ჩადენილ დანაშაულში“. და აი, ჯალათები მიმართავენ დაპატიმრებულთა წამებას, „გამოტეხას“.

გაზ. „პრავდა“-ს ლიტოველი კორესპონდენტი აგვიწერს ბურჟუაზიულ ჯალათების „მიღწევებს“ ამ დარგში:

„იმ პირებს, რომლებიც უნდა აწამონ, ხელში აძლევენ ლითონის ორ ღერძს და იმ წამსვე აერთებენ მათ ელექტრონის ქსელთან. მსხვერპლის ხელები მიეკვრება ღერძს და ამ უკანასკნელს აღარ შეუძლია მოწყვეტა ელექტრონის მავთულიდან. იწყება ჯოჯოხეთური თამაში, ბრალდებულს აძლევენ შეკითხვებს, და თუ ის შემკითხველისთვის „საჭირო“ პასუხს არ იძლევა, მაშინ აძლიერებენ ნაკადს. ჯალათები თავისი გახურებული მანქანებით—ელექტრონის ნაკადის სახით—დაღავენ მსხვერპლის სხეულს, გლეჯენ გულს, ამახინჯებენ ტვინს, კუმშავენ და გლეჯენ ყოველგვარ კუნთებს. იყო რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ბრალდებულები ჭკუაზე შეირყენ წამებისაგან. ელექტრონის ნაკადი იწვევს ყველა ძარღვების დაჭიმვას, სხეულის ყველა კუნთების კრუნჩხვას; ის ძაგძაგს აწყებინებს წამებულებს, რომლებსაც ამის შემდეგ არ შეუძლიათ წელში გამართვა. და როგორც საშუალო საუკუნეებში „კუდიანები“ აღიარებდენ თავის კავშირს ეშმაკთან, ისე ლიტვის ციხეებშიც წამებულები, ჯოჯოხეთურ ტანჯვის ასაცილებლად, იძულებული არიან მისცენ სრულებით ყალბი ჩვენება“.

„ოხრანკის“ გმირებს „სიმართლის გამორკვევაში“ საჭირო დახმარებას უწევს ბურჟუაზიის „ზეკლასიური, მიუდგომელი“ სასამართლო, ამ შემთხვევაში პროკურორის სახით:

„იმ ოთახის გვერდით, რომელშიაც ბრალდებულებს აწამებენ, ზის პროკურორი, ბურჟუაზიის ისეთივე ლაქია, როგორც თვით ჯალათებიც, და მსხვერპლს, რომელმაც საჭირო ჩვენება მისცა ჯალათს, მიიყვანენ მასთან, რომ მან „ნებაყოფლობით“ გაიმეოროს თავისი ჩვენება და ხელი მოაწეროს დაკითხვის ოქმს“.

გარდა ამ „ელექტროფიკაციის მეთოდის“, მუშათა კლასის „გონებამახვილ“ ჯალათებს გამოუგონიათ კიდევ სხვა ასე ვსთქვათ „სამედიცინო“ ხასიათის საშუალება პატიმართა „გამოსატეხად“.

„მსხვერპლს ხდიან ტანისამოსს და უკეთებენ მუცლის „მასაჟს“. ეს მასაჟი მდგომარეობს იმაში, რომ უხეში და ძლიერი ხელის დაჭირებით დიდი ხნის განმავლობაში მსხვერპლს უკუმშავენ მუცლის გარემოს და ამრიგათ საშინელ ტკივილს აყენებენ სხეულის შინაგან ორგანოებს. მაგრამ კვალი კი არავითარი არ რჩება“.

ასეთია გამხეცებული ბურჟუაზიის „უკანასკნელი სიტყვა“ მუშების და გლეხების ტანჯვა-წვალების საქმეში. არსებითად ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი ყველგან, სადაც კი მეფობს კაპიტალი.

ჩვენ ეს არ გვიკვირს. აქ მხოლოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველაფერ ამაზე სდუმან „სოციალისტები“. კიდევ მეტი: ისინი, სადაც ხელი მიუწვდებათ, თვითონ გამოდიან ინკვიზიტორების როლში მუშათა კლასის წინააღმდეგ.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-საბჭოთა მოქმედების კომიტეტი დამხობას უმზადებს ყვითელ ინტერნაციონალს.

ლონდონი. 10 თებერვალი. „ტაიმსი“ ინგლისის პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის ორგანიზაციის მდივნის პოლიტ პრესას წარმომადგენლებთან განცხადების შესახებ ამბობს, რომ ბრიტანეთის კომპარტია ამსტერდამის რეზოლიუციას სთვლის თავის დამარცხებად.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ ბრიტანეთის კომპარტია, ითვალისწინებს რა მოსკოვის პასუხს ამსტერდამის რეზოლიუციაზე, მოუწოდებს პროფკავშირთა დელეგაციას, რომელმაც ინახულა საბჭოთა კავშირი, აიძულოს გენერალური საბჭო დაამტკიცოს ინგლის-საბჭოთა მოქმედების კომიტეტი. დასასრულ გაზეთი ამბობს რომ ამ კომიტეტმა შეიძლება მომავალში ამსტერდამის ინტერნაციონალი დამხობამდე მიიყვანოს.

საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის დამოკიდებულება.

პარიზი. 10 თებერვალი. „ტანი“ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ სწერს: მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთი სცნობს თავის ვალებს მოკავშირეებისადმი რუსეთი უარს ამბობს საფრანგეთის ვალების გადახდაზე. გაზეთის აზრით თუმცა ეს ვალები მეფის მთავრობის მიერ აღებულია, მაგრამ ისინი მოხმარდენ რუსეთის ეკონომიურ მოწყობას, რომელიც მიიღო მემკვიდრეობით საბჭოთა კავშირმა.

„ტან“-ს მიუღებლად ნაჩნია „იზვესტია“-ში გამოქვეყნებული კრასინის ფორმულა, რომლის მიხედვით ვალების გადახდა დამოკიდებული საბჭოთა კავშირისთვის გრძელვადიანი სესხის მიწოდებაზე.

გერმანიის „ჩეკას“ გასამართლება

განსაკუთრებული ზომები.

ლეიპციგი. 10 თებერვალი. დღეს დაიწყეს ფელიქს ნეიმანის და სხვათა გასამართლება ეგრეთწოდებულ „გერმანულ საგანგებო კომისიის“ შესახებ. პოლიციამ აკრძალა ყოველგვარი დემონსტრაციები სასამართლოს წინ. სასამართლოში გამოცხადდა 12 ბრალდებული. სასამართლოში არიან უმაღლესი მთავრობის წარმომადგენლები და 60 ჟურნალისტი. დამცველთა რიცხვი უდრის 12.

სასამართლოს თავმჯდომარეა. თავმჯდომარეობს ვინდერი, რომელიც განთქმულია სასტიკი განაჩენებით კომუნისტების მიმართ. დამცველი გოლდშტეინი მოითხოვს ვიდნერის განთავისუფლებას თავმჯდომარეობიდან, რადგანაც ის დამცველთა მიერ გამოწვეულია მოწმეთ. დამცველი ამბობს, რომ სიცრუეა ბრალდების მტკიცება, თითქო საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას რაიმე კავშირი ქონდეს გერმანიის კომპარტიის ხიერ იარაღის გადაზიდვის საქმესთან. შმიდტის და სხვათა გასამართლების დროს ეს ბრალდება უარყოფილ იქნა და ვიდნერი გამოწვეულია დამცველთა მიერ, როგორც მოწმე. მის დასადასტურებლათ სასამართლო ვიდნერის თავმჯდომარეობით არ აკმაყოფილებს დამცველთა მოთხოვნილებას.

დამცველთა პროტესტი

დამცველები შუამდგომლობენ გამოწვეულ იქნან მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ რომ კომპარტიას არავითარი დამოკიდებულება არ ქონია საბჭოთა წარმომადგენლობასთან. ამ შუამდგომლობის განხილვა გადაიდვა ბრალდებულთა დაკითხვის დათავებამდე. დამცველები პროტესტს აცხადებენ აგრეთვე იმ ბრალდების წინააღმდეგ, თითქო საბჭოთა წარმომადგენლობას რაიმე დამოკიდებულება ქონდა იარაღის მიწოდებასთან.

დამცველები პროტესტს აცხადებენ შესახებ იმისა, რომ სასამართლო კომუნისტ-დამცველებს სასამართლოში გამოსვლის უფლებას არ აძლევდა. დამცველები პროტესტს აცხადებენ აგრეთვე სასამართლოს განზრახვის წინააღმდეგ, რომ პროცესი ორი დღის გამოძიების შემდეგ შეწყდეს, რათა ზოგიერთ ბრალდებულთ, რომლებზეც მიტანილია ეჭვი პროვოკატორობაში, მიეცეს საშვალება გამოვიდნენ ბრალდების მოწმეთ კომუნისტების მეორე პროცესში სამხრეთ გერმანიაში.

კომუნისტ-დამცველთა მოთხოვნილება.

4 დამცველი კომუნისტი მოითხოვს თავმჯდომარის და მთელი სასამართლოს გადადგომას, რადგანაც ისინი მიუდგომლობას ვერ გამოიჩენენ. ეს შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა.

პატრიარქიდან ელიან შველას

ვენა. 10 თებერვალი. რუმინეთის პრესა წინააღმდეგია საბერძნეთში მსოფლიო პატრიარქის რეზიდენციის გადატანის და იმედი აქვს, რომ რუმინეთის პატრიარქატის შექმნით რუმინეთი გავლენას მოიპოვებს მართლმადიდებელ ეკლესიაზე.

სისხლიანი არჩევნები სამხრეთ-სლავიაში

ვენა. 10 თებერვალი. მოდის ცნობები მრავალ სისხლისმღვრელ შეტაკებებზე ხორვატიაში, სადაც მოკლულ იქნა რადიჩის პარტიის რამოდენიმე მომხრე. არის ხმები რომ მთავრობას სურს შექმნას განსაკუთრებული კომისიები რადიჩის პარტიის მიერ მიღებულ მანდატების შესამოწმებლათ.

უდეგესტი ლოზოვსკის წინააღმდეგ.

ბერლინი. 10 თებერვალი. „მეტფოლკ“-ში უდეგესტი ილაშქრებს ლოზოვსკის წერილის წინააღმდეგ (წითელი პროფინტერნი) ინგლის-საბჭოთა მოქმედების კომიტეტის მუშაობის შესახებ. უდეგესტი ამბობს, რომ ლოზოვსკი სრულებით უარყოფს ვენის რეზოლიუციებს პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობის შესახებ და იხსნის პასუხისმგებლობას საქარხნო კომიტეტების მოწყობაზე. უდეგესტი ამბობს, რომ 21 მუხლში ზოგიერთი ეხებოდა ამსტერდამის ინტერნაციონალის მოსპობის საკითხს.

რა ხდება უცხოეთში.

პოლონელმა პანებმა ახალი ბატონი მონახეს

საკითხი რიდის და დილონის ამერიკული ფინანსიური ჯგუფის მიერ პოლონეთისათვის 50 მილიონ დოლარის სესხის მიცემის შესახებ გადაწყვეტილათ ითვლება. ამერიკელი ბანკირების პირობების თანახმათ, ეს ფული არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხმარდეს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას. ბანკირებმა მოითხოვეს, რომ იმ დრომდი, სანამ ისინი არ სესხის ანგარიშში შეიტანებენ პირველ თანხას, პოლონეთის მთავრობამ სეიმის საშუალებით უნდა გაატაროს წლიური უდეფიციტო ბიუჯეტი. ამის გამო სეიმმა პლენარული სხდომა შესწყვიტა განუსაზღვრელი დროით. საბიუჯეტო კომისია, რომელიც ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს ბიუჯეტის შესადგენად.

სესხის პირობები ჯერ-ჯერობით საიდუმლოებით არის მოცული. გრაბსკიმ მოიწვია პოლონეთის სეიმის ყველაზე უფრო ძლიერი ფრაქციების ბელადთა თათბირი, რომელსაც წარუდგინა სესხის პირობები. ამ თათბირის შემდეგ უეცრათ შეწყდა ყოველგვარი ლაპარაკი კაბინეტის მოსალოდნელ კრიზისის შესახებ; ამის გამო ფიქრობენ, რომ გრაბსკის მთავრობას მხარს უჭერენ ამერიკელები.

სავაჭრო-სამრეწველო წრეებში ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ამერიკელები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან პოლონეთის შაქრის მრეწველობით. შაქრის გაძვირებას, თითქოს, უშუალო კავშირი აქვს იმ სესხთან, რომელსაც აძლევენ პოლონეთს ამერიკელები.

რა ხდება „დემოკრატიულ“ ესტონეთში

დეპუტატმა ბარანოვმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა ესტონეთის პარლამენტში, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პრიჩუდიის და პრიჯაროვსკის მხარის მოსახლეობა, რომელიც უმთავრესად რუსებისაგან შესდგება, მეტად მძიმე პირობებში იმყოფება. მათ შორის გაჭირვება დღითი-დღე ძლიერდება. მიწის რეფორმა სრულებით არ შეეხებია რუსებს. მიწების დაყოფის მაგიერ ადგილი აქვს იმ მიწების ჩამორთმევის შემთხვევებს, რომლითაც რუსი გლეხები ესტონეთში დიდი ხანია სარგებლობენ.

„იმ მილიონ მარკას, რომელიც გაიგზავნა იურევის საერობო სამმართველოს საშუალებით წყალდიდობისაგან დაზარალებულ მეთევზეების სასარგებლოდ, შეემთხვა ისეთი ისტორია, რომ პირდაპირ სირცხვილია მასზე ლაპარაკი. თითქმის არც ერთს მეთევზეს არც ერთი გროში არ მიუღია—ამბობს ბარანოვი. ყველაფერ ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ავერმა დაჰკარგა დემოკრატიული პრინციპების იმედი“.

ერთიანი ფრონტი პროლეტარიატის წინააღმდეგ

იტალიელ ფაშისტებს სურთ დააშინონ ბურჟუაზია, რომ მან უარი არ თქვას ფაშისტებთან თანამშრომლობაზე. ამისათვის ისინი ბევრს ლაპარაკობენ კომუნისტურ საფრთხეზე. ფაშისტური პრესა სცდილობს კომპარტიის ბოლშევიკური პრინციპების ქადაგება შეაფასოს, როგორც მოწოდება შეიარაღებული დემონსტრაციებისა და აჯანყებისაკენ.

მაგრამ იტალიაში არავის სჯერა პროლეტარიატის მასიური, შეიარაღებული გამოსვლების შესაძლებლობა ეხლანდელ მომენტში და ყველა ღირსეულათ აფასებს ფაშისტური პრესის გაიძვერულ გამოსვლებს. ბურჟუაზია ვერ ხედავს უშუალო საშიშროებას პროლეტარიატის მხრიდან, მაგრამ, ის მაინც მტკიცეთ დარწმუნებულია იმაში, რომ პროლეტარიატი ისევ გადავა თავდაცვიდან შეტევაზე.

შიში „იმ საფრთხის წინაშე, რომელიც ნელა, მაგრამ მაინც ძლიერდება (კლერიკალების—ფილოფაშისტების ორგანო „ჩივილტა კატოლიკა“-ს თქმით) აიძულებს მსხვილი ბურჟუაზიის ერთ ნაწილს მხარი დაუჭიროს ფაშიზმს, რადგან ის მასში ფიქრობს გამოძებნოს ის ძალა, რომელიც შესძლებს პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობას. მილანში, მსხვილი მრეწველობის ინიციატივით, შექმნილი იყო „ქვეყნის ცოცხალი ძალების“ კომიტეტი. ასეთივე კომიტეტები მოაწყვეს ტურინში და ბოლონიაში. ამ ახალ კომიტეტებში შედიან როგორც მემარჯვენე კათოლიკები, ისე მემარჯვენე ლიბერალები და ლიბერალ-კლერიკალები“.

ვაჭრობა სარწმუნოებრივი უქმეების დღეებში

მოსკოვი, 9 თებერვალი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ცაკებს, საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო აღმასკომებს ანგარიში გაუწიონ მოსახლეობის გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებლობას და წინადადება მისცენ კოოპერატიულ და კერძო წარმოებებს, რომლებიც პირველი მოთხოვნილების საგნებით ვაჭრობენ, და აგრეთვე რესტორანების, სასადილოების და საჩაიების მეპატრონეებს არ შეწყვიტონ მუშაობა სარწმუნოებრივი ანდა სხვა მოტივების გამო იმ დღეებში, რომლებიც შრომის კანონთა კოდექსით აღიარებული არ არის სარწმუნოებრივ დღესასწაულებათ.

ეს აკრძალვა არ ვრცელდება კერძო წარმოებებზე, რომელთა მუშაობის დროებითი შეწყვეტა არ არღვევს მოსახლეობის ინტერესებს.

კერძო წარმოებების მეპატრონეებმა, რომლებიც მუშაობას შესწყვიტავენ იმ სარწმუნოებრივი უქმეების დღეებში, რომლებიც აღნიშნული არ არის შრომის კანონთა კოდექსში, ამ დღეების შრომის ხელფასი უნდა მისცენ მუშა-მოსამსახურეებს ჩვეულებრივი წესით.

იმ შემთხვევაში, თუ კერძო მწარმოებლები არ შეასრულებენ სავალდებულო დადგენილებებს, ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ცაკებს, საოლქო და საგუბერნიო აღმასკომებს უფლება ეძლევათ დამნაშავეები დააჯარიმონ ადმინისტრატიული წესით.

საკავშირო ცაკის სესია თბილისში

საუბარი ამხ. ნარიმანოვთან

მოსკოვი. 10 თებერ. „როსტას“ წარმომადგენელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ნარიმანოვმა, საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის თბილისში მოწვევის გამო, განაცხადა:

„ამას აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის მოწვევით თბილისში ჩვენ ვანხორციელებთ საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილებას იმის შესახებ, რომ ცაკის სესიები მოწვეული იქნას დამოუკიდებელ რესპუბლიკებში. შემდეგი სესიის მოწვევა განზრახულია უკრაინაში. შემდეგი სესიის მუშაობა იწარმოებს ბელორუსიაში და სხვა.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში სესიების მოწვევის მიზანია ჯერ ერთი ის, რომ საბჭოთა კავშირის ცაკის წევრები გაეცნონ ამ რესპუბლიკებს, მათ ყოფა-ცხოვრებას და საჭიროებებს, მეორე,—რათა ცენტრალური ხელისუფლება დაუახლოვდეს ადგილობრივს.

სესიის მუშაობა დაანახვებს სხვა-სხვა რესპუბლიკების მცხოვრებლებს, რომ ჩვენ არა სიტყვით, არამედ საქმით ვანხორციელებთ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და მართლაც ჩამორჩენილ ერებს ვაძლევთ ეკონომიურ და კულტურულ ძალთა ყოველმხრივ განვითარების საშუალებას.

მთავრობის უმაღლესი ორგანოები, გაეცნობიან რა ადგილობრივ საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთა ცხოვრებას, შესძლებენ უფრო სრულად გადასჭრან ის ამოცანები, რომელიც დაკავშირებულია მათ განვითარებასთან და ზრდასთან“.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ექვსი თუ შვიდი საათი?

მოსკოვი, 10 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი წინააღმდეგია ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის იმ პროექტის, რომელიც შეეხება 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის აპარატში.

ერთა ლიგა გვეპატიჟება

მოსკოვი, 10 თებერვალი. გზათა სახალხო კომისარიატმა ერთა ლიგის გენერალურ მდივნისაგან მიიღო მისაპატიჟებელი ბარათი, რომელშიაც ერთა ლიგა სთხოვს კომისარიატს გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ლიგის ტეხნიკურ კომიტეტში, რომელმაც უნდა შეისწავლოს საკითხი შინაური მიმოსვლის გემების წყალთ-საზომების გაერთიანების შესახებ. კომიტეტის მუშაობა დაიწყება პარიზში, 25 თებერვალს.

გზათა სახალხო კომისარიატმა დაადგინა ტეხნიკური კომიტეტის სხდომებზე გაგზავნოს ამხ. ლეპინი.

ახალი ეპიდემია.

მოსკოვი, 10 თებერვალი. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცნობით, ტულაში ცერებროსპინალურ მენინგიტით დაავადება ბავშვთა შორის, რის შესახებაც „როსტა“ იუწყებოდა 3 თებერვლის თარიღით, არ გავრცელებულა და განისაზღვრა მხოლოთ 5 შემთხვევით.

მეტროპოლიტენი ლენინგრადში

ლენინგრადი. 10 თებერვალი. ლენინგრადის კომუნალურ მეურნეობის სამეცნიერო ტეხნიკურმა საბჭომ საჭიროთ სცნო ლენინგრადში მეტროპოლიტენის (მიწის ქვეშა რკინის გზის) აშენება. მეტროპოლიტენის მიმართულება შეთანხმებული იქნება ქალაქის ახალ გეგმასთან.

ხოჯსონის ჩამოსვლა

მოსკოვი. 10 თებერვალი. 10 თებერვალს დაბრუნდა ინგლისის საქმეთა რწმუნებული მოსკოვში ხოჯსონი.

ქარბუქი

ასტრახანი. 10 თებერვალი. კალმიკთა ველზე გადაიარა არაჩვეულებრივი ძალის თოვლის ქარიშხალმა. საქონლის ჯოგი, ქარბუქის გამო გაიფანტა ველში.

იშვიათი ცხოველები

ასტრახანი. 10 თებერვალი. კალმიკთა ველში გაჩნდა გარეული ცხვრების ფარა, რომელიც ძალიან იშვიათად მოიპოვებოდენ კალმიკთა ველში.

პარიზის კომუნის დღე „რემედას“-ის დღეა

მოსკოვი. 11 თებერვალი. პარიზის კომუნის წლის თავის დღე—18 მარტი გამოცხადებულია „რემედას“-ის საერთაშორისო დღეთ.

მგლების თავდასხმა

ნიჟნი-ნოვგოროდი. 11 თებერვალი. რკინის გზის პლატფორმაზე ზიმინკასთან მგლები თავს დაესხენ საბარგო მატარებელს, რომელიც დატვირთული იყო ღორებით. შეიარაღებულმა დარაჯებმა დიდი გაჭირვებით მოიგერიეს მგლები. მხეცები დადიან მრავალრიცხოვან ხროვებათ და თავს ესხმიან შინაურ საქონელს, მთელს გუბერნიაში მგლებისაგან განადგურებულია დაახლოვებით 9000 სული საქონელი.

პუშკინის ბინაზე

ლენინგრადი. 11 თებერვალი. პუშკინის გარდაცვალების წლის თავზე საზოგადოებამ „ძველი ლენინგრადი“ გამართა საზეიმო კრება იმ ბინაზე, სადაც გარდაიცვალა პუშკინი—სახლი № 12 მოიკაზე. ბინა გადაკეთებულია პუშკინის მუზეუმად.

საარჩევნო უფლების განმარტების პროექტი

მოსკოვი. 10 თებერვალი. საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი განმარტებისა საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც თავიანთი სოციალური მდგომარეობის გამო არ ჰქონდათ ასეთი უფლება და რომელთა სოციალური მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. ამათ ეკუთვნიან რელიგიურ კულტის მსახურნი, რომელთაც თავისი ნებით დაანებეს თავი თავიანთ ხელობას, ყოფილი ვაჭრები და სხვა. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის პროექტის თანახმად, [illegible] შემადგენლობა საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ განხილული უნდა იქნას არა ცაკის პრეზიდიუმის მიერ, როგორც ეს დღემდის ხდებოდა, არამედ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში.

მხოლოდ მოქალაქეთა ერთ კატეგორიისათვის, რომელსაც წართმეული აქვს საარჩევნო უფლება—რჩება ძველი მდგომარეობა—მაგ. პოლიციის ყოფილ აგენტებისათვის, ჟანდარმების განსაკუთრებულ კორპუსებში მოსამსახურეთათვის და სხვა.

განმარტების პროექტი გადაეცემა განსახილველად სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს.

მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ *)

საქართველოს მიწის კოდექსი, 1924 წლის პირველ აპრილიდან სამოქმედოთ შემოღებული, შეიცავს უმთავრესად იმ საკანონმდებლო აქტებიდან გადამუშავებულ მასალას, რომელიც მთავრობის დეკრეტებისა და დადგენილებების სახით კოდექსის გამოცემამდე გამოვიდა რუსეთსა და საქართველოში. დიდი დრო არ გასულა, რაც კოდექსი მოქმედებს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში წამოიჭრა ზოგი ისეთი საკითხები, რომელთა მიზანშეწონილათ და ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეთანხმებით გადაჭრა აუცილებლად საჭიროა, რაც მოითხოვს კოდექსის დამატებას ან ზოგ მუხლის შეცვლას. ასევე ხდება რუსეთშიაც. ამჟამად იქ კოდექსის გადამუშავებაზე მუშაობს ცალკე კომისია.

პირველი საკითხი, რომელიც ცხოვრებამ დააყენა ჯერ კიდევ კოდექსის გამოცემამდე, ხოლო კოდექსმა ის მხოლოდ ზოგადად გადასჭრა, არის მიწით მოსარგებლის უფლება მის მიერ მიწაში შეტანილ გაუმჯობესებათა გამოყენებაზე ისე, როგორც მას სურს, ე. ი. თავისუფლება შენობების, ნაშენის და ყოველგვარი ნამოქმედების გაყიდვისა, რაც მჭიდროთაა დაკავშირებული მიწასთან და შეიძლება გადაცემა სხვაზე, მხოლოდ მიწასთან ერთად. ეს საკითხი იმდენათ მწვავეთ იდგა რუსეთში, რომ ჯერ კიდევ კოდექსის გამოსვლამდე გამოცემული იყო 1921 წელს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი № 50, რომლითაც ნება დართულ იქნა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ შენობების გაყიდვა ერთი შეზღუდვით: საჭიროა სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების ნებართვა. რაც შეეხება ნაშენის (ხეხილის და სხვა მცენარეების) გაყიდვას, ეს ნებადართულ იქნა 25 სექტემბრის 1923 წლის განმარტებით № 195526, მხოლოდ იმ პირობით, რომ მყიდველს ნებართვა უნდა ჰქონდეს აღებული ან სოფლის საზოგადოებისაგან ან საადგილ-მამულო ორგანოსაგან.

როგორც ვხედავთ, იქ აღიარებულია სოფლის მეურნის თავისუფლება მისი ნაშრომის გაყიდვა-განაღდებაზე. მხოლოდ ხელისუფლების საზრუნავ საგანს შეადგენს, რომ, რადგან შენობებისა და ნაშენის გაყიდვა გულისხმობს მიწის გადაცემასაც მყიდველზე,—ეს მყიდველი იყოს მშრომელი მიწის მოსარგებლე, ან ერთი მოსარგებლის ხელში არ მოიყაროს თავი ორმა სამოსახლომ ან საშრომო ნორმაზე მეტმა მიწამ, ამ მოსაზრებითაა გამოწვეული, რომ ყიდვა-გაყიდვა რამოდენიმეთ შეზღუდულია და საჭიროა ნებართვა სოფლის საზოგადოებისაგან ან სამაზრო ხელისუფლებისაგან. ასეთი ყიდვა-გაყიდვის საჭიროება საქართველოშიც არის და შეიძლება მეტიც, ვინემ ეს რუსეთშია, მაგრამ ჩვენში ეს ხდება არალეგალურათ, რაც ნორმალური არაა, ერთისმხრივ როგორც ყოველი არალეგალური მოქმედება და მეორე მხრით—ის ხელოვნურათ ჰბოჭავს ხალხის თვითმოქმედებას და სპობს მუშაობის სურვილსა და შემოქმედებას. ესეც არ იყოს, საქართველოს მიწის სივიწროვის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ ნაწილი სოფლის მცხოვრებთა თავისუფლათ შესძლებს მისი ნაშრომის განაღდებას და ცხოვრების პირობების გამოცვლას და ჩაებმება მრეწველობის დარგში, რაც სასარგებლო იქნება როგორც სოფლის მეურნეობისა, ისე მრეწველობისათვის

ზემოხსენებულის მიხედვით დროული და მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მიწის კოდექსის მუხლი 23 გადაკეთებულიყო შემდეგნაირად: „ყველა ნაგებობი, შენობა, ნათესი, მცენარე და, საერთოდ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთთან და რაც მიწის მუშის სარგებლობაშია, ეკუთვნის მას. ყიდვა-გაყიდვა ისეთი ნაგებობისა, შენობისა და მიწის მოსარგებლის სხვა ნაშრომისა მიწიდან აუცილებლად თავისუფალია და მოხდება სამაზრო აღმასკომის ნებართვით“.

მეორე საკითხი ეხება მიწათ-მოწყობის პროცესში აღძრულ დავების განხილვის წესს. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა თავის დადგენილებით, 1923 წლ. 22 თებერვლის თარიღით,—რათა ერთხელ და სამუდამოთ აღმოფხვრილიყო სოფლად დარჩენილი ფეოდალური ნაშთები და ამავე დროს დაჩქარებულიყო მიწის რეფორმის განხორციელება,—შესცვალა არსებული წესი ამ რეფორმით გამოწვეული მუშაობისა იმით, რომ საქმის სიმძიმე ცენტრიდან, მიწათ-მოქმედების კომისარიატიდან, გადაიტანა ადგილებზე, სასოფლო და სათემო კომიტეტებში. ამასთან იმავე მიზნით შესცვალა აგრეთვე მიწის სადაო საქმეების განხილვის შეჯიბრებითი წესი სარევიზიო წესზე. ც. ა. კ. დადგენილებამ სულ მოკლე ხანში მიაღწია მიზანს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მიწა მხოლოდ მიწის მუშის ხელშია.

მიწის კოდექსმა გაუწია რა ანგარიში ამ უკანასკნელ გარემოებას, მიწის რეფორმის შესრულების საქმე ისევ დაუბრუნა ცენტრს—მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს, და სასოფლო და სათემო მიწის კომიტეტები გაუქმებულ იქნა. ცხადია, აგრეთვე ცვლილება უნდა მომხდარიყო მიწის სადაო საქმეების შესახებაც და უნდა აღდგენილიყო შეჯიბრებითი წესი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და სარევიზიო წესი ძალაში დარჩა, რასაც ერთგვარი დისონანსი შეაქვს კოდექსის მთლიანობაში, ხოლო სოფლის მეურნის ინტერესებს კარჩაკეტილ სხდომების ანაბარა სტოვებს და უსპობს მას უფლებას—საჯაროთ დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესი. მაშინ, როდესაც რუსეთში მიწის დავის განხილვის დროს დაცულია საერთო სასამართლოს წესი და უზრუნველყოფილია მუშა-გლეხური სამართლიანობა, ჩვენში ეს საქმე ბიუროკრატიზმის სახეს ღებულობს და ძალიან ხშირად მიწის პატრონმა არც კი იცის, რომ მისი მიწის შესახებ სადღაც ვიღაცას რაღაცა დაუდგენია და ერთ მშვენიერ დღეს მას ეტყვიან, ესა და ეს ადგილი დასცალე, რადგან ის ამა და ამ პირს მიუსაჯეს. ასეთი წესი დაუშვებელია, მით უფრო დღეს, როცა ხელისუფლება სცდილობს მთელი მშრომელი მასა დაიახლოვოს, წელში გამართოს და სახელმწიფოს აღმშენებლობაში აქტიურათ ჩააბას.

ამის გამო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სადაო საქმეების განხილვა სარევიზიო წესით ვერ აღწევს თავის მიზანს საქმეში საჭირო საბუთების უქონლობის გამო; რომ საკმარისად არ ჩაითვლება დაბალი ორგანოების ოქმებიდან ამოღებული ცნობები; რომ თითონ ოქმებს ძალიან ხშირათ აკლიათ გარკვეულობა და დასაბუთება; რომ არა ერთხელ საჭიროთ ხდება საქმეების უკან გაბრუნება ამ ნაკლულევანებათა შესავსებათ და ისიც მიზანმიუღწეველი რჩება; რომ ერთხელ გადაწყვეტილი საქმე ხელმეორედ ირჩევა,—უნდა ვიცნოთ მიზანშეწონილად შეჯიბრებითი წესის აღდგენა საადგილმამულო დავების განხილვის დროს საადგილ-მამულო ორგანოების მიერ, როგორც ეს ხდება სხვა დავების განხილვის დროს, რისთვისაც საჭიროა მიწის კოდექსის მე 161 მუხლის შენიშვნის გაუქმება, ხოლო თვით 161 მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი: „საქმე კოლეგიაში გაირჩევა საჯარო საერთო სასამართლოს პროცესუალურ მხარის დაცვით“ ხოლო 164 მუხლში სიტყვებს შორის „დადგენილებაზე“ და „საჩივარი“ უნდა ჩაემატოს სიტყვა „საკასაციო“.

მესამე საკითხი ეხება ფიზიკური შრომის მუშებს, სოფლის მასწავლებლებს და ზოგი სხვა დარგის თანამშრომლებს, რომელთათვისაც მიწის ნორმის ნახევრის დატოვება დამოკიდებულია სასოფლო საბჭოთა ნებისყოფაზე. ამ დებულებით სოფლის საბჭოს უფლება ეძლევა დაუტოვოს ან არ დაუტოვოს მიწა ქალაქში მომუშავე ფიზიკურ შრომის მუშას, სოფლის მასწავლებელს, აგრონომს, ბითალს და სხვებს და არავითარი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ამ შემთხვევაში, არ არის ნაჩვენები: მოესურვება — დაუტოვებს, არა და მისი ნებაა. ასეთი დიდი უფლების მინიჭება სოფლის საბჭოებისათვის, რა გინდ უზრუნველყოფილი იყოს საბჭოებში პატიოსანი და უმწიკვლო პირების არჩევა, მაინც მიუღებელია. სოფლის საბჭოსთვის ასეთი უფლების მინიჭების გამართლება შეიძლებოდა, როგორც დროებითი ზომის, მხოლოდ 1923 წლის თებერვალ-მარტში (ეს ცვლილება შეტანილია ძირითად კანონში 1923 წლ. 22 თებერვლის დადგენილებით), როცა სწყდებოდა ბედი სოფლად დარჩენილ ფეოდალურ ნაშთებისა და უფლებრივი ხასიათის საკითხების დრო აღარ იყო, ხოლო მას შემდეგ ასეთი წესის არსებობა ავიწროებს მხოლოდ მშრომელ ხალხის ერთ ნაწილს, რომელიც იმდენ ხელფასს ვერ იღებს, რომ სოფელში ორიოდე დღიურ მიწა მისი შრომით აღებული ჭირნახულის მისთვის ზედმეტი იყოს. საქართველოში მუშებისა და მოსამსახურეების დიდ უმრავლესობას სოფელში აქვს სახლი და ცოტა მიწა მაინც. კავშირი სოფელთან მას გაწყვეტილი არა აქვს და ხშირათ მთელ თავისუფალ დროსა და გროშებს მიწას ანდომებს, რომ გაიადვილოს ცხოვრების ტვირთი. კანონი ყველა მუშა-მოსამსახურეს არ აძლევს მიწის დატოვების უფლებას. მუხლი 67 მიწის კოდექსისა ამბობს: „დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა სასოფლო საბჭოთა თანხმობით: ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოში და დაწესებულებაში, ბ) სოფლის მასწავლებლებს, გ) მაზრის და რაიონის აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოების თანამშრომელთ და დ) აგრონომებს და ვეტერინარებს, როცა მათ (ამ მუხლში მოხსენებულთ) კავშირი არა აქვთ გაწყვეტილი თავიანთ სასოფლო-მეურნეობასთან, და როცა ამ მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებში მოხსენებულნი მსახურობენ იმ მაზრაში, სადაც აქვთ საკუთარი მეურნეობა“.

ხშირათ ხდება, რომ ზემოჩამოთვლილი კატეგორიის მშრომელთ ერთ სოფლის საბჭომ მისცა კანონში აღნიშნული ნახევარი ნორმა, მაგრამ ხდება—მეორე სოფლის საბჭო არ აძლევს ამას იგივე კატეგორიის მშრომელს; ეკითხებიან საბჭოს, რისთვის არ მაძლევ, როდესაც ჩემმა ამხანაგმა მიიღო?; საბჭო უპასუხებს: „ჩემი ნებაა, კანონი უფლებას გვაძლევსო“. მერე რა ხდება? სიარული ცენტრში საჩივრებით, უბრალოთ დროსი, ენერგიისა და ხარჯების კარგვა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ზემოხსენებული მოსაზრებების გამო, 67 მუხლიდან სიტყვები: „სასოფლო საბჭოთა თანხმობით“ უნდა ამოიშალოს.

ი. ჟვანია.

(დასასრული იქნება).

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

რ ე დ.

სოფლათ მუშაობის ამიერ-კავკასიის საოლქო პარტიული კომისიის

მორიგი სხდომა

შესდგება ხუთშაბათს, 12 თებერვალს, დღის სრულ 2 საათზე, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბინაზე.

დღის წესრიგი:

1) ამხ. ესსენის მოხსენება სათვისტომოებისა და კულტშეფობის შესახებ,
2) დამტკიცება თეზისებისა პარტმუშაობის შესახებ მოჯამაგირეებს შორის და 3) სხვადასხვა საკითხები.

კომისიის ყველა წევრების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

კომისიის თავმჯდომარე მ. ცხაკაია

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 13 თებერვალს

ერთიან პარტიულ დღეს

უჯრედების სხდომების დღის წესრიგი წამოაყენონ რაიკომებმა და უჯრედებმა.

იმ უჯრედებს, რომლებსაც არ მოუწყვიათ მოხსენებები საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ საბჭოთა აღმშენებლობის საკითხის შესახებ მოწვეულ თათბირების შედეგებზე, წინადადება ეძლევათ აუცილებლათ შეიტანონ დღის წესრიგში აღნიშნული მოხსენება.

თბ. კომ. მდივანი ახრიბეკოვი

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

აჭარისტანის ქიმიის მრეწვ. მეგობართა საზოგადოება.

ბათომი, 10 თებერვალი. მოკლე ხნის განმავლობაში აჭარისტანის ქიმიის მრეწ. მეგობართა საზოგადოებამ შეასრულა დიდი მუშაობა. მოწყობილია 35 იაჩეიკა. აქედან 3—სამხედროა, და 3 სამაზრო, მუშაობა ფერხდება ლიტერატურის უქონლობით. 1 თებერვალს გაიხსნა კურსები ქიმიის მრეწველობის მეგობართა საზოგადოების ინსტრუქტორების მოსამზადებლად. ქიმიის მრეწველობია მეგობართა საზ-ის მორიგ ამოცანას წარმოადგენს ლაბორატორიის ორგანიზაცია.

სომხეთი

ამერიკელები საბჭოთა სომხეთის შესახებ

ერევანი. 10 თებერვალი. სომხეთის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სომხების დამხმარე ნიუ-იორკის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ვერისმა და ამერიკული კომიტეტის საქმეთა მმართველმა ევროპაში ჯონსონმა, რომლებიც ჩამოვიდნენ სომხეთში, განაცხადეს:

„სამნახევარი წლის განმავლობაში სომხეთმა საგრძნობლად წაიწია წინ. დიდი პროგრესი ემჩნევა მიწად-მოქმედების დარგსაც. სომხეთში არსებული ამერიკული კომიტეტის თავშესაფარები ჩვენ მეტად კარგ პირობებში ვნახეთ“.

ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის გეგმა

მოსკოვი. 10 თებერვალი. 10 თებერვალს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ელექტროფიკაციის სექციაში იხილავენ ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის გეგმას.

მახლობელ 5 წლის განმავლობაში ამ მხარეს ესაჭიროება 147,000 კილოვატი ენერგია. გასულ 5 წლის განმავლობაში ამ მხარეს ელექტროფიკაციის საქმემ ძალიან წაიწია წინ. ამჟამად იქ შენდება შემდეგი სადგურები: ზემო-ავჭალის სადგური—13.000 კილოვატით, თბილისისათვის ენერგიის მისაწოდებლათ, ერევნის 4.000 კილოვატით, ლენინაკანის თავის რაიონის და მაუდის ქარხნის საჭიროებისათვის, 3 ნახევარი კილოვატით, აჭარის წყალის—8.000 კილოვატით ბათომის და მისი რაიონის საჭიროებისათვის, აბაშის—1.000 კილოვატით, შავი ქვის რაიონის საჭიროებისათვის და ინჯიკანის—1.000 კილოვატით.

მახლობელ 5 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის წინაშე დასმული იქნება უდიდესი ამოცანები ნავთის ამოღების, საფეიქრო და სპილენძის მრეწველობის ელექტროფიკაციის შესახებ. ამ წარმოებათა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ საჭირო იქნება 5 სადგური 25.000 კილოვატის ძალის.

სექციამ მოიწონა ეს გეგმა.

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

(ამხ. სერებროვსკის მოხსენება)

გუშინ საღამოს საოპერო თეატრში ამხ. სერებროვსკიმ გააკეთა მოხსენება „ამერიკაში მოგზაურობის შესახებ“, უპირველესად იგი შეეხო ბაქოს ნავთის მრეწველობას სამი უკანასკნელ წლის განმავლობაში. ჩვენ ნავთის მოპოვება გავადიდეთ 3 ნახ.-ჯერ. ჩვენ ექსპლოატაციას ვეწევით ჩვენი სანავთე მიწების მხოლოდ 10 პროცენტს, მაშინ, როცა ამერიკაში ექსპლოატაციას უშვებიან მთელს სანავთე მიწებს, რომელიც სპეციალისტების დასკვნით, მოსალოდნელია 18—20 წლის განმავლობაში სრულიად გამოიფიტოს.

წინად ჩვენ მსოფლიოში ნავთის მრეწველობის მხრივ გვეჭირა მესამე ადგილი, ეხლა წინ გაუსწარით მექსიკას და გვიკავია მეორე ადგილი. ჩვენ პირობები ხელს გვიწყობს დავიპყრათ ნავთის ახალ-ახალი ბაზრები. 1925 წელს დასახული ამოცანით ჩვენი გატანა ომის წინაძელ დროის გატანას გადააჭარბებს 25 პროცენტით.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვაზე.

ამერიკაში არის მრავალრიცხოვანი დემოკრატიული მოსახლეობა, რომლის თანაგრძნობა საბჭოთა კავშირის მხარეზეა. საბჭოთა კავშირს იქ მრავალი მეგობრები ჰყავს.

განსაკუთრებით საგრძნობია ამერიკაში განსხვავება მუშებსა და მილიარდერებს ფორდ-ვანდერბილდებ შორის. თუმც კანონით ეს მილიარდერები და მუშა-ჯონსონები თანასწორნი არიან, მაგრამ ამერიკელი მუშა გრძნობს მათ შორის არსებულ უფსკრულს და ამერიკელი მუშა—არის ნამდვილი მუშა და პროლეტარი მთელი 100 პროცენტით. შეეხო რა ამერიკის ურთიერთობას ინგლისთან, დასაბუთა რა ინგლისის არა მეგობრული პოლიტიკის ისტორიული განვითარება, ამხ. სერებროვსკი შეჩერდა ამერიკის ყოფა-ცხოვრებისა და ახალგაზრდობის გაწრთვნა-მომზადებაზე.

ამხ. სერებროვსკი შეეხო აგრეთვე იმპერიალისტური ომის შედეგებს, რომელმაც ამერიკაში გამოიწვია ოქროს ფულის დაგროვება. ეხლა ამერიკა სცდილობს ეს ოქრო გამოიყენოს და დააბანდოს. და რადგან საბჭოთა კავშირში ბევრი ბუნებრივი სიმდიდრეა, უეჭველია ამერიკის კაპიტალი ეცდება საბჭოთა კავშირში გაატაროს მრეწველობის დაპყრობის ის პოლიტიკა, რომელსაც იგი ეხლა აწარმოებს გერმანიაში.

თავის მოხსენების დასასრულ ამხ. სერებროვსკი აცხადებს, რომ იგი დარწმუნებულია, რომ თუ სადმე მოხდება სოციალისტური რევოლიუცია, ყველაზე ადრე იგი იფეთქებს ამერიკაში, სადაც კაპიტალიზმმა მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს წერტილს.

ჟავახეთში

დიდი თოვლის შედეგები

(საუბარი საგზატკეცილო უბნის უფროს ინჟ. ალ. ჩხეიძესთან)

დეკემბრის დამლევს მთელს ჯავახეთში დაიჭირა მშრალი ყინვები და დაიწყო თოვა დიდი ინტენსიობით. თოვლი მოდიოდა ერთი კვირის განმავლობაში შეუჩერებლივ. შემდეგ შენელდა და სთოვდა დროგამოშვებით იანვრის დამლევამდე.

პირველ ხანებში მაღალი თოვლის გამო, რომელიც სიმაღლე არშინ ნახევარს უდრიდა, მოძრაობა ბორჯომ-ახალციხ-ახალქალაქის და ახალციხ-აბასთუმანის გზებზე შეწყდა. ბრძოლა დიდ თოვლთან მოუხერხებელი იყო. რამოდენიმე ხნის შემდეგ, თოვლი თავისთავად გამკვრივდა, ნამქერის ზედაპირი გაიყინა და მუშაობის განახლებაც შესაძლებელი გახდა. რემონტიორების ჯგუფმა გზა თოვლის ზვავებისაგან გასწმინდა. და მას შემდეგ უკვე მოძრაობას დღემდე სწარმოებს; გზა რომლის სიგანე არშინ ნახევარს უდრის, გასავლელია მხოლოდ მარხილებისა და მსუბუქი სამგზავრო ავტომობილებისათვის, რომელთაც თან უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული ჯაჭვისებური ხელსაწყოები.

ტვირთ-გამტარებლობა გზაზე მეტად შემცირდა; ეს აიხსნება ერთი მხრივ ზამთრის არაჩვეულებრივი [illegible] და განსაკუთრებული ხასიათით და მეორე მხრივ იმ გარემოებით, რომ გლეხის მეურნეობა შეგუებული არ არის მარხილით მიმოსვლის პირობებს.

თოვლის სიმაღლე ახალციხე-დაბლობ რაიონში უდრის 12 ვერშოკს, ახალციხე-ახალქალაქს შუა—6—8 ვერშოკს, ხოლო ახალციხე-აბასთუმნის რაიონში—17—20 ვერშოკს.

ეს გარემოება ჰქმნის დიდ წყალდიდობის საშიშროებას, რომელიც განსაკუთრებით ემუქრება გზატკეცილებს. მოსალოდნელია ორი შესაძლებლობა: თუ დნობა ისევე ინტენსიურად და სწრაფად დაიწყო, როგორც თოვა, მაშინ წყალდიდობა და მასთან დაკავშირებით გზების განადგურება,—აუცილებელია. თუ დნობა ნორმალური იქნა ე. ი. ნელი და სისტემატიური, წყალდიდობა მიიღებს გაზაფხულის ჩვეულებრივად ნიაღვრის ხასიათს, რაც გზებს საგრძნობლად არ დააზიანებს.

საგზაო დისტანცია მზად არის ყოველ შემთხვევისათვის: მან იცის გზატკეცილის ის უბნები, რომელთაც წყალდიდობა განსაკუთრებით ემუქრება და ემზადება ამ ადგილების ხელოვნური გამაგრებისათვის. ამ ჟამად ამ პუნქტებში დაწესებულია თოვლის სიმაღლის მუდმივი მეთვალყურეობა, რომელიც საშუალებას მისცემს უბანს თავის დროზე მიიღოს სათანადო ზომები.

ს. ს. ს. რ. ს. ს. კომისართა საბჭო
საინფორმ. განყოფილების
ბიბლიოთეკა

მდგომარეობა სამხედრო-ოსეთის გზაზე

(საუბარი სამხედრო-ოსეთის გზის უფროსთან ამხ. ი. მარდალეიშვილთან)

სამხედრო ოსეთის გზა მიიმართება ქუთაისის მაზრის ნაწილში, შემდეგ ლეჩხუმის, რაჭის, ნაწილობრივ სამხრეთ-ოსეთში და მამისონის უღელტეხილით უერთდება ჩრდილოეთ კავკასიას. სამხედრო ოსეთის გზას აქვს უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებთათვის, რომელნიც ამ გზით უკავშირდებიან საქართველოს მთავარ ქალაქებს, ამავე გზით ჩრდილოეთ კავკასია უერთდება დასავლეთ საქართველოს.

დიდი თოვლის გამო წელს ამ გზატკეცილზედაც შეფერხდა მოძრაობა. განსაკუთრებით მიმოსვლა მოუხერხებელი შეიქნა ქუთაისის მაზრაში, სადაც თოვლის სიმაღლე აღწევდა არშინნახევარს. შედარებით მცირე თოვლი მოვიდა ლეჩხუმის და რაჭის რაიონებში, რის გამოც მოძრაობა თითქმის არ შეწყვეტილა. თოვლმა რამდენიმე დღით შეაჩერა მიმოსვლა, მაგრამ იგი მალე იქნა აღდგენილი.

ეხლა ამ გზაზე მიმოსვლა სწარმოებს მხოლოდ მარხილებით. სულ ახლო მომავალში სავსებით აღდგენილი იქნება ნორმალური მიმოსვლა. ამას ხელს უწყობენ თბილი მზიანი ამინდები.

საერთოთ საქართველოში მოსალოდნელია წყალდიდობა. მაგრამ სამხედრო ოსეთის გზა ამ მხრით უზრუნველყოფილია, რადგან რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში მცირე თოვლი ძევს.

აღსანიშნავია ერთი იშვიათი გარემოება: რაჭაში, როგორც მაღლობ კუთხეში, თოვლი ყოველთვის ადრე მოდიოდა, ეხლა კი მოხდა წინააღმდეგ. თოვლს აქ დააგვიანდა, როგორც გამოირკვა, ეს არის შედეგი ციკლონური მოვლენის, რომელიც მოძრაობდა განსაკუთრებულ მიმართულებით.

სურამ--ძირულის გზატკეცილი

(საუბარი ინჟ. ყიზიმახთან)

რკინის გზის გაყვანამდე ქართლსა და ზემო იმერეთს შორის მისვლა-მოსვლა სწარმოებდა ძველი იმერეთის შარა-გზით, რომლის საშუალებით ადგილობრივი მცხოვრებნი ერთმანეთ შორის აწარმოებდენ თავის პროდუქტების გაცვლა - გამოცვლას. შემდეგ ამ გზაზე გაყვანილ იქნა რკინის გზა და ამგვარად გაუქმდა საქვეითო და საზორბლო მოძრაობა. რკინის გზამ სავსებით ვერ დააკმაყოფილა ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროება: იგი მაინც საჭიროებს გზატკეცილს, რომელზედაც მას საშუალება მიეცემა ურმებით და სხვა ტვირთ-საზიდი მანქანებით აწარმოოს თავისი პროდუქტების გადატან-გადმოტანა.

საბჭოთა ხელისუფლებამ იმ თავითვე გაითვალისწინა ამ გზის აღდგენის მნიშვნელობა და ჯერ კიდევ 1921 წელს აწარმოა კვლევა-ძიება ამ გზის გასაყვანად. პირველი ვარიანტით განზრახული იყო გზის გაყვანა რკინის გზის პარალელურ მიმართულებით, მაგრამ ეს პროექტი უარყოფილ იქნა იმ მოსაზრებით, რომ იგი ერთი მხრივ გზაზე სტოვებდა ჯარად დასახლებულ რაიონებს და მეორე მხრივ კლდოვანი ადგილების და მეწყრების გამო მეტად ძნელს შესასრულებელ სამუშაოს წარმოადგენდა.

1924 წელს, განაცხადა ამხ. ყიზიმამ, მე დამავალეს ამ გზის გასაყვანად კვლევა-ძიების წარმოება. კვლევა-ძიების დასრულების შემდეგ უპირატესად ვცანი გზის გაყვანა როკითის უღელტეხილის მიმართულებით, რადგან ამ მიმართულებით გზის გაყვანა უფრო იაფად ჯდება, უფრო მოკლეც არის და ამავე დროს გადის დასახლებულ რაიონებში.

როგორც ვთქვით, ამ გზას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება.

ამ გზით ქართლიდან იმერეთში, რომელიც ყოველ წლივ პურის ნაკლებობას განიცდის, შეიზიდება პური და სხვა ჰირნახული. სამაგიეროდ იმერლები ქართლში შემოიტანენ ღვინოს და ხილს. გარდა ამისა ზემო იმერეთი უხვად არის დაჯილდოვებული სხვადასხვა სიმდიდრით—მადნებით: მარგანეცი, ცეცხლ-გამძლე თიხა, ნახშირი, ბარიტი, სურმა და მრავალი სხვა.

გზის პროექტი უკვე შედგენილია და დამტკიცებული.

გზის გასაყვან მუშაობას შეუდგებიან ამ მოკლე ხანში.

გზის სიგრძე იქნება 52 ვერსი. დაჯდება სულ 600.000 მენეთი.

წინანდელ ხარჯთ-აღრიცხვით ამ თანხის ნაწილი უკვე გადადებულია.

ეკონომიური ცხოვრება

საქ. სახელმწიფო. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სამუშაო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ (გრუზგოსტორგი) მიმდინარე 1925 წ. პირველ ნახევრისათვის შეიმუშავა თავისი განყოფილებებისათვის სამუშაო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა; ამ გეგმით ამხანაგობის მოსკოვის განყოფილებამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უნდა შეიძინოს 2.000.000 მანეთის საქონელი—მათ რიცხვში მანუფაქტურა 500.000 მ. ფეხსაცმელები 300.000 მ. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო საგნები. აღნიშნული განყოფილება ამ ხნის განმავლობაში გაანაღდებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებს სულ 1.500.000 მან. ღირებულებისას, აქედან სხვადასხვა ღვინოები 1.300.000 მან. ღირებულების, ჩაქვის ჩაი 75.000 მანეთისა და სხვადასხვა ნაწარმოებები 125.000 მანეთისას.

დონის როსტოვის განყოფილება.

ამხანაგობის მიერ შემუშავებულია აგრეთვე ახლად დაარსებულ დონის როსტოვის განყოფილებისათვის სამუშაო გეგმა, რომლითაც მას დავალებული აქვს 1925 წ. პირველ ნახევარში დაამზადოს 243.000 მ. სხვადასხვა რკინეულებათა ნაწარმოები და გაანაღდოს საქ. სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოები სულ 250.000 მანეთისა.

ამხანაგობის დასავლეთ საქართველოს განყოფილებას მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დავალებული აქვს დაამზადოს 200.000 მან. სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოები, ხოლო გაანაღდოს მოკავშირე რესპუბლიკებიდან საქართველოში შემოტანილი 200 ათასი მანეთის სხვადასხვა საქონელი.

კახეთის განყოფილებაში.

ამხანაგობის კახეთის განყოფილებამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემუშავებული გეგმით უნდა დაამზადოს 200 ათასი მან. სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოები, ხოლო გაანაღდოს 150 ათასი მან. საქონელი. საქონლის დამზადებას განყოფილება აწარმოებს უშუალოთ მწარმოებელთაგან და ადგილობრივი კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციების საშუალებით მხოლოდ მას შემდეგ, რაც განყოფილების მიერ უკვე დაშვებული საქონელი კოოპერატივებისაგან მიღებული იქნება.

ღვინოების ჩამოსხმის ორგანიზაცია.

ვინაიდან ამხანაგობა შეუდგა თავისი ქ. თბილისის ღვინის სარდაფში ღვინოების ჩამოსხმას, სარდაფის შტატი გადიდებული იქნა და სარდაფი ცალკე ერთეულათ გამოყოფილი. სარდაფში იწარმოებს როგორც ამხანაგობის მიერ თავისი საკუთარი აპარატების საშუალებით დამზადებული ღვინოების ჩამოსხმა, აგრეთვე სახ. უნივერსიტეტის სააგრონომიო ფაკულტეტის მუხრანის მამულებისა მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოების და სახ. სახალხო მამულების ღვინოების ჩამოსხმაც.

საკასრე ტკეჩები.

ამხანაგობამ შეიძინა 20.000 ცალი მაღალი ხარისხის კახეთის მუხის საკასრე ტკეჩი, საკუთარი საშუალებებით კასრების გასაკეთებლათ და შესაკეთებლათ.

ამხანაგობის შტატი.

ამხანაგობის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო და დაამტკიცა ამხანაგობის მტკიცე შტატი. ახალი შტატით ამხანაგობაში უნდა მოხდეს 10 პროც. შემოკლება, რაც უკვე ცხოვრებაში ტარდება.

ფერო-მარგანეცი

29 იანვარს საგეგმო კომისიის გაფართოებულ პლენუმზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ფერო-მარგანეცის კომისიის მუშაობის შესახებ. თათბირს დაესწრო პროფ. ალექსანდროვი. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ფერო - მარგანეცის კომისიას, რომელიც შექმნილი იყო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შარშან ფერო-მარგანეცის წარმოების პერსპექტივების და განვითარების შესასწავლად, ინტენსიური მუშაობა უწარმოებია. კომისიას სპეციალურად მოუწვევიათ საზღვარ - გარეთიდან სპეციალისტები გამოკვლევის მოსახდენათ. ამ ჟამად გამოკვლევა სწარმოებს როგორც აქ, ადგილობრივად, ისე საზღვარ-გარეთაც (ქიმიური). აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ფერო-მარგანეცის კომისიის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი

ფერო-მარგანეცის კომისიას წინადადება მიეცა თავისი მუშაობა ჰიდრო-ელექტრონული სადგურების აგების საკითხში შეუთანხმოს ა—კ. რკ. გზების სამმართველოს.

დადგენილ იქნა აგრეთვე საქართველოს საგეგმო კომისიამ აუცილებლად დაწვრილებით და საფუძვლიანად შეისწავლოს საკითხი საქართველოში ფერო-მარგანეცის წარმოების შესახებ.

პროფ. ალექსანდროვს ინჟ. ბ. ჭიჭინაძესთან ერთად ეთხოვა გაეცნოს დაწვრილებით ფერო მარგანეცის კომისიის მუშაობას.

საქართველოს საგეგმო კომისიაში

ყინვებით გამოწვეული ზარალი

საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ უკანასკნელ დღეებში დეპეშით მოსთხოვა ყველა მაზრების და ქალაქების აღმასკომებს შეეტყობინებიათ რა ზარალი მიაყენა უკანასკნელმა უამინდობამ მოსახლეობას და რა სასწრაფო დახმარებაა საჭირო. ზოგიერთი მაზრებიდან უკვე მიღებულია პასუხი.

ახალქალაქიდან იტყობინებიან: საჭიროა 200 ათასი ფუთი ხორბალი, რომ მოსახლეობამ თავისი სათესლე ხორბალი არ მოიხმაროს საჭმელად. თივა გვაქვს საკმაოდ.

რაჭის მაზრიდან: ზოგიერთ თემებში ყინვებმა გააფუჭა 15.000 ფ. კარტოფილი. საჭიროა 5 ათასი ფუთი ხორბლით დახმარება. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ 1 ფ. ტვირთის გადმოტანა ქუთაისიდან ონამდე ჯდება სამი მან., რაც აძნელებს დახმარების საქმეს. საქონლის საკვები საჭირო არ არის.

ქიათურიდან: ცუდი ამინდები გრძელდება. საჭიროა სულ ცოტა, ორი რონოდა ხორბალი, ორი რონოდა სიმინდი და 13 რონოდა თივა.

გორიდან: აუცილებლივ საჭიროა ათი ათასი ფ. ხორბალი, ოცი ათასი ფ. თივა, ათი ათასი ფ. ბზე და ორი ათასი ფ. ქერი.

ფოთიდან: ხორბალს ვერ მოვიხმართ წისქვილების უქონლობის გამო, საჭიროა სასწრაფოდ 5 რონოდა პურის ფქვილი და 6 რონოდა თივა.

ოზურგეთიდან: სასწრაფოდ საჭიროა 4 რონოდა თივის გადმოგზავნა.

სიღნაღიდან: უამინდობამ დაზარალა გვიან დათესილი მიწები. საერთოდ დაზარალდა 10.000 დესეტინამდე, ანუ 30 პროც. საერთო რაოდენობიდან გაზაფხულის ნათესების სივრცის გასადიდებლად საჭიროა 128.000 ფ. სათესლე მასალა. მსხვილფეხა საქონლის გამოსაკვებად საჭიროა 330.000 ფუთი თივა. საქონელი ყინვებმა დაძრო, ახლა ცოტა იხოცება, მაგრამ გაზაფხულზე, როცა მოთბება, დაიხოცება დაახლოვებით ერთი მესამედი. საკვები მასალის ნაკლებობისა გამო გავრცელდა საქონლის ჭირი.

სასოფლო მეურნეობა

მუხრანის მებაღეობა-მევენახეობის კურსები.

3 იანვარს ს. მუხრანში გაიხსნა მებაღეობა-მევენახეობის კურსები. მსმენელები 60 კაცამდინ იყო მუხრანიდან და მის ახლო-მახლო სოფლებიდან, სადაც მებაღეობას მისდევენ. ყველანი მცირე გამოკლებით წერა-კითხვის მცოდნენი და ბაღვენახების პატრონებია. თითო-ოროლა იყო ხილის მყნობის მცოდნე, ვაზისა კი არავინ. ამერიკული ვაზის ვენახი არავის ჰქონდა. ყველანი დიდის ხალისით შეხვდნენ მეცადინეობას. არ ზარობდნენ მუხლამდის თოვლში ყინვებიან დღეშიც სიარულს ბაღებში პრაქტიკულ მუშაობაზე. მეტად აინტერესებდათ მსმენელებს ვაზის მყნობა და ბაღის მავნებლების ცხოვრება. ხშირად გვესწრებოდნენ პრაქტიკულ და თეორიულ მუშაობაზე გარეშე პირნიც. კურსებზე პრაქტიკულად და თეორეტიულად ამეცადინებდნენ აგრონომები ს. ავალიშვილი მევენახეობაში, შატბერაშვილი მებაღეობაში. რამდენიმე საათი დაეთმო მეღვინეობა-მემინდვრეობას. ამ დარგებიდან წაიკითხეს ლექციები აგრონომებმა მგალობლიშვილმა და ჩხენკელმა.

მსმენელები გაეცნენ გაუმჯობესებული წესებით ღვინის დაყენებას და ნახეს ზოგიერთი ნიმუშები ღვინოებისა სახალხო მამულში. „ჩვენი ღვინოებიც ხომ ამისთანა გამოვიდოდნენ, რომ ცოდნით ვაკეთებდეთ საქმეს“,—ამბობდნენ გახარებული გლეხები. დაათვალიერეს მუხრანის მეტეოროლოგიური სადგურიც და ახსნით დარჩნენ კმაყოფილნი.

კურსები დასრულდა 21 იანვარს. მრავალმა მოისურვა გამოცდის ჩაბარება. წინა დღით მოდიოდნენ ბინაზე; „მასწავლებელო ეს ამიხსენი, ეს მაჩვენე, რომ ხვალ არ შევრცხვეო“, გვეუბნებოდნენ გლეხები. გამოცდა ჩააბარა 35 კაცმა. ამათ საჩუქრათ დაურიგდათ სამყნობი დანები, სასხლავები და მაკრატლები. ყველას ბროშიურები და პლაკატები. მსმენელებიდან სდგება არტელი, უნდათ საერთოთ გააშენონ ამერიკული ვაზის სადედე, „ფილოქსერამ ამოგვაგდო, ამერიკულ ვაზში ყოფილა ჩვენი ხსნა, ამიტომ იგი უნდა გავიმრავლოთ“—ამბობენ ხალისიანათ გლეხები.

მ. შატბერაშვილი.

დაეხმარეთ გლეხობას

ყველა სამაზრო გლეხკომებს

ამხანაგებო!

მოახლოვდა გაზაფხული. სულ მალე აწი გლეხი სამუშაოდ გამოვა მინდვრათ. თქვენი ვალია ამ მუშაობაში სუსტ მეურნე გლეხს მიხედოთ და დაეხმაროთ. აამოქმედოთ ყველა **სასოფლო და სათემო გლეხთა საურთიერთო-დამხმარე საზოგადოებები. არც ერთი ნაჭერი მიწა სოფლად დაუთესელი არ დაგრჩეთ.** მიხედეთ: ქვრივებს, ობლებს, ინვალიდებს, წითელ - არმიელების იმ ოჯახებს, რომლებსაც ლაშქარში წასვლისას სახლში მარჩენალი მუშა ხელი არ დარჩენიათ. ასეთების მიწები დახანით, მოთოხნეთ და დაამუშავეთ **შეერთებულის ძალებით.** მიწების დამუშავება არ დაგიგვიანდეთ ისე, როგორც ეს ზოგიერთ ადგილებში შარშან მოგივიდათ. მაზრის ფარგლებში თქვენა ხართ გაერთიანებული გლეხობის საზოგადოებათა **წინამძღოლი და ხელმძღვანელი.** აბა თქვენ იცით წინამძღოლის და ხელმძღვანელის მოვალეობას როგორ კარგათ შეასრულებთ. ღარიბებს მიაწოდეთ თესლეულობა უფასოთ და საშუალო შეძლების გლეხებს კი დაეხმარეთ სალი თესლეულობის შეძენის საქმეში. სასოფლო-მეურნეობის აღორძინების და აყვავების საქმეში **კოლექტიური დახმარება** აღმოუჩინეთ მიწათ-მოქმედების **სახალხო კომისარიატს** და სოფლებში გლეხთან მისასვლელათ ფართო გზა გაუკაფეთ **აგრონომებს.** ამ მიმართულებით დაჩქარებით უნდა დაიწყოთ მუშაობა. რას გააკეთებთ თქვენ და ვინ (სასოფლო და სათემო გლეხკომები) რას გააკეთებს, გვაცნობეთ. **ის გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოება (გლეხკომი), რომლის სამოქმედო ფარგლებში მიწები დაუმუშავებელი დარჩება, იცოდეთ ჩაითვლებიან სუსტად და თავის მოვალეობა-დანიშნულების არ მცოდნეთ.**

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარი და გლეხკომების ცენტრალური ბიუროს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ხომერიკი.**

პროფკავშირებში

აჭარისტანის პროფსაბჭოში.

სურამის დასასვენებელ სახლის გაფართოვება.

აჭარისტანის პროფსაბჭომ გამოყო 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშავოს გეგმა სურამის მუშათა დასასვენებელი სახლის გასაფართოვებლათ. სურამის დასასვენებელი სახლი უნდა გაფართოვდეს ისე, რომ გაატაროს 80 მუშა-მოსამსახურე.

დახმარება მკერავთა არტელს.

აჭარისტანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი რწმუნებულის წინაშე მკერავთა არტელისათვის 300 მან. დახმარების მიცემის შესახებ.

საქ. ქიმიკოსთა კავშირში.

კავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

ქიმიკოსთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა გაატაროს კავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია რომელიც დაიწყება 2 თებერვლიდან და გაგრძელდება 15 თებერვლამდე. კავშირის ის წევრები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ხელახალ რეგისტრაციაზე, კავშირიდან გამოირიცხებიან მექანიკურათ.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში.

იუბილეების შესახებ.

ხელოვანთა კავშირში მრავალი განცხადებები შედის იუბილეების გამართვის შესახებ. კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, იუბილეებს გაუმართავენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც 20 წლის დამსახურება აქვთ. გამონაკლის შემთხვევებში, თუ იუბილიარს რესპუბლიკის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის, იუბილე შეიძლება გამართული იქნეს 20 წელზე ნაკლებ დამსახურების დროსაც.

სამეცნიერო.-ტეხნიკურ ძალთა ბიუროში

ტეხნიკური ძალები კომუნალურ მეურნეობაში.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულმა ინჟენერ-ტეხნიკოსთა-ბიურომ შუამდგომლობა აღძრა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა თავის მხრივ იშუამდგომლოს თბილისის აღმასკომის წინაშე კომუნალურ მეურნეობაში ინჟენერ-ტეხნიკოსების ჩაბმის შესახებ.

ადგ. ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

აჭარისტანის განყოფილების მომავალი მუშაობის გეგმა

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაამტკიცა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის აჭარისტანის განყოფილების მომავალი მუშაობის გეგმა. გეგმას დაემატა რამოდენიმე საყურადღებო მუხლი. საორგანიზაციო მუშაობის სფეროში მთავარი ყურადღება მიექცევა პროფკავშირთა სრულიად საქართველოს მე-4 ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას; კულტგანყოფილების მუშაობაში კი— სხვადასხვა წრეების დარსებას, ბათომში ტრანსპორტელ მუშათა კლუბის მოწყობასა და გაფართოვებას და სხვა.

ფეიქართა კავშირში

მუშათა სახლების დათვალიერება

ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მიანდო კავშირის საბინაო კომისიას დაათვალიეროს ფეიქართა კავშირის მუშათა სახლები და შეავიწროვოს ზოგიერთი ფართოთ მცხოვრები პირები. განთავისუფლებულ ბინებში ჩასახლდებიან კავშირის ის წევრები, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან შინამრეწველობის დარგში.

ხელოვნების მუშაკთა ყრილობა

მეორე სხდომა

ცენტრალური გამგეობის მოხსენება

(მომხსენებელი ს. ქურიძე)

1924 წლის 1 იანვრისათვის ხელოვნების კავშირის მუშაკთა კავშირის წევრთა რიცხვი უდრიდა 2603. აქედან ვაჟი იყო 1603, ქალი—1154.

ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ქართველი იყო 563, რუსი 994, სომეხი 638, ებრაელი 245, პოლონელი 86, გერმანელი 59 და დანარჩენი სხვა ეროვნებისა.

1925 წლის 1 იანვრისათვის ხელოვნების მუშაკთა კავშირში ითვლებოდა —755 ქართველი, 1106—რუსი, 657—სომეხი, 295—ებრაელი, 55 გერმანელი, თათარი—22.

ხელოვნების მუშაკთა კავშირს 356 წევრი ჰყავს ბათომში, 148 წევრი სოხუმში, 145 ქუთაისში, 69 ფოთში კავშირი იყოფა სექციებად. არსებობს სახითვი ხელოვნებისა, ფოტო-კინოს სექცია და სხვა.

სხვა და სხვა წარმოების მიხედვით კავშირის წევრები ასე ნაწილდებიან: სახელმწიფო ოპერაში მუშაობს კავშირის 260 წევრი, რუსთაველის თეატრში—141, სახელმწიფო კონსერვატორიაში—105, სახელმწიფო კინო-მრეწველობაში 90, პლეხანოვის რაიონის კინო-თეატრებში—76 წითელ თეატრის პროლეტკულტში—48, სახ. სამუსიკო სასწავლებელში—73, მესაზანდრეთა კოლლექტივში—68. მედუდუკეთა კოლექტივში—67, ტანტის ცირკში—59, „ტარდ“-ში—54, რუსთაველის რაიონის კინოებში—52, ქართველ მსახიობთა კოლლექტივში—37, სომხეთის აკადემიურ დრამაში—28, სოლოლაკის რაიონის სათეატრო დაწესებულებებში—27, თათრული აკადემიურ დრამაში—22, უკრაინის კოლლექტივში—212.

სახელმწიფო მომარაგებაზე აყვანილი სახელოვნო დაწესებულებათა მოსამსახურეების ხელფასის მინიმუმი პირველი იანვრისათვის უდრიდა 47 მანეთს.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებების მუშაკთა ხელფასი 51 მ. 76 კაპ.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულების ხელოვანთა ხელფასის მინიმუმი—52 მ. 60 კაპ. საზოგადოებრივ სახელოვნო დაწესებულებათა მუშაკების ხელფასის მინიმუმი—39 მ. 32 კაპ.

კერძო სახელოვნო დაწესებულების მუშაკთა—55 მ. 92 კაპ.

შემდეგ მოხსენებები ეხება ვრცლად კავშირის სატარიფო ეკონომიურ მუშაობას.

რას ნიშნავს „წითელი ჯვარი“?

(წითელი ჯვრის „სამდღიურის“ გამო)

წინადაც და ეხლაც ბევრს ჰგონია, რომ „წითელი ჯვარი“, ე. ი. ჯვრის სახით გამოხატული ნიშანი სარწმუნოებრივ შინაარსის შემცველი რამეა. ამიტომ ხშირად სრულიად უმართებულოთ განმარტავენ ხოლმე ამ სიმბოლოს ნამდვილ მნიშვნელობასა და დანიშნულებას, რითაც შეცდომაში შეჰყავთ საქმის უცოდინარი ხალხი.

ამ არასასურველ გაუგებრობის გასაქარწყლებლათ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ აღვნუსხოთ ჯვრის ნიშნის წარმოშობის ისტორია საზოგადოთ და წითელი ჯვრის ნიშნისა კი—კერძოდ.

არქეოლოგიურის გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ჯვრის წითელ ნიშანს ქრისტიანობის გაჩენამდე გაცილებით უფრო ადრე ეძლეოდა სიმბოლიური მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, ძველს ეგვიპტეში წითელი ჯვრის სახით გამოხატული იეროგლიფი ნიშნავდა „დახმარებას“, „ხსნას“, ან ისეთ „ძალას, რომელიც მფარველობის გამწევი“ იყო. წითელი ჯვრის ნიშანი საზოგადოთ გამომხატველი იყო „სიცოცხლის“ ცნებისა. ჯვარი, როგორც ქრისტიანობის სიმბოლო, ჩვენი ეპოქის VI საუკუნის დასაწყისში ჩნდება.

ამრიგად წითელი ჯვრის ემბლემა არავითარ სარწმუნოებრივ რასმე არ შეიცავს; იგი სიმბოლოა მხოლოდ კაცთმოყვარულ მოღვაწეობისა.

რაიც შეეხება წითელი ჯვრის საზოგადოებას, რომელიც დედა-მიწის ზურგზე არსებულს თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედობს, მისი დაარსებისა და განვითარების ისტორია მოკლედ ასეთია:

ჟენევის მოქალაქემ, ჰენრი დიუნანმა, რომელიც მეტად შეაძრწუნა დაჭრილთა ტანჯვამ სოლფერინოს ბრძოლის ველზე, 1859 წ. ავსტრია-პრუსიის ომის დროს განიზრახა რიგორმე შეემსუბუქებინა უნუგეშო ყოფა ომის უდანაშაულო მსხვერპლებისა და გააჩაღა აგიტაცია საამისო კაცთმოყვარულ საზოგადოების დასაარსებლად. აგიტაციამ კეთილი ნაყოფი გამოიღო და 1863 წელს ჟენევაში დაარსდა მოქალაქეთა კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა ომში დაჭრილ-დაავადებულთა დახმარება და მოვლა-პატრონობა. კომიტეტმა თავის დევიზად გაიხადა „Inte arma caritas“, ნიშნად კი—წითელი ჯვარი თეთრს არეზე გამოხატული. მალე ეს კომიტეტი ძლიერ გაფართოვდა და 1864 წელს მისი თაოსნობით ჟენევაში მოწვეულ იქნა სახელმწიფო წარმომადგენლობის კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა და დაამტკიცა ამ კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი კაცობრიობის სოლიდარობისა ომის დროს, რომელიც კულტურულ კაცობრიობას დღესაც მთავარ სახელმძღვანელოდ აქვს ომების დროს. ეს დებულება, სახელმწიფოების მიერ დადასტურებული და ხელმოწერილი, გადასინჯული იქნა 1906 წელს, ხოლო 1907 წ. კი დამტკიცებულ იქნა ჰააგის კონფერენციის მიერ საზღვაო ომის წესებით და დღეს ცნობილია „ჟენევის კონვენციის“ სახელით. 1923 წლის აგვისტოში კვლავ გადაისინჯა ეს დებულება და მასში შეტანილი ცვლილებანი ჯერ კიდევ ელიან სახელმწიფოების საერთო დასტურს.

წითელი ჯვრის მოღვაწეობა მარტო ომის დროს მუშაობით და ომის მავნე შედეგების წინააღმდეგ ბრძოლით როდი განისაზღვრება. მშვიდობიანობის დროს წითელი ჯვარი, გარდა იმისა, რომ ომის მოსალოდნელ შემთხვევისათვის ემზადება, დახმარებას უწევს ხალხს სტიქიურ უბედურობის დროს (წყალდიდობა, მიწის-ძვრა, სიმშილობა, ხანძარი და სხვ.), ებრძვის სოციალურ ხასიათის (მალარია, პლექი და სხვა.) და გადამდებ სენს (ხოლერა, შავი ჭირი და სხვა).

ერთის სიტყვით, წითელი ჯვრის საზოგადოება პირწმინდათ კაცთმოყვარული დაწესებულებაა, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკისა და სარწმუნოების გარეშე სდგას და უანგაროთ დახმარებას უწევს ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სქესისა.

ასეთია წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის უძველესი ფორმა. მაგრამ მსოფლიო ომის შემდგომ გამარჯვებულ სახელმწიფოებში აღიძრა აზრი საერთაშორისო ახალი ორგანიზაციის დაარსებისა. ანტანტის სახელმწიფოებმა: ინგლისისა, საფრანგეთისა, ამერიკისა, იტალიისა და იაპონიის წითელმა ჯვრებმა დააარსეს ეგრედწოდებული „ლიგა წ. ჯ. საზოგადოებათა“. ეს იყო, ასე ვსთქვათ, დიდ სახელმწიფოთა იმპერიალიზმის გამოძახილი, რადგან არავითარი მიზეზი ან საჭიროება ახალ ორგანიზაციის დაარსებას არ მოითხოვდა.

„ლიგაში“ წევრათ შესვლის უფლებას ბოლო დრომდე მოკლებულნი იყვნენ დამარცხებულ სახელმწიფოთა წით. ჯვრები და „ლიგის“ მართვა-გამგეობაც მხოლოდ და მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა ხელშია. არც მის მიერ წამოყენებულ ფედერაციის პრინციპია მაინცა და მაინც უცხო და ახალი წით. ჯვრებისათვის. ჯერ კიდევ 80-იან წლებში იყო აღძრული იგი, მაგრამ საფუძვლიან განხილვისა და აწონ-დაწონვის შემდეგ ერთხმად უარყოფილ იქნა წ. ჯ. საერთაშორისო ყრილობის მიერ.

თავის-თავად ცხადია, რომ ორ ერთგვარ ორგანიზაციის მხარი-მხარ არსებობას ფუნქციების შერევა და მოღვაწეობის პარალელიზმი უნდა გამოეწვია.

უთანხმოება გამწვავდა, და ორივე მხარე იძულებული შეიქნა შეთანხმების რაიმე საფუძველი ეძებნა; დაარსებულ იქნა ეგრედწოდებული „შერეული კომისია“ „ლიგისა“ და კომიტეტის წევრთაგან შემდგარი, რომელსაც ახალ ორგანიზაციის ფორმაც უნდა შეემუშავებინა და თვალყურიც უნდა ედევნებინა ორივე ორგანიზაციის თანხმობითი მუშაობისათვის.

მხოლოდ შარშან უკვე სასურველი შეთანხმება და საკითხი საბოლოო დასტურისთვის გადაეცა წ. ჯ. საერთაშორისო ყრილობას, რომელიც მიმდინარე წელში იქნება მოწვეული.

როგორია ჩვენი—საბჭოთა რესპუბლიკების წით. ჯვრების—პოზიცია ამ კონფლიქტში?

მკითხველს მოეხსენება, რომ 1923 წლ. მაისში დაარსდა „საბჭ. რესპუბლიკების წ. ჯვრების კავშირი“, რომელშიც თანასწორის უფლებით შედიან წითელი ჯვრები: რუსეთისა, უკრაინისა, ბელორუსიისა, საქართველოსი, აზერბაიჯანისა და სომხეთისა. კავშირმა შეიმუშავა სათანადო კონსტიტუცია, რომლის ძალითაც თვითეული წითელი ჯვარი სრულიად დამოუკიდებელია თავის მოღვაწეობაში და აგრეთვე უფლება აქვს დამოუკიდებელი წარმომადგენლობაც იქონიოს უცხოეთის წ. ჯვრებთან, ხოლო ისეთ საკითხებში კი, რომლებიც „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის“ საერთო ცხოვრებას შეეხებიან, „წით. ჯვრების კავშირი“ შეთანხმებულათ და ერთსულოვნად გამოდიან უცხოეთის ორგანიზაციების წინაშე.

საბჭ. წით. ჯვრების ყრილობის ერთ-ერთს თათბირზე დადგენილ იქნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციაში მომხდარ უთანხმოების დროს „წ. ჯ. კავშირი“ მხარს უჭერს საერთაშორისო კომიტეტს.

•. ჭ—ძე.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

თელავის ქალაქის საბჭოს არჩევნები.

თელავის მაზრაში ყველგან დამთავრდა საბჭოების არჩევნები, დარჩა თვით თელავისა, რომლის არჩევნები მოხდა 6 თებერვალს.

არჩევნების ერთი კვირის წინ ქალაქში გამოიკრა სია იმ პირთა, რომელთაც არა ჰქონდათ უფლება არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა.

6 თებერვალს 12 საათისთვის თელავის მცხოვრებთ მოიყარეს თავი აქ იყვნენ როგორც მუშა-მოსამსახურენი, ისე ხელოსნები და მოქალაქენი, გარდა იმ პირებისა, რომელნიც სიაში იყვნენ აღნიშნული.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შ. პაატაშვილმა კრება გახსნილად გამოაცხადა, ვინაიდან დაესწრო ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა და წინადადება მისცა აერჩიათ პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ თვით ამხ შ. პაატაშვილი, იუს. იაგორაშვილი და ნ. ლუდუშაური, მდივნათ გ. ბაქრაძე.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა; 2) არჩევნები.

პირველ საკითხზე ფრიად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა პარტკომის პ. მ. მდივანმა ამხ. გ. ელისაბედაშვილმა.

შემდეგ დაიწყო თვით არჩევნები. რომლის წინ ამხ. შ. პაატაშვილმა გააცნო დამსწრეთ არჩევნების დებულება.

თელავში ითვლება ათასი მცხოვრები, ამისდამიხედვით უნდა აერჩიათ 100 წევრი. კანდიდატთა მხოლოდ ერთი სია იქნა წარდგენილი. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სია იქნება წაკითხული და ყველას შეუძლია თუ ვისმე საწინააღმდეგო აქვთ, სთქვან და მის მაგივრად სხვა კანდიდატი წამოაყენონ. კანდიდატთა სიის გულდასმით გაცნობის შემდეგ ერთხმად არჩეულ იქნენ სიაში დასახელებული კანდიდატები.

როგორც გამოირკვა, კანდიდატთა სია საქმიანობის თვალსაზრისით არის შედგენილი და ინტელიგენციასაც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი მასში:

ამნაირათ საბჭოში არჩეულია 100 წევრი.

ამათგან ეროვნებით—ქართველი—79, სომეხი—20, რუსი—1; სქესის მიხედვით—ქალი — 21, კაცი—79; პარტიული მრწამსის მიხედვით—კომუნისტი—35, ახ. კომკ. წევრი—13, უპარტიო—52; განათლების ცენზით—უმაღლესი—10, საშუალოთი—22, დაბალი—19, შინაური—48, წერა-კითხვის უცოდინარი—1. მუშა-მოსამსახურე—62, მუშა—38.

ვან—ლი.

არჩევნები სენაკის მაზრაში.

საბჭოთა არჩევნები გაცხოველებით მიმდინარეობს. 9 თებერვლიდან იწყება საარჩევნო კამპანია, რომელიც უნდა მოთავდეს 15 თებერვალს, თუ ამინდმა არ შეუშალა ხელი. რწმუნებულები, რომელთაც უნდა ჩაატარონ არჩევნები თემებში, წავლენ 9 თებერვალს და უხელმძღვანელებენ, სანამ არჩევნები არ მოთავდება.

საბჭოების სამაზრო ყრილობა უნდა შედგეს თებერვლის მეორე ნახევარში.

სამაზრო აღმასკომმა გამოუშვა ვრცელი მოწოდება მშრომელი ხალხისადმი. მოწოდებაში აღნიშნულია ის მიღწევები, რომელიც მიღებულია სამაზრო აღმასკომის მუშაობით. ეს მოწოდება ერთგვარი ანგარიშია მშრომელი ხალხის წინაშე იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება. არჩევნებში უპარტიო მასა აქტიურად ღებულობს მონაწილეობას.

ცხადია, კომუნისტური პარტიის და უპარტიო მასის ხელი-ხელ გაყრილად მუშაობა საწინდარი იქნება ჩვენი საბოლოო გამარჯვების.

ბ. უ.

არჩევნები მარტყოფის თემში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან).

საბჭოთა არჩევნებში მოსახლეობის ფართოთ ჩაბმის მიზნით თემის საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა გეგმა და ვინაიდან ძლიერი ქარბუქი და ყინვები ხელს უშლიდა მოსახლეობას არჩევნებში მიეღო მხურვალე მონაწილეობა, საარჩევნო კომისია ამხ. შაქრო ადიკაშვილის ხელმძღვანელობით შეუდგა თვითეულ სოფლებში ცალკ-ცალკე საარჩევნო-საზოგადო კრებების მოხდენას, ხოლო დიდი სოფლები დაყოფილ იქნა რამოდენიმე საარჩევნო უბნებათ. სოფლად არჩევნები დაიწყო 26 იანვრიდან და დამთავრდა, როგორც არჩევნები სოფლად და აგრეთვე სოფლის საბჭოების ყრილობა 7 თებერვალს, ხოლო მარტყოფის თემის საბჭოთა ყრილობა მოწვეულ იქნა 3 თებერვალს და ამავე დღეს დამთავრდა.

მაზრის ახალი ადმინისტრატიულ დაყოფასთან დაკავშირებით მარტყოფში მოეწყო ერთი თემ-აღმასკომი შემდეგი 4 სოფლის საბჭოებით: 1) ახალ-სოფლის, 2) ნორიოსი, 3) დიდი ლილოსი, 4) მარტყოფის.

სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: დიდი-ლილოს—ადგილობრივ უპარტიო გლეხი—გაბათაშვილი ქიტესა, ნორიოს—ხეტაშვილი (ადგ. გლეხი, კომუნისტი), ახალი-სოფლის—ამხ. შაქრო მარტიაშვილი (ადგ. გლეხი, პარტ. კანდიდ.) მარტყოფის—ამხ. ოშაყმაშვილი (იგივე მარტყოფის თემ-აღმასკ. თავმჯ. მოადგ.)

ხოლო თემ-აღმასკომში არჩეულ იქნენ შემდეგი 7 ამხანაგები: თემ-აღმასკომის თავმჯდომარეთ—ადგილობრივი უპარტიო გლეხი—ამხ. სიდოლაშვილი, მისი მოადგილე—ადგ. გლეხი კომუნისტი—მიხა ოშაყმაშვილი. პრეზიდიუმის წევრებათ—გაბათაშვილი ქიტესა—უპარტიო გლეხი, ტეხაშვილი ვანო—ადგილ. გლეხ-კომუნისტი, მარტიაშვილი შაქრო—ადგ. გლეხი პარტ. კანდიდატი კორძახია ვლადიმერი—მასწავლებელი უპარტიო, კირეულიშვილი—ადგ. კომკავშირელი, კანდიდატებათ ბანეტიშვილი ვანო, ადგ. უპარტიო გლეხი, მეფლერიშვილი იაგორა—ადგილ. გლეხი კომუნისტი.

სამაზრო ყრილობაზე არჩეულ იქნენ დელეგატებათ 7 გადამწყვეტი ხმით და 2 სათათბიროთი. ამათგან 5 კომპარტიის და კომკავშ. წევრები 4 უპარტიო და 1 ქალი.

საბჭოს საპატიო წევრებათ და სამაზრო ყრილობაზე დელეგატებათ არჩეულ იქნენ 1) ფილიპე მახარაძე, 2) სუხიშვილი ლადო, 3) ხომერიკი კოწია.

საერთოთ მარტყოფის თემში სულ არჩეულია 66 დეპუტატი (საბჭოს წევრები) ამათგან 20 კომუნისტი, 8 კომკავშირელი, და 38 უპარტიო. საბჭოს წევრების საერთო რიცხვიდან (66) არჩეულია 6 ქალი.

ქ. გ.

ახალციხის მაზრაში

(დეპეშა საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოების არჩევნები ქალაქსა და მაზრაში დასრულდა. შედეგები ასეთია: ქალაქის საბჭოში არჩეულია ვაჟი—68, ქალი—7, აქედან 27 კომუნისტია, 5 კანდიდატი, 6 კომკავშირელი. 27 უპარტიო. სოციალურ შემადგენლობის მიხედვით: 2 გლეხი, 17 მუშა, 55 მოსამსახურე, 1 წითელარმიელი, ეროვნული შემადგენლობის მიხედვით: ქართველი 29, 40 სომეხი, ქართველი მუსლიმანი 2 და სხვა ეროვნების 4.

მაზრაში ამორჩეულია 714 მამაკაცი, 11 დედაკაცი. აქედან კომუნისტია 46, კანდიდატი 30, კომკავშირელი 41, 608 უპარტიო. სოციალური შემადგენლობის მიხედვით გლეხი 633, მუშა—4, მოსამსახურე—88. ეროვნული შემადგენლობის მიხედვით: 123 ქართველი, 73 სომეხი 445 ქართველი მუსლიმანი, 80 თათარი და 4 სხვა ეროვნებისა.

12 თებერვლისათვის დანიშნული სამაზრო ყრილობა გადაიდო შემდეგისათვის.

სწავლა-განათლების საქმე

მცხეთის 7 წლედი

მასწავლებლობა ასრულებს პირველ ყრილობაზე მოცემულ დაპირებებს.

ამ სკოლაში მოწაფეთა რიცხვი უდრის 252-ს, მასწავლებელთა კი 10-ს. სკოლაში მეცადინეობა ნორმალურათ მიმდინარეობს, მოწაფეების 95 პროცენტს სახელმძღვანელო აქვს, მოწაფეებს აქვს თავიანთი თვითმართველობა. არსებობს შემდეგი წრეები: ლიტერატურული, დრამატიული და საბუნებისმეტყველო, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მასწავლებლები. დრამატიული წრე ხშირათ მართავს წარმოდგენას მცხეთის თეატრში. ა. წ. 1 თებერვალს მოწაფეებმა გამართეს ადგ. თეატრში უფასო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო საკმაო რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებლებისა. წარმოდგენა კარგათ ჩაატარეს და ხალხიც ნასიამოვნები დაიშალა. მცხეთის მოწაფეები უშვებენ ხელნაწერ ჟურნალ „სხივი-“ს.

სკოლაში არსებობს ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია საბავშო წიგნებით.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მცხეთის სკოლას განათლების კომისარიატი დიდ დახმარებას უწევს. მისი დახმარებით ამ სკოლაში დაარსებული იქნა საბავშო კოოპერატივი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის.

დღემდი ამ სკოლაში ერთი ნაკლი იყო: არ არსებობდა ა. ლ. კომკავშირის უჯრედი, მაგრამ ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია მცხეთის ა. ლ. კ. კ. რაიკომმა და 30 იანვარს აქ დაარსა უჯრედი. უჯრედში ამ ჟამათ ირიცხება 19 წევრი—იმედიცაა, რომ ეს უჯრედი ამ მოკლე ხანში უფრო მეტად გაიზრდება.

მასწავლებლების სანაქებოთ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი დიდ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ საქმეებში. სკოლის გამგე ამხ. ივ. გარსევანიშვილი ღებულობს მონაწილეობას საბჭოში, კოოპერატივში, გლეხკომში და სხვადასხვა. მასწავლებელი ამხ. ვეკუა გლეხკომის პრეზიდიუმის წევრი—მდივანია და ბეჯითად მუშაობს ამ დარგში, რის გამო გლეხებში სარგებლობს დიდი ავტორიტეტით; ამხ. ტრაპაიძეს ქალთა წრის მიერ დავალებული აქვს ბუნებისმეტყველებიდან ლექციის კითხვა. ასე, რომ თითქმის ყველა მასწავლებელი ჩაბმულია სხვადასხვა საქმეებში.

გარ. ნადარეიშვილი.

პარტიული ცხოვრება

შეფობის შესახებ

ქალაქის მუშების სოფლის გლეხკაცობასთან დაკავშირება — ილიჩის ერთი უმთავრესი ანდერძია. პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გასული წლის მთელი მუშაობა ჩატარდა სწორედ ამ ლოზუნგის ცხოვრებაში განხორციელების ნიშნის ქვეშ. ამ მხრივ თვით „მაკრატლის“ დაძლევა, ე. ი. იგი სამრეწველო პროდუქტებზე ფასების დაკლება, მტკიცე ვალიუტის შექმნა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლად მთელ რიგ ღონისძიებების მიღება, ადგილობრივად საბჭოების გამოცოცხლება და საბჭოთა აპარატების გაჯანსაღება,—წარმოადგენს დიდ მიღწევას გლეხობის და მუშების შორის მჭიდრო კავშირის დამყარების და განმტკიცების საერთო საქმეში.

დღესაც, ჩვენი მთელი ყურადღების და მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია ამ ფრონტზე. მაგრამ გარდა სახელმწიფოებრივი ხასიათის ზომებისა, სოფლის ქალაქთან დასაკავშირებლად არის კიდევ სხვა საშუალებებიც. ერთი ასეთია შეფობა.

ჩვენში შეფობა ახალი მოვლენაა, მას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მან თავის ცხოველმყოფელობა და თავისი არსებობის პრაქტიკული ღირებულება, — თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ შემთხვევებს, გამონაკლისებს,—სავსებით გაამართლა.

როგორც ვიცით, ქალაქად ყველგან პარტიულ უჯრედებთან დაარსებულია საშეფო კომისიები, რომლებსაც აღებული აქვთ საშეფოთ ესა თუ ის ჩამორჩენილი, მივარდნილი კუთხე, სოფელი, თუ რაიონი. და უნდა ითქვას, რომ ადგილობრივად კულტურული უჯრედების დაარსების, კოოპერატივების, გლეხკომების, „რემედას“-ის და სხვათა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩასახვის და განვითარების საქმეში,—ჩვენს საშეფო კომისიებს თავისი ენერგიული მუშაობით უთუოდ მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ საშეფო კომისიები თავიანთ სოფლებს უწევენ არა მარტო კულტურულ, არამედ ნივთიერ დახმარებასაც კი.

შემდეგისათვის ჩვენ გვმართებს ამ მიმართულებით კიდევ უფრო გავაღრმაოთ და გავაძლიეროთ მუშაობა და ამ მუშაობაში უშუალოდ ჩავაბათ მუშების და მუშა-მოსამსახურეების ფართე მასები. ამ მხრივ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სათვისტომოების დაარსება, მათი ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, რომელი მიმართულებითაც დღეს უკვე გადადგმულია სათანადო რეალური ნაბიჯები.

საშეფო ფრენების გაძლიერებას გვიკარნახებს კომპარტიის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი: „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“. აი ამიტომაც აქეთკენ უნდა წარიმართოს ჩვენი მუშაობა.

შანი.

პარტმუშაობა სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის მაზრის ორგანიზაციაში ითვლება 57 კომუჯრედი და 5 რაიკომი.

სიღნაღის სამკომის წინაშე დასახულ ამოცანათა შორის განსაკუთრებული ყურადღება ეძლეოდა სოფლის უჯრედებში მუშაობის გაცხოველებას ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ წარმოებულმა მუშაობამ მოგვცა საგრძნობი მიღწევები ყველა ის დაშვებული შეცდომები დეფექტები, რომლებიც იყო გამოწვეული იმით, რომ სამაზრო კომიტეტს არ ჰქონდა მჭიდრო კავშირი დამყარებული რაიონების და თემების ორგანიზაციებთან, დღეს შეიძლება ჩაითვალოს აღმოფხვრილად; ინსტრუქტორები უკვე სისტემატიურად დაიარებიან ადგილებში და ათვალიერებენ უჯრედების მუშაობას. ეს კი აცხოველებს სოფლის პარტმუშაობას, რომელიც მთავარი საწინდარია ადგილობრივად კულტურული და ეკონომიური მუშაობის გაჩაღებისათვის.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებში დიდი ფესვები აქვს გადგმული წერა-კითხვის უცოდინარობას. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით მთელი მაზრა დასერილია 120 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებით, რომლებშიაც ჩაბმულია დაახლოებით 4000 კაცამდე.

რაც შეეხება საკლუბო მუშაობას, ამ მხრივ საქმე საგრძნობლად მოისუსტებს. მაზრაში კლუბების რიცხვი ძლიერ მცირეა.

ბეჭდვითი სიტყვის საქმე კარგადაა დაყენებული. სიღნაღში გამოდის სამაზრკომის და სამაღმასკომის ყოველკვირეული ორგანო გაზ. „სიმართლე“, რომლის ტირაჟი უდრის 3500-ს.

მხოლოდ აქ უნდა იქნეს აღნიშნული ის, რომ მაზრა განიცდის ლიტერატურის უქონლობას, რასაც ცენტრმა უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

საშეფო მუშაობა მიმდინარეობს მეტად დამაკმაყოფილებლად.

მუშაობა ქალთა შორის.

დღემდე ქალთა შორის მუშაობა ვერ იდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, რაც აიხსნებოდა სათანადო ორგანიზატორების უყოლობით. ამჟამად კი ხშირად იმართება ქალების სადელეგატო კრებები, სადაც ირჩევა მეტად საჭირბოროტო საკითხები. სახალხო სასამართლოებში როდესაც რაიმე საქმე ირჩევა ამა თუ იმ მშრომელი გლეხი ქალის შესახებ, ხშირად მაზრის ქალთა-განყოფილების გამგე გამოდის დამცველის როლში. ქალთა განყოფილების წარმომადგენელი უშუალო მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე როგორც პროფ-კავშირების, ისე განათლების განყოფილების მუშაობაში.

აქვე უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ცაკასთან არსებულ ქალთა განყოფილების ინსტრუქტორი არ არის მაინც და მაინც სიღნაღის ქალთა განყოფილების ხშირი სტუმარი. მეტად სასურველია, რომ ინსტრუქტორი სისტემატიურად ათვალიერებდეს ადგილებს.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის.

ა. ლ. კ. კ. მაზრკომი აერთიანებს 1737 წევრს და 46 კანდიდატს. მაზრაში არსებობს 72 ჩანასახი და 6 რაიკომი. ახ. კომკავშირის ორგანიზაციას კ. პ. სამაზრკომი უწევს როგორც იდეურ, ისე მატერიალურ დახმარებას. ადგილობრივი კომკავშირის მიერ მოწყობილია მარქსისტული წრეები, სადაც ჩაბმულია უმეტესად ახალგაზრდობის მომზადებული ნაწილი.

რაც შეეხება უჯრედებს, ისინი ერთმანეთთან მჭიდრო დამოკიდებულებაში იმყოფებიან, ამასთანავე მთელი მათი მუშაობა მიმდინარეობს კომუჯრედების იდეური ხელმძღვანელობის ქვეშ, რაც საგრძნობლად ხელს უწყობს ამ ახალგაზრდობის ბოლშევიკურად აღზრდას.

კირ. პატარაია.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მე-100 ნომრის გამო

გუშინ 11 თებერვალს, გამოვიდა კომკავშირის გაზეთ „იუნოშესკაია პრავდა“-ს მე-100 ნომერი.

ასი ნომერის განმავლობაში კომკავშირის გაზეთმა „იუნოშესკაია პრავდა“-მ (ახალგაზრდათა სიმართლე) სავსებით დაიმსახურა ახალგაზრდათა სიმართლის სახელწოდება.

ასი ნომერის განმავლობაში „იუნოშესკაია პრავდა“ გახდა მუშათა ახალგაზრდობის მასიურ გაზეთად.

თვითეული ახალგაზრდა მუშა ყოველგვარი უსამართლობის ანდა ანტი-კომკავშირული მოქმედების შემთხვევებს აქვეყნებდა „იუნოშესკაია პრავდა“-ში და ამით აცნობდა მთელ მუშათა ახალგაზრდობას.

თავისი ასი ნომრის განმავლობაში „იუნოშესკაია პრავდა“-ს არა ერხელ გაუკრიტიკებია სასტიკათ ყველა: ლენინური კომკავშირის უბრალო წევრიც და პასუხისმგებელი მუშაკიც...

„იუნოშესკაია პრავდა“ უყვართ და სძულთ.

უყვარს და აფასებს მას მუშათა ახალგაზრდობა მისი კომკავშირელი სიმართლისათვის...

სძულთ იმათ, ვისი „საგმირო“ საქმეებიც გამოქვეყნებული იყო „იუნოშესკაია პრავდა“-ში.

„იუნოშესკაია პრავდა“-მ დიდ შედეგებს მიაღწია.

თბილისის მუშათა ახალგაზრდობის 95 პროც. ახალგაზრდა ლენინური კომკავშირის რიგებში ითვლება...

მაგრამ მე-100 ნომრის გამოსვლის შემდეგ „იუნოშესკაია პრავდა“-ს წინაშე ისმება უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები, კერძოთ კი:

— მან დაუღალავი ბრძოლა უნდა აწარმოოს ლენინიზმისათვის!

— მან უნდა აუხსნას მუშათა ახალგაზრდობას, რომ საბჭოთა ქვეყნის განმტკიცება დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე.

მან მთელი თავისი ენერგიით უნდა იბრძოლოს „ახალი ყოფა-ცხოვრების“ დამყარებისათვის!

ვუსურვოთ ჩვენს, კომკავშირის ორგანოს კიდევ უფრო მეტი ენერგია, რომ კომკავშირული სიმტკიცით და ნებისყოფით განხორციელებიოს ის ამოცანები, რომლებიც დასმულია მის წინაშე!

ოქტომბრელი.

„საზღვარზე“

ა | წ. 27 იანვარს გამოვიდა ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას და განათლების სახალხო კომისარიატის ყოველთვიური სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო მოსწავლე ახალგაზრდობის ჟურნალი **„საზღვარზე“**.

ამ ჟურნალის გამოშვება უტყუარი თავდებია იმისი, რომ ჩვენს მოწაფეობას ეძლევა საშუალება გადადგას სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები კულტურულ განმანათლებელ სფეროში.

ამ ჟურნალის წინაშე დღეს ბევრი სერიოზული საკითხებია წამოჭრილი. უმთავრესად კი მას აქვს დასახული შემდეგი ამოცანა: ეს ის, რომ ჟურნალმა უნდა დააკმაყოფილოს მოწაფეთა აქტიური ლტოლვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურულ ცხოვრებისაკენ; მან უნდა მისცეს მოსწავლე ახალგაზრდობას ის ცოდნა, რაც აუცილებელია აღნიშნული ამოცანის შესრულებისათვის; ჟურნალმა მოწაფეთა მასსას უნდა გაუკაფოს სწორი გზა, რომლის გარეშე შეუძლებელია მათი დარაზმვა რევოლიუციის დროშის ქვეშ.

მაგრამ როგორია თვით ჟურნალი თავისი ფორმის და შინაარსის მხრივ? თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ჟურნალი უნაკლოა, მხოლოდ მოისუსტებს მოწაფეთა ცხოვრების გაშუქება, რასაც მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

შ. კ—ლია.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

პიონერთა მოძრაობის შესახებ

ამ უკანასკნელ ხანებში ბავშვთა კომუნისტურმა მოძრაობამ მეტად დიდი ფესვები გაიდგა. პიონერთა ორგანიზაციები დღით-დღე იზრდებიან, ვითარდებიან როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივადაც. ლოზუნგი: „ერთ კომკავშირელზე ერთი პიონერი“ შეიძლება ითქვას სავსებით განხორციელებულია. და ღრმად უნდა ვიყვეთ დარწმუნებული, რომ კომკავშირი, რომელიც აწარმოებს დაუღალავ მუშაობას ბავშვთა კოლლექტივებში, მთლიანად გაატარებს ცხოვრებაში ამას წინად დამთავრებულ თბილისის კონფერენციის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგსაც: „ერთ კომკავშირელზე ორი პიონერი“.

როგორი მუშაობა სწარმოებს ქალაქად პიონერთა რიგებში?

პიონერთა ორგანიზაციები მხურვალე მონაწილეობას იღებენ ყველა კამპანიებში, ისინი აქტიურად ჩაბმული არიან საკლუბო, ქოხ-სამკითხველოების, ლენინის კუთხის მოწყობის, დრამწრის, კედლის გაზეთის გამოშვების და საერთოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

პიონერთა შორის სწარმოებს ფიზიკურ აღმზრდელობითი მუშაობაც.

საერთოდ, პიონერები როგორც უმცროსი ძმები კომკავშირლებისა მტკიცეთ დგანან თავიანთ სამუშაოზე და ყოველთვის მზად არიან, როდესაც ამას დრო და საჭიროება მოითხოვს, შესცვალონ თავიანთი უფროსი ამხანაგები.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ თუ ქალაქად ბავშვთა კოლლექტივებში მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად, სოფელი ამ მხრივ ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. სოფლად პიონერთა ორგანიზაციები საგრძნობლად მოისუსტებენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივ ეს ორგანიზაციები ჩამოყალიბებული იყვნენ.

ყოველ მიზეზს გარეშე საჭირო არის, რომ ქალაქმა სოფელს აღმოუჩინოს სათანადო დახმარება. ხოლო ამ შემთხვევაში, თავის მხრივ, კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციების უშუალო მოვალეობას შეადგენს ამ მიმართულებით სისტემატიური და ენერგიული მუშაობის წარმოება, რათა დაძლეული იქნან ყველა ის დაბრკოლებანი, რომლებიც წინ ეღობებიან სოფლად ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის განვითარებას.

ა. ასკანელი.

ნორჩი პიონერები უნდა ვიხსნათ სიცივისაგან

მე-3 რაიონის მეორე კოლლექტივის პიონერები დიდ გაჭირვებულ და უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ არა აქვთ ხეირიანი ბინა. ამ ჟამად პიონერების ბინა წარმოადგენს ღვინის დაბალ სარდაფს, რომელსაც 75 ფანჯრის მინა, ორის კარდა, სულ ჩამტვრეული აქვს. ამ ცუსხიან ზამთარში და საშინელ ყინვებში, ცხადია, ბავშვებს არ ძალუძთ განაგრძონ მეცადინეობა.

ზემოხსენებული კოლლექტივი აერთიანებს 95 პიონერს, ამათში სიცივის გამო, რასაკვირველია, ისიც ძალიან ძვირად დაიარება, მხოლოდ 20—25 ბავშვი, და ეს ყველაფერი იმ დროს, როდესაც ბავშვებს დიდი სურვილი და ხალისი აქვთ მუშაობის და მეცადინეობისადმი.

ზოგიერთი პიონერ-აქტივისტები სცდილობენ შეაკეთონ, შეალამაზონ დარბაზი, მაგრამ ამაოდ, მხარის დამჭერი და მიმშველებელი მათ არავინ ჰყავთ.

იმედია მე-9 იანვრის უჯრედი, რომელზედაც მიმაგრებულია ეს კოლექტივი, მცირეოდენ დახმარებას გაუწევს მას და შუამდგომლობას აღძრავს ამავე რაიონის რაისაბჭოს წინაშე, რომ შეერთებული ძალღონით დაეხმაროს ნორჩ პიონერებს და დაიხსნან ისინი სიცივისაგან.

მუშკორი **გ. დარისპანაშვილი.**

თემკომი თუ რაიკომი *)

ჩვენს პრესაში კამათის წესით წამოიჭრა საკითხი პარტ-აპარატის სტრუქტურის შეცვლის შესახებ. ეს გარემოება ხელს უწყობს ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს გამოსთქვან თავისი შეხედულება ამ საკითხზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ხელმძღვანელი ორგანოები ანგარიშს გაუწევენ პროვინციელ ამხანაგების აზრს.

არ არის მართალი ამხ. ბობოხიძე (იხ. „კომუნისტი“ № 21), როდესაც ის ამბობს 1922—23 წლებში თემკომები გამოდგნენ უსუსურებიო; ამის მთავარ მოტივად მოყავს ის გარემოება, რომ თემკომების რიცხვი უდრიდა 300-მდე. საამისოდ კი ჩვენს პარტიას არ გააჩნდა არც მომზადებული კადრი ამხანაგებისა და არც სათანადო რესურსებიო. რომ რესურსები გვქონოდა და მომზადებული ამხანაგებიც გვყოლოდა, რასაკვირველია, თემკომები არ გამოდგებოდნენ უსუსურნი,— ამაში დაგვეთანხმება ამხ. ბობოხიძე.

მეორე მხრივ, განაგრძობს ამხ. ბობოხიძე, თემკომების არსებობა პრაქტიკულ საქმიანობის დროს ბადებდნენ, თუ კი შეიძლება ასე ითქვას, აუცილებელ „ორ ხელისუფლიანობას“. ამხ. ბობოხიძეს რომ დაუჯეროთ, — თემკომების არსებობა ჰქმნის ორ-ხელისუფლიანობას. ეს შემცდარი აზრია, და აი რატომ: თუ პარტიის ორგანიზაციის არსებობა (ძირითადის) გამოიწვევს „ორ-ხელისუფლიანობას“, რატომ იგივე პარტიის სტრუქტურა უფრო მაღალ ორგანიზაციის საფეხურებზე არ გამოიწვევს ამას? მაგ., რაიკომი, მაზრკომი ან ცეკა.

თუ ჩვენმა პარტიამ საბჭოთა სისტემაში რაიაღმასკომების შემოღება ჩვენს სინამდვილეში მიიჩნია შეცდომათ, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ რაიკომებიც ვერ ამართლებენ ჩვენი პარტიის ამოცანას: **მასსასთან დაახლოვებას.** ზედმეტი საფეხურის პარტ-აპარატები ჩვენ დაგვაშორებს არა თუ უპარტიო მასსას, არამედ პარტიულ მასსასაც.

ნუ შევშინდებით იმით, რომ არა გვყავს სათანადოთ მომზადებული ამხანაგები. თუ ჩვენ თემთა აღმასკომებისათვის გამოვძებნით ასეთებს, პარტიის გაჯანსაღებისათვის მით უფრო.

ამხ. ბობოხიძეს ჰგონია, თუ ჩვენ დავფარავთ ჩვენს ქვეყანას მრავალრიცხოვანი წვრილ პარტიულ კომიტეტებით, ეს თითქო გამოიწვევს უჯრედებში მუშაობის შესუსტებას, რადგანაც მთელი მუშაობის ცენტრი გადავა უჯრედებიდან, პერიფერიებიდან თემის ცენტრში—თემკომში. რად არ ფიქრობს ამხ. ბობოხიძე—რაიკომის არსებობის დროს მთელი მუშაობის სიმძიმე გადავა რაიკომებში და უჯრედებში მუშაობა შენელდება?

თუ ჩვენ შევქმნით თემკომებს, პირიქით, უჯრედებში მუშაობა გაცხოველდება, თემკომის მდივანი უფრო ხშირად ინახულებს თემში შემავალ უჯრედებს, ვიდრე რაიკომის მდივანი, რომელიც ხელმძღვანელობს რამოდენიმე თემის უჯრედებს; სამაზრო კომიტეტში მომუშავე ამხანაგები (სამაზრო ინსტრუქტორები, განყოფილებების გამგეები) უშუალოდ უხელმძღვანელებენ თემკომებს, რაც მათ შორის შექმნის უფრო ცოცხალ კავშირს, ვიდრე არსებობს ეხლა. ეხლა რაიკომში მდივნები წარმოადგენენ სამაზრო კომიტეტისა და დაბალი ორგანიზაციებისათვის ერთნაირ კედელს, რომელიც ხელს უშლის მათი ერთმანეთთან დაახლოვებას; როცა რაიკომის მდივნები არ გვეყოლება, მაზრის მომუშავე ამხანაგები უფრო ხშირად ინახულებენ ძირითად ორგანიზაციებს და დაინახავენ ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის დადებით თუ უარყოფით მხარეებს. ამხ. ბობოხიძეს თემკომების უარსაყოფად მოყავს კიდევ ერთი საბუთი—უსალსრობა. მაგრამ თუ გვინდა ჩვენი პარტიის რიგების განმტკიცება, ჩვენ უმტკივნეულოდ შევძლებთ თემკომების შენახვას; ეს ჩვენგან არ მოითხოვს დიდ ხარჯებს.

ჩვენ სხვაგან უნდა შევამციროთ ზედმეტი ხარჯები, რომელთაც ბევრ ალაგას კიდევ აქვთ ადგილი. აქედან შეიქმნება წყარო, საიდანაც შეიძლება თემკომების მდივნების შენახვა. გარდა ამისა, თემკომების შემოღებით რაიკომები იხსნება, მაშასადამე, თავისუფლდება თითოეულ მაზრაში 7—8 რაიკომის მდივნის ჯამაგირი. ამ ფულით კი ჩვენ შევინახავთ ათიოდე თემკომებს სხვა სალარო რომ არ გამოინახოს რა, ჩვენი აზრით, იმ ბიუჯეტით, რომლითაც პარტია ინახავს თავისს აპარატს, თუ ის იქნება უფრო რაციონალურად განაწილებული, თემკომების მდივნებს თამამად შევინახავთ.

ე. შალამბერიძე.

---

*) კამათის წესით.

რედ.

ამხ. დომენტი კუჯუხიძის ხსოვნას

ჩვენ, მოსკოვის სამხედრო საინჟინერო სასწავლებლის ჯგუფმა ქართველ მსმენელებისა, გავიგეთ რა საზიზღარი გამცემლობითი მკვლელობა მენშევიკურ ბანდების მიერ შეუცვლელ და დაუღალავ პოლიტიკურ მუშაკის, ქუთაისის პოლიტ-ბიუროს თავმჯდომარის ამხ. დომენტი კუჯუხიძის, გამოვთქვამთ ულრმეს მწუხარებას.

და იმ მენშევიკურ ბანდებს, რომლებიც ასე უსინდისოთ ეგებებიან და უმასპინძლდებიან გამგმირავი ტყვიებით პოლიტიკურ მუშაკებს, და მასთან არღვევენ მშვიდობიან ცხოვრებას, უცხადებთ უსაზღვრო ზიზღს. ჩვენ ამხ. დომენტის სიკვდილი ვერ შეგვაშინებს და უფრო გავაორკეცებთ ბრძოლას იმ უსინდისო გამყიდველების წინააღმდეგ. მოვითხოვთ რათა იქნას დამნაშავეთა წინააღმდეგ მიღებული სასტიკი ზომები, რომ ძირიან-ფესვიანად აღმოიფხვრას მათი სახელი და ბოლო მოეღოს მათ მოქმედებას ჩვენს ქვეყანაში.

მოსკოვის სამხ. საინჟინერო სასწავლებლის ქართველ მსმენელთა ჯგუფის მონდობილობით. **წით. მეთ. დ. გედენიძე, ალ. არჩ. ტალახაძე, აქ. სოფ. ხვანაძე.**

მოსკოვი 2 თებერვალი.

მილიციაში

ჩვენი მილიცია

მ | გ მილიციის დანიშნულება ფრიად სერიოზულია. მუშურ გლეხურ მთავრობის მიერ მას დაკისრებული აქვს დაიცვას საბჭოთა ხელისუფლების კანონების ყველა მოთხოვნილებანი, სრულის სისწორით აასრულოს უფროსებისაგან მიღებული ბრძანებანი სამსახურის შესახებ, აწარმოოს ენერგიული და გულწრფელი მუშაობა თავის მოვალეობის ასრულების დროს, ზრდილობიანად მოეპყრას მოქალაქეებს, იქონიოს კანონებისადმი პატივისცემა, გამოიჩინოს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულობა და სრული შეგნება იმისა, რომ მილიციელი არის აქტიური მონაწილე საბჭოთა წესწყობილების განმტკიცებისა და საბჭოთა ქვეყნის აღორძინებისა.

თანახმად საბჭოთა ხელისუფლების წესდებისა, მილიციაში მიიღება მხოლოდ მუშა და გლეხი. ეს იმიტომ, რომ მუშათა და გლეხთა მილიცია თავისი ფსიქოლოგიით, თავისი შეგნებით ახლო იდგეს მუშებთან და გლეხებთან და ყოველივე ჭირვარამ მუშისა და გლეხისა სწორად გაიგოს და შესაფერისი დახმარებაც გაუწიოს მას.

რათა ყველაფერი ეს იქნეს შესრულებული პირნათლად, საჭიროა მილიციაში გვყავდეს წერა-კითხვის მცოდნე, კარგათ გაცნობილი სისხლის სამართლის და პროცესსუალურ კოდექსს, ხელისუფლების ძირითად დებულებებს და პოლიტიკურ ანბანს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მილიცია შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან, რომელნიც ძველი წესწყობილების დროს მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ საშუალებას მიეღოთ რაიმე ცოდნა, არ არის გასაკვირი, რომ ჩვენი მილიცია სავსებით არ არის მომზადებული თავის დანიშნულებისათვის: ერთგულობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, გულწრფელობა თავისი მოვალეობის შესრულების საქმეში მას აქვს, მხოლოდ აკლია სათანადო ცოდნა და ეს ნაკლი აუცილებლად უნდა იქნეს გამოსწორებული. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს უნდა მიაქციონ ყურადღება როგორც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებმა, აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებმა.

არ არის სწორი ის შეხედულება, ვითომ მილიცია წარმოადგენდეს მხოლოდ შეიარაღებულ ძალას და ბანდიტების წინააღმდეგ მებრძოლ იარაღს. ასე მილიციას უყურებდენ მენშევიკები, ჩვენ კი ვამბობთ—მილიციელი არის ჩვენი მთავრობის წარმომადგენელი იმ დარგში, რა დარგიც მას აბარია და თითოეული გაუსინჯავი და მიზანშეუწონელი ნაბიჯი მილიციელისა სახელს უტეხს მთელ მილიციას და საბჭოთა ხელისუფლებას.

მილიციის შემადგენლობა უნდა მოქმედობდეს ურთიერთ შორის შეთანხმებით და მტკიცე დისციპლინით იყოს განმტკიცებული.

საჭიროა საბოლოოდ ჩამოყალიბებული იქნეს ყველგან მილიციის შემადგენლობა და ხშირად არ ხდებოდეს მილიციელის დათხოვნა-მიღება, ვინაიდან ამ მდგომარეობაში ჩვენ არ შეგვიძლია მივსცეთ მილიციას ის მომზადება, რაც მისთვის საჭიროა. ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ის მოვლენა, რომელსაც, სამწუხაროდ, დღესაც აქვს ადგილი, — მოქალაქე მილიციაში ეწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სხვაგან ადგილს ვერ შოულობს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იუსტიციის კომისარიატთან შეთანხმებით მალე შეუდგება იმ ნაკლულევანებათა გამოსწორებას, რომელიც არსებობს დღემდის. ყოველგვარი ზომები იქნება მიღებული, რათა ჩვენი მ | გ. მილიცია დადგეს სათანადო დონეზე, მხოლოდ აქ საჭიროა აქტიური დახმარება ადგილობრივი ამხანაგებისა.

კოლექტიური ძალით ჩვენ შევძლებთ მილიციის მომზადება-განვითარებას, რაც დიდად შეგვიმსუბუქებს მუშაობას მომავალში და ასწევს მილიციის პრესტიჟსაც თავის სიმაღლეზე.

ა. ქავთარაძე.

ქრონიკა

საქ. ცაკში

— **სრ. საქართველოს საბჭოების ყრილობა.** ცუდი ამინდებით ადგილებზე საბჭოთა არჩევნების შეფერხების გამო, საქ. ცაკის დადგენილებით სრ. საქარ. საბჭოების მესამე ყრილობა გადადებულია.

— **წითელი ქალაქი.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობით სოფ. ახალქალაქს (გორის მაზრა) საქ. ცაკმა დაადგინა ამიერიდან ეწოდოს წითელი ქალაქი.

— **საქ. ცაკმა მიიღო დადგენილების** პროექტი მთავარ და საოლქო დისციპლინარულ სასამართლოს წევრების დანიშვნის შესახებ.

— **მეცხვარეობისათვის.** საქ. ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო გაუწიოს დახმარება მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხ, „მწყემს“ 15,000 მ.ნ. რაოდენობით.

— **უზენაეს სასამართლოს** წევრათ დაინიშნა ამხ. ირ. სორგულაძე.

—

— **შრომის მუზეუმი.** საქ. შრომის მუზეუმი გაიხსნება თებერვლის დამლევს.

— **დახმარება ინვალიდებს.** თბ. დამზღვევ კასამ იანვრის განმავლობაში შრომის ინვალიდებს მისცა დახმარების სახით 6,193 მან. 65 კაპ.

— **დაზღვევის განათლების** საქმეზე დამზღვევ კასამ იანვარში დახარჯა 1492 მან.

— **საექიმო იარაღები.** საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ქუთაისში გაგზავნა 7 საექიმო სადგურისათვის საჭირო საექიმო იარაღები.

— **საქ. ჯანსახკომმა** ოზურგეთში გაგზავნა კბილის საექიმო მოძრავი რაზმი № 1.

— **გვამების გაჭრა.** მოკლე ხანში გამოვა ქართულ და რუსულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი გვამების გაჭრის შესახებ.

— **დამზღვევ კასამ** გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა, რომ კასის შესახებ აღძრული სასამართლო საქმეები სასამართლოში ირჩეოდეს პირველ რიგში.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** 16 თებერვ. დაიწყება გემო-კვების, სახალხო კვების და ქიმიკოსთა კავშირების დაზღვეულ უმუშევართა (რომლებსაც დახმარება არ ეძლევათ) ხელახალი აღრიცხვა.

— **ზაჰესის ენერგიის საექსპლოატაციოთ.** თბ. აღმასკომმა დაადგინა საგეგმო კომისიასთან დაარსებულ იქნას ზაჰესის ენერგიის საექსპლოატაციო გეგმის გამოსამუშავებლათ სპეციალური კომისია.

— **ლომბარდის საკომისიო** მაღაზიებს ნება მიეცათ—გირაოთ მიღებულ საქონელში გასცენ ფული.

— **სუნჟენის ხევში** თბ. აღმასკომის სატყეო სექციამ გასულ წელს დათესა ტყის მოშენების მიზნით 120 ფუთი სხვადასხვა თესლეულობა.

— **ხრეშის დამზადება.** თბ. ტრამვაიმ თავის საჭიროებისათვის დაამზადა 1,400 კუბ. საჟენი ხრეში.

— **შრომის კოლექტივებში.** საქ. შრომის კოლექტივების გამგეობის ცნობით ამჟამად საქართველოს შრომის კოლექტივებში ჩაბმულია 1,600 კაცზე მეტი.

— **„წითელი მეწვრილმანე“.** ამჟამად შრომის კოლექტივების გამგეობა აწარმოებს საორგანიზაციო მუშაობას შრომის კოლექტივ „წითელი მეწვრილმანის“ დასაარსებლად.

— **შრომის ბაზრის** განყოფილება შეუდგა თავის სამუშაო 3 თვიანი გეგმის გამომუშავებას.

— **მევენახეობისათვის.** სახ. მამულების ტრესტმა ამერიკიდან მიიღო 1 მილიონი მეტრი ამერიკული ვაზის სანერგე.

— **ცხენოსნობის სკოლა.** ცხენთა საჯიშოების განყოფილება ახლო მომავალში თბილისში გახსნის ცხენოსნობის შესასწავლ სკოლას.

— **სამკერვალო ტრამვაის მუშებისათვის.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთათვის დაარსოს ტანისამოსის და ფეხსაცმელების სამკერვალოები.

— **პირველი საფეხურის სკოლებისათვის** შესანახათ მაზრებში, 24—25 სასწავლო წელში თბ. აღმასკომმა გადასდო 170,162 მან.

— **ქალაქის საავადმყოფოების** წამლეულობით და შესახვევი მასალებით მოსამარაგებლათ თბ. აღმასკომმა გადასდო 86,972 მან.

— **ჯანმრთელობის განყოფილებამ** თბ. აღმასკომის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ეზოებში სანიტარული პირობებისათვის თვალყურის დევნება დაევალოს მილიციას.

— **ხუდადოვის ტყეში** დახნულია 7,000 განაკვეთი მიწა ბუჩქების გასაშენებლათ.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაავალა ოპერატიულ განყოფილებას გამოიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებათა გეგმა ახ. კომკავშირელთა შორის უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ.

— **საბუღალტერო კურსები** მ.-გ ინსპექციამ დაადგინა თავის და ფინსახკომის თანამშრომელთათვის გახსნას მოკლევადიანი საბუღალტერო კურსები.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** 1. ლაგოდეხიდან—კასაბიანს, 2. მუხიანიდან—ქიქინაძეს, 3. აგდაშიდან—ისმაილბეგოვს, 4. აგდაშიდან—კახაბრიშვილს, 5. ზუგდიდიდან—ზედანიას, 6. ერევნიდან—იოანისიანს, 7. მოსკოვიდან—საველიევს.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** შაბათს, თებერვლის 14-ს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში (კალოუბნის ქ. № 1) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც წაიკითხავენ 1) შალვა ამირანაშვილი მოხსენებას—„გელათის მთავარი ტაძრის მოზაიკა“, და 2) სერგო გორგაძე მოხსენებას—„ერთი სადაო საკითხის გამო ბესიკის შემოქმედებიდან“, კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორის ცნობებით, საქართველოში 11 თებერვალს იდგა ასეთი დარები:

ბათომი. ქრის აღმოსავლეთის მსუბუქი ქარი, ზღვაზე სიწყნარეა.

ქუთაისში. მოწმენდილი მზიანი დღე.

ჭიათურაში. მოწმენდილი, მშრალი დღე, ჰქრის აღმოსავლეთის მსუბუქი ქარი.

ბორჯომი. მოღრუბლული დღე. წინა დღით თოვდა. ჰყინავს.

მუხრანში. მოწმენდილია. ჰყინავს.

მუკუზანი. წყნარი, ნათელი დღე.

ბაქოში. სამხრეთის მსუბუქი ქარი ნისლიანი დღე.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობით.

ბათომი	ცელსიუსით	სითბო	5 გრ.
ქუთაისი	„	ყინვა	1 გრ.
ჭიათურა	„	ყინვა	9 გრ.
ბორჯომი	„	ყინვა	14 გრ.
მუხრანი	„	ყინვა	14 გრ.
ბაქო	„	ყინვა	1 გრ.

ბრძოლა ტრამვაიზე შეხტომა-ჩამოხტომის წინააღმდეგ

ტრამვაის ვაგონებიდან ჩამოხტომა და ვაგონზე შეხტომა თითქმის ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენა იყო, რასაც უბედური შემთხვევები მოსდევდა. ხოლო თბ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილების გამოცემის შემდეგ აღნიშნული მოვლენა საგრძნობლათ შემცირდა.

ტრამვაის დირექტორმა ამხ. ფარნიევმა ჩვენი თანამშრომლის მიმართვაზე, დაჯარიმებულთა რაოდენობის შესახებ, აღნიშნა შემდეგი:

ვაგონზე შეხტომისა და ვაგონიდან უადგილო ადგილას ჩამოხტომის გამო დაჯარიმების შემთხვევა ხშირი იყო განსაკუთრებით 10 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე, ამ ხნის განმავლობაში კონდუქტორების მიერ დაჯარიმებული იქნა 50 კ. 4867 მოქალაქე, ხოლო მილიციელების მიერ 1 მანეთით 600 მოქალაქე კომისარიატში წაუყვანელათ, ხოლო სამილიციო კომისარიატებიდან აღმასკომის სალაროში შემოვიდა 1220 მან. იმ პირთა დაჯარიმებებით, რომლებსაც არ უნდოდათ გადაეხადათ ჯარიმა და წაყვანილი იქნენ კომისარიატებში. ამგვარ დაჯარიმებულთა რიცხვი უდრის 244 კაცს.

მაგრამ იყო წესრიგის დამრღვეველთა მეოთხე კატეგორიაც, რომელიც უარს აცხადებდა სრულებით ჯარიმის გადასახადზე, რის გამო ისინი დაკავებული იქნენ 2—2 დღით კომისარიატებში. ასეთ პირთა რიცხვი იყო 165.

ამ რიგათ სულ დაჯარიმებული და საერთოდ დასჯილი იქნა 5,846 მოქალაქე.

15 ნოემბრის შემდეგ კი წესრიგის დარღვევის შემთხვევა, ისეთი იშვიათი მოვლენა შეიქნა, რომ მათი აღნუსხვა არ ღირს.

X.

შემთხვევები

სესხი

როდესაც ეცნობი ამ საქმეს, არ იცი რომელი უფრო განსაცვიფრებელია: სასოფლო-სამეურნეო ბანკის მეტისმეტი გულუბრყვილობა, თუ მოქალაქე ანტოშა მამინაშვილის თავხედობა.

ეს მამინაშვილი მივიდა სასოფლო-სამეურნეო ბანკში, განაცხადა, რომ მას სჭირდება ფული და მოითხოვა სესხი ფქვილის გირაოს ქვეშ, რომელიც მას საწყობში ჰქონდა შენახული,—1.000 ფუთზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მას მისცა 6 ათასი მანეთი, ფქვილი კი რატომღაც დაუტოვა მას საწყობში, არც კი დაბეჭდა ის.

დღეები დღეებს მისდევდენ. დადგა სესხის გასტუმრების ვადა. მამინაშვილს ფული არ აღმოაჩნდა, მივიდნენ მასთან საწყობში და ფქვილიც... აგრეთვე არ აღმოჩნდა.

კანტორა „ტრანსპორტი“.

ქალ. თბილისის ცენტრალურ რაიონში მოთავსებულია საექსპედიციო კანტორა „ტრანსპორტი“, ამ კანტორაში კი დიდი ხანი არ არის, რაც მსახურობს ექსპედიტორი ჩხიკვიშვილი—მამინაშვილის მაგვარი სუბიექტი.

ამ კანტორას დახმარებისათვის მიმართა სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებამ, რომლის სახელზეც მოსკოვიდან მიღებული იყო 11 ათასი მანეთის ფართლეულობა.

ამ საქონლის მისაღებათ საქონლის სადგურზე გაგზავნილი იყო ჩხიკვიშვილი, რომელმაც გამოიყიდა საქონელი და მისი დანიშნულებისამებრ ჩაბარების მაგივრათ მიიტანა ის ანანოვის ყოფ. ქარვასლაში და მიყიდა ვაჭრებს—ეგიოკელაშვილს და პერლოვაშვილს; შუამავალს—მიკლერს ჩხიკვიშვილმა ჯილდოს სახით მისცა 238 მანეთი და მიიმალა.

ჯერჯერობით ის ვერ აღმოაჩინეს.

ფ.

—

— **ავტომობილის მსხვერპლი.** 10 თებერვალს კომუნალურ ქუჩაზე ქართული მსროლელი დივიზიის შტაბის ავტომობილი № 3099, რომელსაც მართავდა შოფერი ივანე გიორგაძე, დაეჯახა მოქ. ჯავას კატარ-ოღლის, რომელიც გადაგზავნილი იქნა მთავარ საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა. შოფერი დაპატიმრებულია.

— **დაპატიმრება.** მე-2-რე სამილიციო რაიონის თანამშრომლებმა გუშინ დააპატიმრეს ალექსანდრე კრუგლიკოვი, რომელმაც წინა დღეს დასჭრა დანით ლიბარიტე მარტიკიანცი.

— **ქურდის შეპყრობა.** 10 თებერვალს სამხედრო კოოპერატივიდან, (რუსთაველის პრ. № 39) მოპარული იქნა ერთი ვედრო ხალვა. მიღებულ ზომებით ბოროტ-მოქმედი, მიხეილ ალალაშვილი, შეპყრობილი იქნა.

— **ქურდობა.** 10 თებერვალს ანნა შარაშიძის ბინიდან (ბასეინის ქ. № 12) მოპარული იქნა 1 ხალიჩა, ღირებული 100 მ.

— 10 თებერვალს, ბაქოს ქუჩ. № 18 ევდოკია გრომოვის ბინიდან მოპარული იქნა მასთან სტუმრათ მყოფ ანნა ოგანეზოვის მიერ 1 პალტო და ქუდი ღირებული 80 მან.

— სტეფანე ჯიბლაძის საბილიარდოდან, (ელისაბედის და ნეკრასოვის კუთხე) მოპარული იქნა ორი მაუდი ბილიარდის, ღირებული 200 მანეთად.

— ტერ-გუკასოვის ქუჩაზე № 15, მორგებულ გასაღების საშუალებით გაქურდულ იქნა გ. გავრილოვის ბინა. წაღებულია 90 მან. ნივთები.

— 10 თებერვალს, დილის 9 საათზე, ვერის დაღმართზე № 12, გაქურდული იქნა გ. ალიბეგოვის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ტანსაცმელები ღირებული 150 მან.

— სოლომონოვის ქ. № 19, ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ე. პალადაშვილის ბინა. ეჭვით დაპატიმრებულია მეეზოვე მ. კარაპეტოვი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ს. ი. ევლახიშვილის იუბილე.

იუბილიარი სადღესასწაულო წარმოდგენაში გამოვიდა ევგენი ონეგინის პარტიაში ოპერის მე-3 და მეოთხე სურათში.

უნდა ითქვას, რომ ევლახიშვილმა ჯეროვანათ შეასრულა თავის თავზე აღებული ამოცანა. რასაკვირველია, დროს თავისი დაღი დაუმჩნევია მსახიობის ხმისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესრულება მაინც ამოცანის სიმაღლეზე იყო.

გამოცდილმა და ნიჭიერმა მსახიობმა ოპერის გმირის სწორი და დამთავრებული სცენიური სახე მოგვცა. მას წინანდებურათ მშვენივრათ დამუშავებული ფრაზა, გამომეტყველი მიმიკა, წინანდებური მუსიკალობა, ნათელი და მოფიქრებული დიქცია და ტემპერამენტი აქვს.

ამას გარდა ვოკალური შესრულებაც სათანადო სიმაღლეზეა. მსახიობი, რომელსაც აუდიტორია ერთსულოვანი და მქუხარე ტაშით შეხვდა, ღელავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან მაინც კარგათ ჩაატარა მუსიკალური მონოლოგი.

კიდევ უფრო უკეთესათ შეასრულა მსახიობმა უკანასკნელი სცენა. ევლახიშვილმა ამ სცენაში ბევრი [illegible] და ტემპერამენტი ჩააქსოვა.

მუსიკალურათ შეასრულა ტატიანას პარტია მომღერალმა მაზოვეცკაიამ.

ამას გარდა დადგმული იყო გრანდიოზული ფინალი ოპერა „ერნანი“-დან ალექსაშინის, მ.სინის და ბოგოლეპოვას მონაწილეობით.

იუბილე დამთავრდა მილოცვებით. საზეიმო სხდომა გახსნა მთავარ სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარემ სოსო გედევანიშვილმა. იუბილიარი სცენაზე გამოიყვანეს პოპოვმა და ვასო აბაშიძემ.

მთავრობის სახელით იუბილიარს მისალმა გედევანიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის დადგენილებით ევლახიშვილს ეწოდა დამსახურებული მსახიობის სახელი. ამას გარდა მთავრობამ მის სასარგებლოთ გადადვა საჩუქარი ფულით.

იუბილიარს მიესალმენ აგრეთვე მთელი რიგი დეპუტაციები. წაკითხული იყო მრავალი მისალოცი დეპეშები.

პ. ბ.

—

— **ვილიამ დორიანის გასტროლი.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება ვილიამ დორიანის გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“.

— **ცირკში** დღეს წარმოდგენა ლაზარენკოს და გარრი პილის მონაწილეობით.

— **რუსთაველის თეატრი.** პოლევიცკაიას გასტროლი. წარმოდგენილი იქნება: „სიყვარულის ოცნება“.

დღეს კინოებში:

— აპოლო—„მოუთმენლობა“

— არფასტო—„როზიტა“.

— სოლეი—„როზიტა“.

— მინიონ—„მოცეკვავე ქალი ბროდვეიდან“.

— პალას—„ორი სიყვარული“.

ფიზიკური კულტურა

ავტონომიური რესპუბლიკების ფიზკულტურის საბჭოები

ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს პლენუმის მეორე სხდომაზე დამტკიცებულ იქნა დებულება ავტონომიური რესპუბლიკების—აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის—ფიზკულტურის საბჭოების შესახებ.

ამავე სხდომაზე განხილული იყო ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მუშაობა და ხარჯები 1924 წლის 15 ოქტომბრიდან 1925 წლის 15 იანვრამდე. საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი.

ლექციები მოტო-კლუბში

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ მოტო-კლუბში ა | წ. 7 თებერვლიდან დაიწყო ლექციების კითხვა მოტოციკლეტის მოტორის შესასწავლათ: ლექციები წაკითხული იქნება კვირაში ს.მჯერ საღამოს 6—8 საათამდე.

ქართული ჭიდაობა

ფიზკულტურის თბილისის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკომის წინაშე იმის შესახებ, რომ მიეცეს მას სათანადო შენობა ქართული ეროვნული ჭიდაობის შესასწავლათ და გასანვითარებლათ.

სხვადასხვა სექციებში

მოტო-კლუბს მისცა დახმარება 200 მანეთის რაოდენობით.

ავლაბრის სპორტ-მოედნისათვის გადადებულია 750 მანეთი. მოედნის მოწყობა ჩქარა დამთავრდება.

ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა თეზისები აგიტატორებისათვის. თეზისები მოკლე ხანში დაიბეჭდება და დაურიგდება ფიზკულტურის წრეებს.

ფეხბურთი

ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონის გახსნა მოსალოდნელია მარტის შუა რიცხვებში.

სეზონი საინტერესო იქნება, რადგან განზრახულია საქალაქთაშორისო შეჯიბრების მოწყობა.

ს. ს. ს. რ. [illegible]
ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

დროა ჩვენსკენაც გადმოიხედოთ

(პირველი რაიკომის ქალთა წრის საყურადღებოდ).

ლენინის უბნის ქალთა წრემ 1923 წელს გახსნა სასადილოები, უმუშევარ ქალთა სასარგებლოდ. 8 მარტის სახელობაზე ხსენებული სასადილოები მოეწყო 1) მთავარ სახელოსნოში, 2) დეპოში, 3) მე მოძრაობის დარგში, და ერთი ბუფეტი პლეხანოვის თეატრშიც. მთელ დაწესებულებაში ვმუშაობდით 27 ქალი.

უსახსრობის გამო ბუფეტი და ორი სასადილო დაიხურა. მესამე კი დარჩა.

ჩვენ ამ სასადილოებში გვიხდებოდა 8 საათის მაგიერ 10—12 საათის მუშაობა, ხელფასს ვღებულობდით ძალიან მცირეს; როდესაც ეს სასადილოები დაიხურა, ვისაც ცოტათი ნაცნობობა ჰქონდა, გადიყვანეს სხვადასხვა დაწესებულებაში და ვინც რომ გაჭირვებული იყო და მატერიალური დახმარება ესაჭიროებოდა, ის კი განიცდის სიმშილ-სიცივეს, საშინელ ტანჯვას.

მესამე სასადილოში, რომელიც არსებობს მოძრაობის დარგში, ვმუშაობთ 4 ქალი, რომლებიც ვღებულობთ 1 ნახ გირვანქა პურს და რაღაცა მონარჩენს ბორშს, ფულადი ჯილდო არ გვეძლევა. განა ამით იარსებებს დღევანდელ პირობებში ადამიანი და ისიც ობლების პატრონი?

როდის მოეღება ბოლო ამ ჩვენ ტანჯვას? ნუ თუ ვერ ხედავენ ამგვარ ჩვენ უმწეო მდგომარეობას!? ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა ოჯახის მარჩენლები, უმწეოდ დავრჩა ობლები, რომლებიც განიცდიან სიმშილს და სიცივეს, უკვე მეორე წელია ასეთ აუტანელ პირობებში ვართ. გთხოვთ ამ სასადილოს ქალებს რაიმე სალსარი აღმოუჩინოთ, რომ შეძლება მოგვეცეს ჩვენი შრომით ვარჩინოთ თავი და ობოლი შვილები.

მუშა-ქალი თაზო.

სად. მელაანის მოსამსახურეების მოქმედება

(რკ. გზ. პროფკავ. საყურადღებოდ).

სად. მელაანის მოსამსახურე—კოლია მაღარაძე—მუშების რწმუნებულმა ჭოტიშვილმ და არტელის უფროსმა ილია ჯულელმა გაგზავნეს ლიანდაგის შემკეთებელი მუშა იასონ მედულაშვილი სოფ. ბაკურციხეში ცხენით ღვინის მოსატანად.

ხსენებული მედულაშვილი დამთვრალი დაბრუნებულა უკან, ჩამოვარდნილა ცხენიდან და თავპირდამტვრეულს მიუღწევია მელაანამდე, ჩაუბარებია ღვინო ხსენებულ პირთათვის, რომლებსაც დაუმშვიდებიათ მედულაშვილი და რკ. გზის ხარჯზე (ვითომ ის სახელმწიფო საქმეზე წასულიყოს) ტფ. საავადმყოფოში მოარჩინეს სახელმწიფო ხარჯზე.

საჭიროა, ასეთ ყალბ მოქმედებას სათანადო ყურადღება მიექცეს.

ფ. იორდანოვი.

ზესტაფონის ქალაქის მუშები

მას შემდეგ დიდი ანი არ არის, რაც ქალაქის მუშები ზესტაფონში იქნენ ჩარიცხული კავშირში წევრებად. მას შემდეგ მათი მდგომარეობას დაეტყო გაუმჯობესება: წინეთ ქუჩებში, ცივ ნესტიან სადგურის იატაკზე და სხვაგან, ბინძურ ადგილებში ეყარენ მუშები, რომლებიც ცივდებოდენ და გაციებულები შემდეგ წელში გაწყვეტილები ძლივს დადიოდენ; ამ ჟამად კი სინამდვილია, რომ მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მუშები საშვალო ხელფას ღებულობენ 35 მანეთს. შრომის კანონები დაცულია: სწარმოებს რვა საათის მუშაობა; ყველანი არიან დაზღვეულნი და საექიმო დახმარებას თავის დროზე ღებულობენ. კრედიტი გახსნილი ჰქონდათ ამ ზაფხულის განმავლობაში, რითაც ისარგებლეს ყველა მუშებმა; ადგილკომი აწარმოებს მათში პროფესიონალურ მუშაობას; აქვე აღსანიშნავია ის, რომ ეს მუშები ცოდნას ძლიერ ჩამორჩენილი არიან, მაგრამ არის საამისოთ მიღებული ზომები.

ინფ. ხუთიძე.

ჩვენ არ გვინდა ასეთი კინო.

(ტყიბულის მაღაროების კლუბის გამგეობის საყურადღებოდ)

ტყიბულის მაღაროებში ორი-სამი წელიწადია, რაც გაიხსნა კლუბი და წარმოდგენებიც იმართება თვეში ორჯერ-სამჯერ. გარდა ამისა, ამ კლუბში არის კინო და სურათებსაც უჩვენებენ, მაგრამ, საუბედუროდ, ეს სურათები ვერ აკმაყოფილებენ მუშის ინტერესებს და ჩვენი მუშები უკმაყოფილონი ბრუნდებიან შინისაკენ. გასაკვირია რატომ მოაქვს ასეთი გამოუსადეგარი სურათები იმ მოპირნახულეს, ვისაც ეს ევალება როდესაც ჩვენს ხელისუფლებას მოეპოება ბევრი საინტერესო რევოლიუციონური სურათები.

ტყიბულის მაღაროები მუშათა ბუდეა და აქ არაა საჭირო, ჩემის ფიქრით, ასეთი ძველი და უშინაარსო სურათების ჩვენება. მუშას ესაჭიროება რევოლიუციონური და ახალი ცხოვრების სურათები.

12 იანვარს ამ კლუბში უჩვენეს კინო-სურათი და სრულიად ინტერეს მოკლებული და უშინაარსო სურათმა თავი მოაძულა იქ მყოფთ. მაგრამ მალე სინათლეც აღარ იყო და დაიშალნენ უკმაყოფილო მუშები.

კლუბის გამგეობავ, მიაქციე ამ გარემოებას ყურადღება და მოაწესრიგე ეს საქმე.

ინფ. მნახველი.

თხოვნა უნდა აგვისრულოთ

(ა.-კ. რკ. გზ. პ | მ. არტელის გამგეობის საყურადღებოდ).

ეს სამი წელი სრულდება მას აქეთ რაც მთავარ-სახელოსნოებში არსებობს მუშა-მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების და სხვადასხვა ფულების გამცემი სალარო. ამ სალაროში მუშაობს ჯამაგირების დამრიგებლად ამხ. ალექსანდრე **რატიშვილი.** ხსენებულ რატიშვილზე რამდენიმეჯერ იყო გაზეთებში გამოცხადებული, რომ ის ძალიან მუყაითად ასრულებს თავის მოვალეობასო, რაზედაც მადლობას უხდიდენ მას აქაური მუშა-მოსამსახურეები. მაგრამ ახლა რაღაცა სრულიად უმიზეზოდ ეს პატიოსანი მუშაკი აქედან გადაყავთ სხვაგან და მის მაგივრად მოდის სხვა. ამაზე ჩვენი მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ და შეაქვთ ადგილკომის სახელზე კოლექტიური განცხადებები მისი დატოვების შესახებ. ამას გარდა თვით მთავარ-სახელოსნოების მე-5 კომუჯრედის ბიუროშაც გამოიტანა დადგენილება, სადაც ის მოითხოვს ამხ. რატიშვილის დარჩენას. ამ კომუჯრედში კი შედიან შემდეგი საამქროები: ლითონის ჩამომსხმელი, სამღებრო, საელექტრონო და მთელი თვიური მუშა-მოსამსახურეები. ასეთივე აზრისანი არიან სხვა საამქროების მუშებიც.

პ. | მ. არტელმა ამას უნდა გაუწიოს ანგარიში.

მუშა—სიონელი.

მიეცით შეშა.

(რკ. გზ. სამართველოს საყურადღებოდ)

სად. ქსანის დარბაზში ფეჩი არ ხურდება, რის გამოც მგზავრები დიდ გაჭირვებას განიცდიან.

საჭიროა რკინის გზის მმართველობამ გაუგზავნოს შეშა.

ინფ. კოლია ტაბატაძე.

დროა გამოფხიზლების.

(სოც. უზრუნვ. სახკომატის საყურადღებოდ).

კულტურული მუშაობა სოც. უზრუნვ. სახ. კომისარიატში მეტად სუსტად მიმდინარეობს ადგილკომი და კულტკომისია ამ მხრივ დიდ სისუსტეს იჩენენ.

საჭიროა დაარსდეს, უპირველესად ყოვლისა, პოლიტ-განათლების წრე მაინც, რადგან საბჭოთა სრულუფლებიან მოქალაქესათვის საჭირო პოლიტიკური გათვითცნობიერება. დროა გამოფხიზლების!

მუშა-ქალი ლალი.

გულწრფელი მადლობა

სენაკის მაზრის მილიციის შემადგენლობას და კერძოდ მილ. უფროსს ამხ. გრ. გვაძაბიას გულწრფელ მადლობას უძღვნის სტუდენტი კოლ. ვიკუა მატერიალურ დახმარებისათვის, რომელსაც ისინი უწევენ მას უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

მადლიერი სტუდენტი.

გამოგზავნილი წერილებიდან

საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება

(მუშკოოპის საყურადღებოდ).

ჩვენ კოოპერატივებს ერთი დიდი ნაკლი აქვთ. მუშა-მოსამსახურეებს კრედიტს არ უხსნიან, რაც მათ ისევ ჩარჩ-ვაჭრების ხელში აგდებს, რომლებიც უხსნიან მუშებს მოკლევადიან კრედიტს და იზიდავენ მათ.

კოოპერაციავ, შენც უნდა მოაგვარო საკითხი.

მუშა პ. ჩარ—ლი.

ამ ვაჭრებისაგან გვიხსენით!

(რკ. გზ. სამმართველოს პროფკავშირის საყურადღებოდ)

სადგ. თბილისის მე-3 კლასის დარბაზში კერძო დეპეშების მიმღები სალარო არის მოთავსებული, რომელიც მეტისმეტად პატარაა და მორიგე ტელეგრაფისტებს დიდი გაჭირვებით უხდებათ იქ მუშაობა.

გამოასწორეთ ეს ნაკლი.

მუშა ნავ—შვილი.

რას ჰგავს ეს?

(მილიციის საყურადღებოდ)

ყორღანოვის ქ. № 28-ში ზევით სართულში ჰუჭყიან წყლის მილი შესაკეთებელი არის. იქ მცხოვრებნი ამას ყურადღებას არ აქცევენ და ქვედა სართულში მცხოვრებთ თავზე მთელ სიბინძურეს ასხამენ.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება.

მუშკორი ლესი.

დროა გონზე მოხვიდეთ!

(რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ)

ბევრჯელ ყოფილან გაფრთხილებულნი ამხ. მუშები (რკინისგზელები) ლოთობის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან და სამიკიტნოებს ვერ ღალატობენ. საჭიროა ამის წინააღმდეგ ზომების მიღება.

მუშა ლალი.

სიზარმაცე მორევიათ

მე-3 რაიონში (მეჯევრის ქ.) მუშკოოპის დუქანი № 10 ერთგულად არ ასრულებს თავის დანიშნულებას, რაც მუშკოოპს დიდ ზარალს მისცემს, ნოქრები მეტად ზარმაცად იქცევიან.

საჭიროა ყურადღება და რკინის ცოცხი

მუშა ლილი.

შორს ჩვენგან ასეთი მუშა!

ლიზა გამბაროვას, რომელიც მაკარონ-ვერმიშელის ქარხანაში მსახურობს და დაზღვეული არის, მუქთად უწამლებინებია თავიანთ ამბულატორიაში ნატაშა ხუბულოვის ბავშვი. როგორც გამოირკვა, ხუბულოვასას (მოვაჭრე ქალია) გამბაროვისათვის ამაში ფული უძლევია. საჭიროა ამგვარ მოვლენებს ბოლო მოეღოს.

მუშა სუკიაშვილი.

წერილები პროვინციიდან

ქვემო-ჭალის რაიონი

(გორის მაზრა)

ალნიშნულ რაიონში დღემდე შედიოდა 29 სოფელი, მათ შორის 5 სოფელში არის სკოლები, დანარჩენი სოფლები მეტის-მეტად ჩამორჩენილი არიან კულტურულად. მაცხოვრებელთა რიცხვი კომლთა რაოდენობის მიხედვით 2156 აღემატება, ხუთივე სკოლაში მოწაფეთა რიცხვი უდრის 425 ამ ციფრების მიხედვით აღსანიშნავია, რომ სწავლა-განათლების საქმეს მოკლებულია თითქმის მცხოვრებელთა 3 | 4. აღსანიშნავია, რომ ლიქსკოლები არის სულ 16. სოფელში მოწაფეთა რიცხვი უდრის 564; ამ რიგათ უნდა ითქვას, რომ ქვემო-ჭალის რაიონს სწავლა-განათლების საქმეში უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. აღსანიშნავია, რომ მთელ რაიონში არის ერთი საექიმო პუნქტი ერთი ექიმით და ფერშლით, ეს მეტის-მეტად მცირეა მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. საჭიროა საფერშლო პუნქტების მომატება სოფ კასპში და თეზში.

ლ—ლი.

პრიუტის თემი (თბილისის მაზრა)

პრიუტის თემში ერთიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფა თითქმის დამთავრებულად ითვლება. ხუთას გადამხდელში დარჩა სულ 15, რომლებსაც არ შემოუტანიათ. ისინი არიან ქვრივები და ღარიბები, რომელთა შესახებ ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღძრა შუამდგომლობა მათი განთავისუფლების შესახებ გადასახადიდან.

პრიუტის თემის გლეხკაცობამ დიდი სიფრთხილე და უნარიანობა გამოიჩინა ერთიან საჴ. გადასახადის შემოტანაში. სხვადასხვა ადგილას ჰქონდა ადგილი გადასახადის არა სწორათ შეწერას, მაგრამ ეს ისევ ადგილობრივი გლეხობის ბრალია ვინაიდან აღწერის დროს ზოგიერთებმა აღმწერლებს სწორი ცნობები არ მიაწოდეს.

ი. ღლონტი.

მადლობა სურამის ალმასკომს

სურამში არის ელსადგური რომელთანაც არის მოწყობილი წისქვილი, ერთი თვალით, ამ ზამთრის ყინვების განმავლობაში წყლის წისქვილები შეჩერდენ. სურამის ელსადგურის წისქვილს მოაწყდა აუარებელი გლეხობა, როგორც ადგილობრივი აგრეთვე ქარელის და სხვა რაიონებიდან ვინაიდან წისქვილის ერთი თვალის მოძრაობა ვერ აკმაყოფილებდა გლეხობის მოთხოვნილებას, სურამის რაიალმასკომმა მიიღო ყოველგვარი ზომები, რათა მოწყობილიყო მეორე თვალიც, რითაც დიდი დახმარება აღმოუჩინა გლეხობის მასიურ მოთხოვნილებას.

ერთი თვალი ფქვავს საშუალოდ საათის განმავლობაში 8 ფუთს, ამ ხნის განმავლობაში დაფქულია სულ 4.500 ფუთი, უნდა ითქვას, რომ სურამის ელსადგურთან არსებული წისქვილი აკმაყოფილებს როგორც ადგილობრივ მცხ. აგრეთვე სხვა რაიონების გლეხობას.

მადლობის ღირსია სურამის ალმასკომის თავმჯდომარე ასე ხელის შეწყობისათვის.

ი. გაგოშიძე.

საფოსტო კავშირი აღადგინეთ

გაზეთები ათი დღეა არ მიგვიღია

პრიუტი (თბილისის მაზრა)

მანგლის პრიუტის მიმართულებით არ იქნა ნორმალური საფოსტო კავშირის მოწყობა. ჩვეულებრივად ფოსტას ვღებულობდით კვირაში ერთჯერ და ამითაც უკმაყოფილო იყვნენ გლეხები, მაგრამ ამ ბოლო ხანებში აგერ 10-დღე გადის და ფოსტის მოლოდინში ვართ, რა არის მიზეზი დაგვიანების ა ვერ გამოგვირკვევია. გზა-ტკეცილი შედარებით კარგია, მიმოსვლა ჩვეულებრივად მიმდინარეობს. ეხლა თუ გაგვიღიმა ბედმა და მოვიდა **ფოსტა 15 დღის გაზეთებს ერთად მივიღებთ,** რომელიც გლეხობას სრულიად წაუკითხავი რჩება, არამც თუ გლეხობას, კარგ წერა-კითხვის მცოდნეებსაც ძალიან სასურველი იქნებოდა ამ ნაკლს გამოასწორებდეს მთავარი ფოსტა და კვირაში ორ ჯერ მაინც მოგვაწოდებდეს გაზეთებს და სხვადასხვა კორესპონდენციებსაც.

ი. ღლონტი.

ძიმითის თემი

(გურია)

ძიმითის თემი მდებარეობს გურიის გეოგრაფიულ ცენტრში და იტევს 750—800-დე კომლს. თემში არის 2 ოთხწლედი და ერთიც 7 წლედი, რომელიც მოთავსებულია თემის ცენტრში. სწავლა-აღზრდის საქმეს ხელს უშლის სათანადო შენობების უქონლობა, თორემ სხვა მხრივ დამაკმაყოფილებელია.

თემში არის რამდენიმე ქოხ-სამკითხველო, რომელიც ჯერჯერობით უპირისუფლოდ არის. ცენტრალურ სამკითხველოს იდეიურად ასაზრდოებდა 7 წლედის პედაგოგიური პერსონალი, რომელიც თავის სახელზე გამოწერილი ლიტერატურას სდებდა სამკითხველოში, რომ ხალხს ესარგებლა ამით და რიგ-რიგობით მორიგეობდა შიგ. ეხლა ამ სამკითხველოს მოსდის გაზ. „ფუხარა“.

თითქმის ორი წელია, რაც 7 წლედის შენობას ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ჯერაც აუშენებელია, ხოლო მასალა თანდათან ნიავდება და ფუჭდება.

თემში მრავლათ მოიპოებიან წერა-კითხვის უცოდინარები, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებს, რომ გამოიყენოს ადგილობრივი მასწავლებლობა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.

გლეხკორი ზ. ალმართელი.

კულტურული მუშაობა

სოფ. სამიქაო (სენაკის მაზრა)

სოფ. სამიქაოში არსებობდა სამკითხველო, რომელიც იყო მოწყობილი შეძლებისდაგვარათ. აგვისტოს პირველ რიცხვებში შვებულებით ჩამოსულმა კომუნისტურ უნივერსიტეტის სტუდენტმა ამხ. კლიმენტი ბოკერიამ შესწირა მას მრავალი რევოლიუციონური ლიტერატურა, მაგრამ ამავე თვის 29 აგვისტოს ბანდიტურ გამოსვლების დროს სამკითხველო განადგურებული იქნა ბანდიტების მიერ. 1925 წ. 1 თებერვალს ონტოპოს რაიკომის პ | მგ. მდივნის ამხ. აბაშვილის ინიციატივით იქნა მოწვეული გაერთიანებული კრება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იქნა არჩეული კომისია 3 კაცისაგან შემდგარი, რომლებსაც დაევალა ამ მოკლე ხნის განმავლობაში კულტურულ დაწესებულების საქმის მოწესრიგება. განსაკუთრებით ამ საქმეს დიდი ყურადღებით შეხვდა ამავე სკოლის პედაგოგიური საბჭო და ენერგიულათ ეწევიან მუშაობას სამკითხველოს აღსადგენათ. საჭიროა ქალაქებში მყოფ ამხანაგებმაც აღმოუჩინონ ასეთ კულტურულ დაწესებულებას ძმური დახმარება.

გ. ჟვანია.

პროვინციის ქრონიკა

— **მასწავლებელთა არტელი.** ველისციხეში შესდგა მასწავლებელთა არტელი, სკოლის გარეშე დარჩენილ და ჩამორჩენილ მოწაფეთა მოსამზადებლათ.

— **ველისციხის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ** მიიღო ერთი ვაგონი ფქვილი, რომლის ნახევარი გადაეცემა მთ. კოოპერატივს, ხოლო ნახევარი განაწილებული იქნება ამხანაგობის წევრთა შორის.

— **ფართლეულობა მაზრებისათვის.** საფეიქრო სინდიკატის ბათომის განყოფილებამ მიიღო 3 ვაგონი ფართლეულობა მაზრებისათვის.

— **მესაქონლეობა რაჭაში.** რაჭის გლეხკომმა გადასწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მესაქონლეობას, უფრო-კი მეღორეობას.

— **გლეხკომი ეხმარება მილიციას** საჩხერის გლეხკომმა ადგილობრივ მილიციისათვის შეიძინა 11 ხელი ტანისამოსი.

— **იურიდიული დახმარება.** დაბა საჩხერეში (შორაპ. მაზრა) გლეხკომის მიერ დაარსებულმა იურიდიულმა მაგიდამ გასული წლის სექტემბრიდან წლის ბოლომდე დახმარება აღმოუჩინა 730 გლეხს.

— **ხიდი ამბროლაურში.** თოვლისა და ცუდი ამინდების გამო სოფ. ამბროლაურში (ქვემო რაჭა) მდ. რიონზე ხიდის აგება ზაფხულამდე არ დაიწყება.

— **დახმარება ღარიბეს გლეხებს.** გასული წლის განმავლობაში საჩხერის გლეხკომმა დახმარება გაუწია ქვრივ-ობლებს და წითელარმიელთა ოჯახებს 320 მანეთით.

— **საქონლის ჭირი.** თელავის მაზრაში სოფ. კისის ხევში და კურდღელაურში თავი იჩინა საქონლის ჭირმა, რომლის წინააღმდეგ უკვე მიღებულია ზომები.

იურიდიული რჩევა-დახმარება

„ქორწინების“ გარეშე დაორსულებულ ქალის უფლებები

კითხვა:

აგერ ხუთი თვე სრულდება მას აქეთ, რაც დეიდა ჩემი დაორსულებულია „ქორწინების გარეშე“. ვიცით ჩასახულის მამის ვინაობა; მას ასახელებს თვით ჩემი დეიდა, მაგრამ დასახელებულ პირს არ სურს თავისი თავი აღიაროს ჩასახულის მამად. ამიტომ გთხოვთ რჩევა-დარიგებას იმის შესახებ, თუ რა წესები არსებობს ასეთ ბავშვების რეგისტრაციაში გასატარებლათ და ვის გვარზე უნდა ჩაიწეროს დაბადების წიგნში ჩემი დეიდაშვილი?

ნაწყენი პეტრე გუ—შვილი.

პასუხი.

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 65 და 66-ისა „ქორწინების გარეშე“ დაორსულებულ ქალს (ამ შემთხვევაში თქვენს დეიდას) არა უგვიანეს სამი თვისა მის განთავისუფლებამდე შეაქვს თავისი ბინადრობის მიხედვით აქტების ჩამწერ ორგანოში, „მმაჩ“-ში სათანადო განცხადება, რომელშიაც ის აღნიშნავს ჩასახულის მამის გვარს, სახელს, მის ბინადრობას და ბავშვის ჩასახვის დროს. „მმაჩი“ ვალდებულია ასეთი განცხადების შესახებ აცნობოს მამად დასახელებულ პირს. ამ უკანასკნელს ცნობის მიღების დღიდან ორი კვირის განმავლობაში უფლება აქვს სასამართლოს წესით აღძრას დავა აღნიშნულ განცხადების გამო. თუ აღნიშნულ ხნის განმავლობაში დავა განცხადებული არ იქნა, დაბადებული ბავშვის მამად ჩაითვლება და დაბადების წიგნში ჩაიწერება დედის მიერ დასახელებული პირი.

ამ საკითხის მოგვარებას თქვენ უნდა შეუდგეთ ეხლავე, ვინაიდან „ქორწინების გარეშე“ დაბადებულ ბავშვის დედის განცხადება ბავშვის დაბადების შემდეგ ამა თუ იმ პირის მამად ცნობას შესახებ, სრულიად საკმარისი არ არის, რომ ეს პირი დაბადების სარეგისტრაციო წიგნებში ჩაწერილ იქნეს ბავშვის მამად, თუ ეს უკანასკნელი ამის თანახმა არ არის. **(იხ. შინაგ. საქმ. სახკომატის ცირკულიარი № 47—1924 წლ. 31 მარტიდან).**

შრომის ინვალიდების შესახებ

კითხვა:

დავრდომილნი, რომელთაც შრომის უნარი დაჰკარგეს და იმყოფებიან სოციალურ უზრუნველყოფის დახმარებაში არიან თავისუფალი **ყოველგვარ გადასახადისაგან თუ არა?**

შრომის ინვალიდი ლ. ჯ.

პასუხი.

შრომის ინვალიდები და ის პირნი, ვინც სოც.-უზრუნველყოფაში ირიცხებიან, რომელთაც სხვა რაიმე ცხოვრების წყარო არ მოეპოვებათ, თავისუფლდებიან ყველა გადასახადებისაგან, გარდა ბინისა და წყლისა, რომელშიაც მათ აქვთ დიდი შეღავათი. მაგ. ბინის ქირად ასეთები თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდიან ერთ კაპეიკს და სხ.

ვინ უნდა აღმოგვიჩინოს დახმარება

კითხვა:

1925 წ. 24 იანვარს დილის ათ საათზე დაინგრა გორის მაზრაში სოფელ ქვიშხეთში შაქრო თედორესძე **აბრამიშვილის** ორსართულიანი სახლი დიდი თოვლისა და ქარბუქის გამო. სახლი სულ მთლათ დამსხვრეულია. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. მაგრამ სახლის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან. გთხოვთ რჩევა-დარიგებას, თუ ვის მივმართოთ დახმარების აღმოსაჩენად.

გლეხი—შ. ლონლაძე.

პასუხი.

დახმარების აღმოსაჩენად მიმართეთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ გლეხთა კომიტეტს, რომელსაც ევალება ღარიბ-გაჭირვებულ გლეხებისთვის დახმარების გაწევა.

ბიბლიოგრაფია

ქართულ სამეცნიერო მუშაობის გამოძახილი ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში

ინგლისურ ჟურნალში „The journal of theological studies“-ის 1924 წლის ოქტომბრის ნომერში (vol. XXVI N. 101) დაიბეჭდა პროფ. რობერტ ბლეიკის (R. Blake) ვრცელი წერილი (50—64 გვ.) პროფ. კორნელი კეკელიძის ცნობილ ნაშრომის „ქართულ მწერლობის ისტორიის“ პირველ ტომის შესახებ. ეს წიგნი გასულ წელს დაბეჭდა სახელმწიფო უნივერსიტეტმა, როგორც თავისი გამოცემა. თანახმად ჩვენი უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტებს შორის დამკვიდრებულ ურთიერთობისა, იგი გაეგზავნა გაცვლის წესით ყველა თვალსაჩინო უნივერსიტეტებს და პროფ. ბლეიკის წერილი არის პირველი გამოძახილი, რომელიც ამ ნაშრომმა, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორის მიერ დაწერილმა, ჰპოვა ინგლისის სამეცნიერო წრეებში.

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი გამოძახილი, გარდა თავისი შინაგანი მნიშვნელობისა, რამდენადაც მასში მეცნიერული ურთიერთობა და თანამშრომლობა თავს იჩენს, დიდ ეროვნულ-კულტურულ მიღწევის მაჩვენებელია. ჯერ თვით ევროპაშიაც ერთი ერის კულტურულ-სამეცნიერო წრეები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს, თუ რას იტყვის მეზობელ ერის სამეცნიერო წრე ამ თუ იმ ნაწარმოების შესახებ, რომელიც პირველი გამოუქვეყნებიათ. ასე იქცევიან ფრანგები გერმანელების მიმართ, გერმანელები—ინგლისელების მიმართ და სხვ. რუსეთში ხომ ისეთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ მეცნიერის ნაშრომი ევროპიულ წრეებს თავის აზრს გამოათქმევინებდა, იშვიათ და ფასდაუდებელ ამბავათ ითვლებოდა. პროფ. კორნელი კეკელიძის წიგნიც იმ წიგნთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის მეოხებით ქართული მეცნიერებაც საკაცობრიო ასპარეზზე გამოდის და მის საგანძურში თავისი წვლილი შეაქვს.

პროფ. ბლეიკმა ქართული კარგად იცის. ის საქართველოში საკმაო ხანს იყო. ჩვენს უნივერსიტეტშიაც თანამშრომლობდა და როგორც სჩანს ჩვენს საქმესთან და კულტურასთან კავშირი არ შეუწყვეტია.

თავისი წერილის დასაწყისში ის აცნობს ინგლისელ საზოგადოებას პროფ. კორნელი კეკელიძეს უკანასკნელის სამეცნიერო მუშაობის პირველ საფეხურიდან, როცა იგი იწყებს ა. დმიტრიევსკის ხელმძღვანელობით მუშაობას. შემდეგ მოკლედ ჩამოთვლის პროფ. კ. კეკელიძის სამეცნიერო შრომებს, ასეთივე მოკლე დახასიათებით (გვ. 51,2). ამის შემდეგ ის ვრცლად ეხება პროფ. კ. კეკელიძის უკანასკნელ ნაშრომის პირველ ტომს და დაწვრილებით გადასცემს მის შინაარს წიგნში მოთავსებულ თანმიმდევრობის დაცვით, გზა და გზა პროფ. ბლეიკი კდილობს ამა თუ იმ საკითხის, რომელიც პროფ. კეკელიძის წიგნშია წამოყენებული, მდგომარეობის გაშუქებას, როგორც ქართულ მწერლობაში, ისე რუსულ გამოცემებში და აქა-იქ თავისი შეხედულებებსაც გამოსთქვამს. პროფ. ბლეიკმა გარდა ქართულისა, რუსული ენა და თავისი სპეციალობის ლიტერატურაც კარგად იცის. ავტორის აზრით პროფ. კ. კეკელიძემ პირველმა გაჰკაფა ნამდვილი მეცნიერული გზა ქართულ მწერლების შესწავლის ჯერ დაუმუშავებულ ასპარეზზე. ასეთია ძირითადი აზრი იმ დასკვნისა, რომელიც გამოჰყავს მას წიგნის შინაარსის ზედმიწევნით გარჩევისაგან.

ყველა ზემონათქვამიდან ქართულ კულტურის ყველა მეგობარს მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეუძლია: ქართული მეცნიერება უკვე შესდგა მკვიდრ ნიადაგზე. ეროვნული მეცნიერება მხოლოდ მაშინაა ნამდვილი მეცნიერება, როდესაც ის ეროვნულ ფარგლებს გადულახავს და ინტერნაციონალ ღირებულებად იქცევა.

შ. ნ.

გლეხის ბიბლიოთეკა

გიორგი აბესაძე.
ნუ დასთესავთ გადაურჩეველ თესლს.
გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“
თბილისი 1923 წ.

„რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკიო“, —ამბობს ქართული ანდაზა. თუმცა ეს ანდაზა ყოველმა ქართველმა გლეხმა იცის, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე იჩენს საკმაო სიფრთხილეს თესვის დროს, იშვიათია, რომ სათესლე მასალა შესაფერი ღირსების იყოს და მასში არ ერიოს ყოველგვარი სარეველ მცენარეთა თესლები და ნაგავი, რომელიც სრულებით ანადგურებს ყანის მოსავალს და უკარგავს დოვლათს გლეხის მძიმე შრომას.

გ. აბესაძეს მოყავს თავის პატარა წიგნაკში ჩვენი გლეხობის სათესლე მასალის შემადგენლობა და სურათი. მართლაც დამაფიქრებელია: გორის მაზრაში ყოველ 100 გირვანქა თესლში პური შეადგენს 74 გირვანქას, სარეველ მცენარეთა თესლები 21 გირვანქას, სხვა ხარჯები 5. დუშეთის მაზრაში პური შეადგენს 64 გირვანქას, სარეველ მცენარეთა თესლები 30 გირვანქას და სხვა ხარჯი 6 გირვანქას. დაახლოვებით ასეთივე სურათია სხვა მაზრებშიც. მაგრამ ამასთან ერთად თვით წმინდა პურის თესლში ბევრია ისეთი უვარგისი მარცვლები, რომლებსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ მოსავლისთვის. ამიტომ სრულებით გასაკვირალი არ არის, თუ დღიურზე მოსავალი ჩვენში სამჯერ ოთხჯერ ნაკლები მოდის, ვიდრე კულტურ. ქვეყნებში (ჰოლანდია, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი), რასაც წიგნაკის თავშივე გვიჩვენებს ავტორი შედარებით ცხრილებით და სურათით.

შემდეგ ავტორი გვიამბობს, თუ როგორი უნდა იყოს და რანაირათ უნდა გადავარჩიოთ თესლი, რა გზით უნდა გამოვიკვლიოთ თესლის გაღვივების უნარი და სხვა. სხვა სურათებთან ერთად წიგნში მოყვანილია სანიავო სარკვევი მანქანის და სარკვევი მანქანის „ტრიერი“-ს სურათები.

წიგნაკი თუმცა პატარაა (შეიცავს სულ 16 გვერდს და ღირს 10 კაპ.), მაგრამ მასში მეურნისთვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ცნობებია მოყვანილი და ყოველი გლეხი უნდა ჩაუფიქრდეს ამ ცნობებს და რჩევა-დარიგებებს, რომ უფრო გონიერი ხვნა-თესვა აწარმოოს და უფრო მეტი ნაყოფი მიიღოს თავისი ნაშრომისაგან.

• **ნიკო კეცხოველი**
როგორ ვებრძოლოთ ნათესების მტრებს.
გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“.
თბილისი 1923 წ.

სარეველა მცენარეებთან ბრძოლის და მათგან ყანების გაწმენდის საკითხს აშუქებს ნიკო კეცხოველის წიგნაკი „როგორ ვებრძოლოთ ნათესების მტრებს“. ავტორი გასაგები ენით გვიამბობს, თუ როგორ ზიანს აყენებს მეურნეს სარეველა მცენარეები და როგორ ართმევენ ისინი შინაურ სასარგებლო მცენარეებს საზრდოს და წყალს.

არ კმარა მარტო სათესლე მასალის გაწმენდა, საჭიროა სათესი მიწის გაწმენდაც სარეველა მცენარეებისაგან რომ მოსავალმა იმატოს. ეს ბრძოლა დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვს მეურნისაგან, მაგრამ ის აუცილებელია თუ გვინდა ჩვენი მოსავლის გადიდება და სიღარიბისაგან თავის დაღწევა. აქ სხვადასხვა საშუალებას უნდა მივმართოთ: ყანის რამოდენიმეჯერ [illegible] მცენარეთა [illegible] და სხვა. უმისოთ სარეველა მცენარეების ძლევა, რომელნიც გაცილებით უფრო ადვილათ იტანენ ყოველგვარ პირობებს, უფრო ძალოვანი და გამძლე არიან, ვიდრე შინაური მცენარეები, შეუძლებელია. ეს წიგნაკში მოყვანილ ამ მცენარეთა სურათებიდანაც და აღწერილობიდანაც ნათლად სჩანს.

წიგნაკი შეიცავს 15 გვერდს, დასურათებულია და როგორც „გლეხის ბიბლიოთეკის“ სხვა წიგნაკები, ღირს მხოლოდ 10 კაპ., რომლის გაღება არც ერთმა გლეხმა არ უნდა დაიშუროს, თუ მას სურს თავისი მეურნეობის გაუმჯობესება და სიღარიბიდან თავის დაღწევა

ი. ბ.

ჩვენი ფოსტა

ძირულა. 7 წლედის სკოლის თანამშრომლებს. გეგზავნებათ 8 ცალი გაზეთი „კომუნისტი“.

წინანდალის რაიპარტკომს. გეგზავნებათ 2 ცალი გაზეთი.

სად. წიფა. 4 წლედის შრომის სკოლის გამგეს გრ. კამკამიძეს. ფული მივიღეთ მხოლოდ 5 თებერვალს და გაზეთიც ამ დროიდან გეგზავნებათ.

ზესტაფონი. ალმასკომს. თქვენი თხოვნა დიდი ხანია დაკმაყოფილებულია, გაზეთები გეგზავნებათ კიოსკის საშუალებით.

ზაქათალა. კომუნალურ განყოფილების გამგეს ი. ქაშეიშვილს. გაზეთი გეგზავნებათ.

სენაკი, უჩანეიშვილს. თქვენგან მიღებულია რვა ცალი გაზეთის საფასური 5 თებერვალს და გაზეთებიც ამ დროიდან იგზავნება ცალ-ცალკე მისამართით, მიმართეთ ადგილობრივ ფოსტას.

საჯევახო. „ეპო“-ს ადგილკომს. „ახალი სოფელი“ გამოწერილი გაქვთ ერთი წლით, „კომუნისტი“ 1 აგვისტომდე. თუ წლის ბოლომდის გსურთ გამოწერა, უნდა გამოგზავნოთ კიდევ 5 მან 80 კაპ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე შესდგება რემედასის ცეკას პრეზიდიუმის სხდომა. ვთხოვთ წევრებს, ნუ დაიგვიანებენ.

მდივანი სვანიძე.

— პარასკევს, 13 თებერვალს, დილის 9 საათზე, შესდგება თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: გუდავაძე, ფანცულაია, მელაძე, წითლიძე, რონზენი, ფირალოვი, მურადოვი, აკოპოვი, ხუნდაძე, კიდაიში, ასრიბეკოვი, სააკოვი, მეთონიძე, დვორიანოვი და ძაგანია (არმიიდან).

— ხუთშაბათს, 12 თებერვალს, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება პროლეტკულტის საღამო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შესვლა პარტიის წევრებისა და მათი ოჯახებისათვის თავისუფალია.

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. მიხეილ დორეულს და როზენფარბს გამოცხადდენ ამხ. კოკჟაიანთან.

თბ. კომ. საალ.-განმან. განყოფილება.

პროფესიული.

— კლუბში „მუშათა პრესა“ (შრომის სასახლე, შესავალი ბარიატინსკის ქუჩიდან) მუშაობენ შემდეგი წრეები:

ლიტერატურული—კომკავშირელ პოეტების და მწერლების ლიტერატურული სექცია—კვირაობით დილის 11 საათიდან.

პოლიტიკური წრე ქართულ ენაზე (შემცირებული ტიპის).

— ხუთშაბათობით და ორშაბათობით საღამოს 6 საათიდან.

პოლიტიკური წრე რუსულ ენაზე (შემცირებული ტიპის).

— პარასკევობით და სამშაბათობით საღამოს 6 საათიდან.

მარქსისტული წრე—ოთხშაბათობით საღამოს 8 საათიდან. შახმატის წრე—შაბათობით საღამოს 7 საათიდან.

კლუბში არის ყველა გაზეთები და ჟურნალები და ახალი ლიტერატურა (პოლიტიკური, ბელეტრისტიკა და მუშკორთა მოძრაობის საკითხების შესახებ), სათამაშოები („შაშკი“, შახმატი და ნარდი).

ჩაწერა ყველა წრეებში გრძელდება.

განცხადებები

გაზეთ „კომუნისტი“-ს
კანტორა ამით აცხადებს იმ
ხელისმომწერლების საყურადღებოთ,
რომლებსაც აქვთ გაზეთი გამოწერილი 15 თებერვლამდის
დააჩქარონ ფულის შემოტანა,
რომ გაზეთის გზავნა არ იქნეს შეწყვეტილი.
3—3

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 12 თებერვალს
გასტროლი ცნობილი ტენორის ვილიამ დორიანის
რიგოლეტო
ნის. 782. 3—3

ზინოვიევის სახ. ვპო-სთან არსებული
პრაქტიკული საანგარიშო „ინსტიტუტი“
ლენინის ქ. (ოლღას ქ.) № 14 ზემელის აფთიაქის პირდაპირ, ალებს საორგანიზაციო ჯგუფის და საერთო ბუხჰალტერიის კოოპერატიულ საანგარიშო სპეციალურ სექტორს. მეცადინეობა სწარმოებს მხოლოდ რუსულ ენაზე.
წარგზავნა და საჭირო ცნობების მიღება სწარმოებს ინსტიტუტის კანცელარიაში სალ. 6—8 ს. ყოველდღე. ნ. 744. 16—4

1925 წ. 25 თებერვალს
გაიხსნება
სვერდლოვის
ბაზრობა
(ქ. სვერდლოვსკში ყოფ. ეკატერინბურგი)
10 იანვარს, ბაზრობის კომიტეტში უკვე გატარებული იყო რეგისტრაციაში განცხადებები ყიდვა-გაყიდვის შესახებ
20,000,000 მანეთის რაოდენობით.
ბაზრობა უზრუნველყოფილია სავაჭრო ბინებით, საწყობებით, აგრეთვე საცხოვრებელ ბინებით ჩამოსულთათვის.
დაწესებულია შეღავათი ტვირთების გადმოგზავნისა და შენახვისათვის.
ბაზრობის კომიტეტის გენერალური წარმომადგენელი—პირველი სააქციონერო სატრანსპორტო საზოგადოება „ტრანსპორტი“.
ნ. 794 1—1

„ამირანი“ კინო-თეატრი „ამირანი“
(სახელმწიფო კონსერვატორია)

ოთხშაბათიდან, 11 თებერვლიდან, უკანასკნელად ბერლინში ნაჩვენები
ფრიად საინტერესო სურათი ელენ რიხტერის მონაწილეობით

„ს მ ა რ ა გ დ ა ნ ა ბ უ რ ე ნ“

2 სერიად, 18 ნაწილად

მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი ეკრანზე

სურათის ჩვენების დროს უკრავს დიდი სიმფონიური ორკესტრი

კასა ღიაა საღამოს 5 საათიდან

ნ. 795. 1—1

წელი 1925 წელი

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

„მნათობი“

1925 წელს გამოვა „მნათობის“ თორმეტი ნომერი და ხელისმომწერთათვის გადაგზავნით ეღირება 16 მანეთი 1925 წელს

ცალკე ნომერი ეღირება 2 მანეთი

პირველი და მეორე ნომერი 1924 წლისა ხელმეორედ იბეჭდება იმ ხელისმომწერთა დასაკმაყოფილებლად, რომელთაც ეს ნომრები არ მიუღიათ.—„მნათობში“ თანამშრომლებად მოწვეული არიან საქართველოს საუკეთესო პოეტები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერები

ჟურნალში არის შემდეგი განყოფილებანი: მხატვრული ლიტერატურა (საქართველო, რუსეთი, დასავლეთი) კრიტიკა, მხატვრობა, მემუარები, მეცნიერება და პუბლიცისტიკა.

„მნათობს“ ჰყავს საკუთარი თანამშრომლები როგორც რუსეთში, ისე დასავლეთის დიდ ქალაქებში. საჭიროა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რომ ჟურნალი ფართოდ გავრცელებულ იქნას მუშებში, დაწესებულებათა მოსამსახურეებში, ფართო მასაში.

ამიტომ საჭიროა აგენტები ყველა ქალაქებში, დაბებში, სოფლებში.—აგენტებად მიღებულ იქნება მხოლოდ ისინი, ვინც წარმოადგენს ადგილობრივ აღმასკომის თავდებობითი ქაღალდს და პირველად მოთხოვნილ წიგნების საფასურს ან ნაღდ ფულად, ან ვექსილით აღმასკომის მიერ შემოწმებულს. თუ აგენტი კერძო პირია, ვექსილს თან უნდა დაერთოს მოწმობა მისი უძრავ ქონების შეფასების შესახებ.—ყველას: აგენტებს, ბიბლიოთეკა სამკითხველოებს, კლუბებს, კავშირებს, სკოლებს, თუ სხვა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს (ცეკავშირის, წარმოკავშირის განყოფილებებს და სხ.), რომლებიც თავის თავზე მიიღებენ შრომას ჟურნალ „მნათობის“ გავრცელებისას ჯილდოთ მიეცემათ 15 %.—წლიურ ხელისმომწერლად ჩაითვლებიან ის აგენტები, რომლებიც ერთდროულად შემოიტანენ ან ნაღდ ფულად, ან კანონიერი ვექსილით თითო წიგნზე 6 მ. 80 კ. (ნახევარი წლის საღირალს.) ასს წიგნზე 680 მანეთს და ასე... ნისიად წიგნები არავის არ გაეგზავნება.

დროებითი მისამართი წერილისათვის და ფულისათვის: თბილისი,
რუსთაველის პრ. № 22, „დროშის“ რედაქციაში—თომა ჩიქვანიას.

რედაქტორები:
მ. კახიანი.
ვ. ბახტაძე.
ლეონ. რუხაძე.

P. S. თანამშრომელთა სია, რომელიც წავიდა წინა განცხადებაში არ იყო შედგენილი რედაქციის მიერ, ეს შეცდომა მოათავსა იქ კანტორის და ექსპედიციის გამგეობამ. მას შემდეგ კი, რაც ეს სია მოხსნილია, უთანხმოება მოქ. თ. ჩიქვანაიასთან ამოწურულია.
რედაქცია.

კანტორის და ექსპედიციის გამგეობა. ნ. 789 2—2

საზოგადოების საყურადღებოდ

იბეჭდება და სულ მოკლე ხანში დაურიგდებათ ხელისმომწერთ შემდეგი ორიგინალური, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაწარმოები ქართველ მეცნიერთა და მწერალთა·

კონსტანტინე კაპანელი (ახალი ორიგინალური შრომა): **სოციალური ესთეთიკის საფუძვლები** შინაარსი: წინასიტყვაობა; რეფლექსი და აზროვნების კონსტრუქცია; გაადვილება და შეფარდება; **ორგანოტროპიზმის პრინციპი**; სამყარო როგორც სხეული; ინტელექტი და იდეების მატერიალიზაცია; ამეტყველების პირველი ფორმა; მეტყველება და სოციალური საჭიროება; ინდივიდუალიზმის დაშლა და ხელოვნება. თეატრი და ემოციების სოციალური ბუნება (მარჯანიშვილი, მეიერჰოლდი, რაინჰარდი, სტანისლავსკი), უსაზღვროების იდეია ხელოვნებაში; ხელოვნების რელიგია; ხელოვნება და მეცნიერება; **მარქსიზმი და აზროვნების რეფორმა**; იდეათა გენეზისი; სოციალური ესთეტიკის ორგანოტროპიული ხასიათი; ინდივიდუალიზმის ტრაგედია: „ჰამლეტი“, „ფაუსტი“, „ბერდოზმანია“, „შპიგელმენში“; კულტურის რეორგანიზაცია და ხელოვნების მიმართება; მუსიკა და სოციალური სული ბიოლოგიური რემინისანსით; **ქართული კულტურა სოციალური ესთეთიკის თვალთახედვით.—ქართული ტიპი; დამატებანი ინტერპრეტაციები.—**

II

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ი. თიკანაძის: „მოკვლის მოშლა სამკურნალო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით“.

III

ვასილ ბარნოვი: ზედის ვარსკვლავი (რომანი).

IV

თედო ბეგიაშვილი: „**ქართული სიტყვიერების ისტორია**“ სახელმძღვანელო **სკოლებისათვის** და თვითგანვითარებისათვის. (სახელმწიფო **სამეცნიერო საბჭოს** მიერ 1923 წლის 28 ივნისის სხდომის დადგენილების თანახმად, წიგნი მოწონებულია და ნებადართულია, **როგორც სკოლებში სახმარი სახელმძღვანელო**,—ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს მდივანი **მ. ზანდუკელი**.—სახგანკომის **პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობის** მიერაც მოწონებულია სახელმძღვანელოდ და მას „საჭიროდ მიაჩნიათ ახლავე დაიბეჭდოს“ 10 ნოემბ. 1923 წელი № 3031.—პროფ. კ. კეკელიძის წერილობითი მოხსენებით: წიგნი შედგენილია სხარტად, გასაგებად და მეცნიერული სისწორით; **ასეთი მეთოდი მეცნიერებაში უკანასკნელად მიღებულია და მოწონებული**. ჩვენს **სასკოლო** ისტორიულ მწერლობაში ის **პირველათაა ნახმარი** და, უნდა ვსთქვათ, **ჩინებულადაც** გამოყენებული. პროფ. კეკელიძე, 28,6 1923 წელი.)

V

დ. კასრაძე: **თეატრი: ციხის ცრემლები, იუდა, რია, მეფე არლეკინი.**

ხუთივე წიგნი ღირს შვიდი მანეთი და 40 კ.

კლუბები, სამკითხველოები, ადგილკომები, საქარხნო კომიტეტები, კავშირები, სკოლები, თუ სხვა რომელიმე ორგანიზაციები რამდენ ათ (10) ხელისმომწერს იშოვნიან, იმდენ ცალს ხუთივე წიგნისას მიიღებენ სრულიად უფასოდ.—**ცალცალკე წიგნის გამოწერა არ შეიძლება**, მხოლოდ **სკოლებს** შეუძლიათ გამოიწერონ და ისიც კოლექტიურად **თ. ბეგიაშვილის** წიგნი მოწაფეთათვის **სახელმძღვანელოდ**.— სკოლებისათვის თედო ბეგიაშვილის წიგნი ეღირება **1 მან. 50 კ.**, რადგან სკოლებისათვის ხსენებული წიგნის ზედმეტი ეგზემპლიარის ბეჭდვა დაგვჭირდება; ამიტომ საჭიროა (რომ მოწაფეები სახელმძღვანელო წიგნის უქონლად არ დარჩენ) ადრევე გავიგოთ რამდენი ცალი წიგნისა დასჭირდება სკოლებს... სკოლის გამგეებმა გვაუწყონ შემდეგი მისამართით: **თბილისი: რუსთაველის პრ. № 22**, რედაქცია: „**დროშა**“ **თომა ჩიქვანაიას**.—ამ მისამართით უნდა გადაიგზავნოს ფულიც. სკოლის გამგეებმა დაკვეთასთან ერთად ფულიც უნდა გადმოგზავნონ.

ყოველ მაზრას, დაბას, სოფლის საზოგადოებას შეუძლია ამოირჩიოს ერთი ხელმძღვანელი რომელიც შეადგენს ხელისმომწერთა სიას

მოუკრეფს ფულს და იქონიებს გამომცემლობასთან მიწერ-მოწერას. ასეთ პირსაც მიეცემა გამომცემლობისაგან განსაკუთრებული ჯილდო.—წიგნი ამ პირების სახელზე გადაიგზავნება ფულის მიღებისთანავე.—ნისიათ წიგნები არავის არ გაეგზავნება.—

გამოსვლის შემდეგ წიგნები ეღირება 12 მანეთი

ნის. 785—2—2

გამომცემელნი: იეროnim არსენიშვილი, თომა ჩიქვანაია, დავით კასრაძე.

გადავიდა კამოს ქუჩაზე № 17 (დიდი მთავრის ქ. ვორონცოვის ხიდის ახლოს)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა
25—2.

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სომხის ბაზარი № 3.
№ 202.
25—6

მედიცინის დოქტორი
კ ე რ ძ ო
გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორიული მიღება შენობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13
ცნობების მიღება: ექიმ შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4
ნის 372 —100—49

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—6

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების— 2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
25—15

ექიმი

ალექსანდრა კორკია

მეანობა და ქალთა სნეულებანი
მიღ. ავადმყ. 4—6 ს. სალ.
პლეხანოვის პრ. № 65.
25—5.

ექიმი

ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა ელექტრონით წამლობა
მიიღება სალ. 7—8 საათ.
ლენინის (ოლღას ქ. № 49)
ტელეფ. 4—85 25—17

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746. 25—16

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი და არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—6

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—20

ექიმი ვ. ნ. ჩუ პრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.
25—3

დაკარგე აღრიცხვის წიგნაკი № 171 მოცემული ახალ აბაშის სამხედრო მაგიდის მიერ რემანოზი ჯანგვალაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 325 1—1

დაკარგე მანდატი ახალგ. კომუნისტ. კავშირის წევრობისა № 11179, მოცემული აბაშის ორგანიზაციიდან ანდრი იესეს ძე რურუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 326 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 1108 | 114, ალექსანდრა ანტონის ფაღავას ასულის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე პარტიის კანდიდატის ბარათი № 1400 ანდრო თავაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 324 1—1

მუშკოოპის სავაჭრო განყოფილება

ა. წ. 15 თებერვალს, დილის 10 საათზე, მუშკოოპის ეზოში, გორგასის ქ. № 7 (ყოფ. კირკის ქუჩა), შესავალი ქამოს ქუჩიდან

ნიშნავს საჯარო ვაჭრობას

შემდეგი ნივთების გასასყიდათ: კართოფილის ფქვილი, ფქვილის ნაყარი, შაქრის ნაყარი, [illegible] ყუთები, [illegible] ლები, რაგოჟა, [illegible] გოგირდი, [illegible], სამართებლები, საწოლები, შკაფები, რკინის ნამტვრევები, შინების ნაჭრები, ცინკის ვანები, გუთნები „საკა“ №№ 5,6 და 7, ფოცხები სამი და ოთხრგოლიანი, სხვადასხვაგვარი სათესი მანქანები, ჩალის საჭრელი მანქანა, სალეწი მანქანები, შინაგანი წვის ნავთის მატორები 11 ძალიანი, საკერავი მანქანები და სხვა.

ცნობებისათვის მიმართეთ ამხ. ჭავჭანიძეს დილის 9 ს. 10 ს.

ნ. № 790 1—1

პირველ გაიხსნა თებერვლიდან

თათრების მოედანზე, აბანოების ქუჩა № 1
მევენახე და მეღვინე გლეხთა კოოპერატიული სასადილო

ბაღდადი

ვისაც სურს გემრიელად, სუფთად და იაფად ისაუზმოს, ისადილოს და ივახშმოს, ნუ დაივიწყებს სასადილო „ბაღდადს“ სასადილოში მზადდება ევროპიული, აზიური და სპარსული საჭმელები.

პირველ გაიხსნა თებერვლიდან

პირველ გაიხსნა თებერვლიდან

ნ. 745 10—3

იუსტიციის სახალხო კომისარიატის

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილებაში (სასამართლოს ქ. № 32 ოთახი 37)

იყიდება კომისარიატის გამოცემანი:

1. საქ. ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი (ქართული) ფასი 50 კ.
2. საქ. ს.ს.რ. სამოქალაქო სამართლის კოდექსი (ქართული) ფასი 70 კ.
3. საქ. ს.ს.რ. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდ. (ქართული) ფასი 50 კაპ.
4. საქ. ს.ს.რ. იგივე (რუსული) ფასი 50 კაპ.
5. საქ. ს.ს.რ. სასამართლოს წყობილების დებულება (ქართული) ფასი 25 კაპ.
6. საქ. ს.ს.რ. მთავრობის 1923 წ. პირველ ნახევრის „კანონთა კრებული“ № 1 (ქართული) ფასი 50 კაპ.
7. საქ. ს.ს.რ. იგივე მეორე ნახევრისა № 2 (ქართული) ფასი 50 კ.
8. საქ. ს.ს.რ. იგივე 1924 წ. ივლისის თვის „კანონთა კრებული“ № 2 (ქართული და რუსული) ფასი 25 კაპ.
9. საქ. ს. ს. რ. იგივე 1924 წ. აგვისტოს და სექტემბრის თვეების „კანონთა კრებული“ № 3—4 (ქართული და რუსული) ფასი 25 კ.

ამ ახლო მომავალში გამოიცემა ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და ს.ს.ს.რ. მთავრობის 1924 წლის „კანონთა კრებული“. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ: ქ. თბილისში—თვით განყოფილებაში, ხოლო პროვინციაში გადაიგზავნება ფოსტით დადებით ფასით საფოსტო ხარჯების განყოფილებაში წარმოდგენისთანავე.
ნ. 792 3—1

კვირას, 15 თებერვალს, დილით 11 საათზე, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის დიდ დარბაზში

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

კურორტი „შოვის“ გაშენების დამხმარე

საზოგადოების წევრთა საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) საინფორმაციო მოხსენება საამშენებლო კომისიისა მისი მუშაობის შესახებ,
2) საორგანიზაციო საკითხები,
3) საამშენებლო კომიტეტის არჩევა.

დამხმარე საზოგადოების წევრთა დასწრება აუცილებელია.

ნ. 793 3—1. საამშენებლო კომისიის თავმჯდომარე შამშე ლეჟავა.

თბ. ცენტრალურ სატელეფონო ქსელის გამგისაგან

ადგილობრივი სატელეფონო ქსელით სარგებლობის შესახებ

1. განცხადებები ახალი აბონენტების გახსნისა და ტელეფონების გადატანის შესახებ, როგორც ერთი ოთახიდან მეორეში, ისე ერთი შენობიდან მეორე შენობაში, შეტანილი უნდა იქნეს შვიდი დღით ადრე.

2. ტელეფონით სარგებლობის ფასი შეტანილი უნდა იქნეს წინდაწინ:

ა) იმ დაწესებულებებისა და დაწესებულებების თანამშრომლებისათვის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან—ყოველთვიურათ.

ბ) იმ დაწესებულებებისა და დაწესებულებების თანამშრომლებისათვის, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან—კვარტალების მიხედვით, ე. ი. სამი თვით ადრე.

გ) ყველა დანარჩენ დაწესებულებებისა და კერძო პირებისათვის—ერთი წლით ადრე.

3. აბონენტები, რომლებიც თავის დროზე არ შეიტანენ ტელეფონით სარგებლობის ქირას, ერთხელ წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, გამორიცხული იქნებიან საერთო ქსელიდან, შემდეგ კი მოხსნილი იქნებიან.

4. იმ აბონენტებს, რომლებიც არ შეუშვებენ ქსელის ტეხნიკურ პერსონალს, რომ ჩამოხსნან აპარატები ტელეფონის სადგურის „ნარიადების“ თანახმათ, აპარატები ჩამოერთმევათ ქალაქის მილიციის დახმარებით.

5. ტელეფონების მოხსნის შემდეგ, თუ აბონენტები ორი კვირის განმავლობაში არ შეიტანენ ქსელის სალაროში დავალიანებას, მაშინ მათზე შეტანილი იქნება საჩივარი სასამართლოში დავალიანების სასამართლოს წესით გადახდევინების შესახებ.

6. გამოძახების და შეერთების დროს საჭიროა აღნიშნული იქნეს აბონენტის ნომერი და არა გვარი ან და აბონენტის სახელწოდება, რადგან ასეთ შემთხვევებში ტელეფონზე მომუშავე ქალი, რომელმაც არ იცის ნომერი, ვალდებული არ არის პირადათ მიაწოდოს მთხოვნელს ცნობა; აბონენტმა უნდა მიმართოს ცნობების მიმწოდებელ მაგიდას, რომელიც მთელი დღე და ღამის განმავლობაში მუშაობს.

7. ყოველგვარი საჩივრებით აბონენტებმა უნდა მიმართონ ტელეფონზე მომუშავე უფროს მორიგე ქალს, რომელიც დაწვრილებით ჩასწერს მათ საჩივრების წიგნში; ამასთანავე საჩივრებით ტელეფონზე მომუშავე ქალების უკანონო მოქმედებაზე აბონენტებს შეუძლიათ მიმართონ ქსელის ადმინისტრაციასაც დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდი, ქსელის გამგის კაბინეტის ტელეფონი—17—28, 3 საათის შემდეგ ტელეფონის ნომერი—9—81 და 2—05.

ნ. 791. 1—1 თბილისის ტელეფონის ქსელის გამგე იანქოვი.

დაკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობა გერონტი ონისიმეს ძე მეძმარიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 329 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 256 მოცემული ქიათურის მილიციის უფროსის მიერ არშაკ არუთინის ძე ზარსეგოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 327 1—1

დაკარგე სააღრიცხვო ბარათი მოცემული თელავის მილიციის სამმართველოდან მელიქა პოლოსას ძე ადამოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 333 1—1

დაკარგე სააღრიცხვო ბარათი № 4 და პირადობის მოწმობა № 1424 ონისიმე მახათაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 328 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 75 ევა დავითის ასული კიკოშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1—331

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემ. ამბროლაურის თემის აღმასკომიდან № 25 პეტრე მეთოდის ძე ბრეგვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1—332

დაკარგე პირადობის მოწმობა № 125 მინა მეთოდის ძე ბრეგვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1—330

დაკარგე საწევრო წიგნაკი მელითონეთა კავშირის № 1855 ვანო ოქროშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 322 1—1

დაკარგე მეტრიკული მოწმობა გიორგი ქიქინაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 321 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 23 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მიერ მოცემული სურათით პეტრე დიანოზის ძე გამყრელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 323 1—1

ტირაჟი—17.425

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საზა წულუკიძის ქუჩა №4